

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით


ფასი 1,50 ლარი

2 ოქტომბერი 2009 №20(98)







1516
2009

ო' პენრის ნოველა
ნატა ვარადას ლექსები
დრო მოხაიკურ ქარგაში
ინტერვიუ ნუნუ გელაძესთან
ზურაბ კანდელაკის უძრავი ქარი
ქართული კინო მრუდე სარკეში
პაატა ჩხეიძე ჯორჯ სანტაიანაზე
მაია ძიგუა შიო არაგვისპირელზე
იოსებ ჭუმბურიძის პუბლიცისტური ესეი



ქუთაისის საგამომცემლო ცენტრი გთავაზობთ



მისამართი: ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელეფონი: (8 231) 2-34-99, 2-37-1, 899 14-95-15



შინაარსი

თემა ბარათისა	2	გოტი დროლიძე ქართული კინო მრეწველ სარკვევი ანუ როგორ უნდა ვითარდებოდეს ინტელისურად
ჯეიმი უოზა, წამოსრუბალი	7	იოსებ ქუმბურძიძე სამანის მცველი
ბაშოზაზაზა	8	ნინო ვახანია „სიზმარი ნანახ სიზმარივით“ (გია კობახიძის პოეტური დებიუტი)
ქსენია-ინტარია	10	ზვიად კვარაცხელია შაქრება და ბამბოქება (მოამზება ნატა ვარადაძე)
ახალი წიგნები	11	ნუნუ ჯანელიძე სიზმრის წაშრობილი (ვანა ხორნაულის პოეტური ციკლი დედაზე)
არწა	12	ზურაბ კანდელაკი უძრავი ძარი
	27	დავით კიკნაძე ბრძოლის იქით
უოზა	34	ნატა ვარადა ნითელი ბონსი და სხვა ლექსები
ბარბელი შთაბეჭდილება	38	ბექა ლონდარიძე ნატა ვარადას ნითელი ბონსი
კულტურის არწი	40	უცხოვარში ყოფნის ბამბოქება (საუბარი ნუნუ გელაძესთან)
უოზის სწორბარბა	41	პაატა ჩხეიძე ჯორჯ სანტინის ლიბარლიზმის შესახებ
ლიბარლი	44	სიყვარული ჩემთვის უფლისკან სავალი გზა... (თამარ შიშმელაშვილს ესაუბრება თამარ გაბროშვილი)
რარბატი	46	ეკა ბუჯიაშვილი ილიას გზის ბამბოქება (ლია კუხიანიძის სადოქტორო დისერტაცია ოთარ ჩხეიძეზე)
ბსნიარის არწი	49	ზურაბ გაიპარაშვილი „ბსნიარულ დირსეული დანახეული“ შამისის ისტორიება (ივანე ჯავახიშვილისა და გიორგი ახვლედიანის ეპისტოლური მემკვიდრეობა)
როგორ ვითარდებოდეს კლასიკა	51	მია ძიგუა ქართული ფსიქოლოგიური ნოველის სთავებებთან (შო არაგვისპირელი)
კრბა	55	როსტომ ჩხეიძე დრო მოზაიკურ ძარბავი (გივი ალბაზიშვილის ავტობიოგრაფიული რომანი)
უოზის ნოველი	58	ო'პენი ნეზიმა და ტბილელის ბამბოქება
ახალი წიგნები	61	ივანე ამირხანაშვილი მატბლის პეპელა აბსტრაქციის ნახევევევი (დარეჯან სუმბაძის პოეტური კრებული)
მონია	63	შარლოკ კოლმისის მკველვა

ორკვირული ფრნალი
 დამფუძნებელი „ილიონი“
 მისამართი: თბილისი,
 ჩუბინაშვილის №41
 რედაქცია – (995 32) 96_20_62
 რეკლამა – (995 93) 65_93_68
 გავრცელება – (995 77) 11_24_30
 ფაქსი: (995 32) 96_20_62
 E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე
 პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი
 პოეზიის რედაქტორი – მიაკა ჯობაძე
 კრიტიკოსა და თარგმანის რედაქტორი – თამარ ნატროშვილი
 მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი
 სტილისტი-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიჭაშვილი
 ობერტორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი
 გაერცელების სამსახური – ლევა კიკნაძე

გარეკანზე: გამხმარი მუხა ილიას ეზოში
 მურმან ჩაჩუას ფოტოგრაფი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 16 ოქტომბერს

გოგი დოლიძე

ქართული კინო მრუდე სარკები

ანუ
როგორ არ უნდა
ვითარებნოთ ინგლისურად

შესაძლოა, ეს ყოველივე წერილობის გამოკიდებად მოუჩვენოს ვინმეს, მაგრამ, როგორც მხატვრულ ნაწარმოებში, ისე ერის ცხოვრებაში წერილობის მნიშვნელობაა.

კონსტანტინე გამსახურდია

სათათო, ციცი, ღიმილს გამოიწვევს, კაცო, საიდან ამოქექიო და ა. შ., მაგრამ ამ უმაღლურ საქმეს რომ ხელი მოვაკიდო და სიღრმეში შევედო, მართალი გითხრათ, ისეთ გუნებაზე დავდები, საკუთარი თავის გაქილიკებაც კი მომიზან. მიიხ რა უბედურება გვეჭრის, გააჩალიჩებს ვიღაც უშეცარი რაღაც პროექტს და მერე საზოგადოებას ახალი თავსაღირს უჩვენება, თითქოს სხვა პრობლემები გვაკლდეს ცხოვრებაში.

გახსოვთ, ალბათ, რა შოკისმომგვიწიე იყო მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია, ერთმა ჩვენი თანამემამულემ სადაღო რუსეთის მიყრუებულ რეგიონში ნიაშიტ აპირირებებს რომ ფრანგული ნაცვლად ჯერული შეისანავა? ახლა, როგორც ჩანს, ინგლისურის მეტი დავადა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა, არც მეტი, არც ნაკლები, თვით თქსფორმის ცნობლად ლექსიკოგრაფიულ ცენტრს შეუტია, ღიად და ამკარად, თავისი ერთობა თამაში ღიდევისტური ნოვაციებით.

სანამ უშუალოდ წარმოგიდგენდეთ ამ უნიკალურ ექსპერიმენტებს, შეგახსენებთ, რომ 70 ღარს თუ გაიმეტებთ, შეგიძლიათ, შეიძინოთ ეს „საუნჯე“ – მშვენიერ, მაგარ, ფრადე ყდაში ჩასმული ახალი ქართული ფილმოგრაფიული კატალოგი (ჩვენი ეკრანის მარადიული ვარსკვლავის, ლეგენდარული ნატო ვარნაძის პირველივე კინოკადრით დამშვენებული), რომელსაც მოკრძალებით აწერია: „1908-2008 ქართული ფილმი – Georgian Film“.

ეს არის და ეს, რაც სწორი ინგლისურით წერია ამ კატალოგში, ამის შემდეგ მოდის შეცდომებით შევსებული ასაკად, რომლის სათავეა თავფურცლის პირველივე სიტყვა – „Illustrated“... ცხადია, უნდა იყოს „Illustrated“...

მავანი იტყვის, კარგით რა, ეს ხომ ე. წ. კორექტურაა და ამისგან არავინაა დაზღვეული. რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ხომ არ შეიძლება 554-გვერდიან, A-4 ფორმატის წიგნში იმდენი „კორექტურა“ იყოს, თუ ეს მართლაც მხოლოდ კორექტურაა, რამდენიც სტრუქტურა? თუ არა და, ფაქობარობაში ნუ ჩამოხარობივთ და... სანამდელი დავდები.

ღიანხ, ასეთია ჩვენი სამაჟო ეროვნული კინემატოგრაფის 100 წლისთავის საიუბილეოდ გამოცემული ახალი ქართული ფილმოგრაფია, რომელსაც 14 ავტორი, 5 კონსულტანტი და რედაქტორ-მთარგმნელ-მეცენატთა მთელი

გუნდი შეყვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ მხოლოდ ის დაამტკიცეს, რომ არც ქართული ენა იცობს, არც ინგლისური, არც რუსული და, რაც მთავარია, არც კინოს ისტორიისა თუ საგამომცემლო საქმის ელემენტარული საკითხები გაეგებთ. ამის თაობაზე ზოგადად საქმარისად ითქვა პერიოდულ პრესაში (რეზონანსი, 09.11.2009; „24 საათი“, 20.11.2009 და ა.შ.). ასე რომ, ამავად, რაკი კატალოგი ორენოვანია (ქართულ-ინგლისური), მხოლოდ ინგლისური თარგმანზე გავამახვილებ ყურადღებას და, ბარემ, აქვე დავესვამ კითხვას – ღორს კი საერთოდ საუბარი იმ ვაი-მთარგმნელის ნაცოდვილარზე, რომელიც, ვიშკორებ, 554-გვერდიან, A-4 ფორმატის გამოცემას ისე შეეჭივება, რომ არც კი იცის, ინგლისურად როგორ იწერება „ეფუხისტყაოსანი“? ეს უკვე ნამეტანია, იტყვიან შეცბუნებული მავანი და სანამ ნამობტება და გაიქვეცა, უნდა მოვასწრო და 82-ე გვერდზე გადავიშლო კატალოგი, სადაც ბრწყინავს ეს „მარგალიტი“: „Panther in Panther's Skin“ – უნდა იყოს: „The Knight in the Panther's Skin“.

კიდევ კარგი, რომ ამ უბედურებას ვერც მარჯორი უორდრობი (1869-1909) მოეწნრო და ვერც ვენერა ურუშაძე (1909-1990), „ეფუხისტყაოსნის“ შესანიშნავი მთარგმნელი.

თუნდაც ამ ერთი, მაგრამ მეტად სიმპტომატური მავალითი ვასაგები ხდება, რა ღორის მთარგმნელთან მოგვეცა საქმე, მაგრამ მკითხველს ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ხომ არც დაგვტოვებ, იწებ ეს ერთი რამ შეეძლება და სხვა მხრეც არის კარგი თარგმანი. ოღონდაც!

დაყრნოთ იმიო, რომ კატალოგი ინკოგნიტო მთარგმნელი მავსის თავფურცლის (გვ. 2) მიხედვით, ქართულად მისი გავარია – ჩიოგლინი, ინგლისურად კი – Qadagidze (ანუ, „ქადაგიძე“) და ინკოგნიტობა, ახა, სხვა რა არის? ასე თუ ისე, ამ ჩვენს ინკოგნიტო მთარგმნელს, როგორც ირკვევა, მხოლოდ ე. წ. სავეკლოური ინგლისური სცოდნისა და, ამასთან, ერთობ მწყურლად ყოფილა წიგნიერებასთან, კერძოდ კი კინოტერმინოლოგიასთან. ის კი არა, არც რომელიმე ინგლისურენოვანი ფილმი უნახავს ოდენსე (დღემს რომ ათეულიწიოთ გადამოსცეხენ ჩვენი ტელევიზიოები), თორემ ასე ნამეტლად არც გაკანდირებდობდა. და გარეგნობა, ასე იცის დილტანტისმამა. როგორც ჩვენმა, შესანიშნავმა პედაგოგმა და რეჟისორმა – ღილი ოსოკოლიანმა ბრძანა: დილტანტი თავებუღია, მან არ იცის სირთულე თავისი პროფესიისა.

ასეთი კატეგორიული ტონის გასამართლებლად სულაც არაა საჭირო ამ ვებერნოულ კატალოგის თავიდან ბოლომდე ნაკითხვა. საქმარისა, გაცეწიოს მის თავფურცელსა და ორგვერდიან წინასიტყვაობას, ცხადია, თარგმანითურთ, რომ უმალ მოგინდეთ ვგრევე მიხროლოთ იგი და ეს იქნება ყველაზე სწორი რეაქცია თქვენი მხრიდან. ამ სიმოლოურ აქტს აუსცილებლად განვახორციელებ შემოდეგომხე, რაკივე სასამართლოს მოვგებ (აჰ, სულ დამავინყდა იმის თუხა, რომ სარჩელი მაქვს შეტანილი, რათამცელი ტრანვი ამოღებულ და განადგურებულ იქნეს!), მაგრამ მრამდე ერთი კატეგორიული განცხადებაც – კატალოგის თავფურცელი და მისი წინასიტყვაობა (ორივე ენაზე) არავის ნაუჭიროებს, არც ვთი ნორმალურ ადამიანს, და თუ ასეთ კაცს მაჩვენებთ, ვიშკორებ, წორმალურ და დამალაპარაკებთ, პასუსს ვაგებ ჩემს სიტყვებზე.



სული ცოფილო, ამ თავებდობაში (ჩენი რომ გამოიცა), რედაქტორთან ერთად, გვებ უფრო მეტადაც, მთარგმნელს ვადანაშაულებ, რაკი კიდევ ერთი ენის ცოდნა ერთი თავით მაღლა დგომას ნიშნავს და ამ ავანტიურაში ჩვენს ინკოგნიტო მთარგმნელს არ უნდა მიეღო მონაწილეობა – საერთაშორისო სკანდალი გარდაეკალია.



პოტენციურ საერთაშორისო სკანდალში, ცხადია, იმას კი არ ვგულისხმობ, რომ კატალოგიტი სწორად არაა წარმოდგენილი შოთა რუსთაველისა თუ დანიედი დეფოს და სხვა, ჩვენი თუ უცხოელი, კლასიკოსების გვირგვინი და ნაწარმოებები. როგორ გვიადრებნათ ამას უზარალოდ უცოდინარობაში ჩამოგვარ-თმევენ და თავიშუ ქვა გიხლიათო, შემოგვივლიანი, მაგრამ კინემატოგრაფის განვიტარების ფუნდამენტურ საკითხებზე რომ ვილაყ დილექტანტიების ნაბოღვარს ინგლისურად ვთარგმნიოთ და უხვად ილუსტრირებული კატალოგის სახით გამოვიცემოთ, ეს, თანამედროვე ტრენდინოლოგიით, უკვე „მუსიკა“ ევროპული და ამერიკული კულტურისათვის, რომლებიც კინოსტარტის რევიზიონიზმა და საერთაშორისო ნორმების ფალსიფიკაციას არ გვაშაბტებენ. ამდენად, ასეთ გამოყოფილ მდგომარეობაში გაყურება კი არ გვაძართებს, გვებ, ბედად, მერც შეაშინორო, არამედ თავად უნდა მივმართოთ დაგვიანებულ, მაგრამ მაინც პრევენციულ ზომებს და პრესის უარგყით კატალოგის ავტორთან ავანტიურისტული მირაჟები, რომ ქართული კინო თურმე ისეთი ხეითაა, მუნჯე პერიოდი საერთოდ არ გაუვლია, ისე გადასურა პირდაპირ ხმოვანზე; რომ კანის ფესტივალი დაგვიპყროა 1956 წელს; რომ თურმე რუსებს დავასწარიოთ. თ. დოსტოევისკის ევრანიზმს და სხვა მსგავსი პროვინციული პაქტოები.

მაშ ასე, თავდაპირველად მხოლოდ წინასიტყვაობის თარგმანზე ვისაუბრებთ. ცხადია, ყოველივე იმის შემდეგ, რაც უკვე ითქვა, არ გავიკვირდებათ ცალკეული უზუსტობანი, როგორცთა: "Full length" ("სრულმეტრატაინი") – უნდა იყოს: "Full length", "Chheidze" (Chkheidze), "Mardjanishvili" (Marjanishvili), "nikoloz Sanishvili" (Nikoloz), "Vazha Pshavela" (Pshavela), "archive" (archives), "173 feature" and "chronicle films" ("173 ფედმეტა, სხვა ოპერადანა"). არ შეიძლება ჯერ იყოს "Mudiri", ერთი სტრიქონის შემდეგ "Mudjiri", ერთსა და იმავე სტრიქონში იყოს: "saxhinkimretsvi" და "Saxinkimretsvi" – ამბოლოების მხრივ ან ერთი ფორმა უნდა აირჩიოს, ან მეორე: ამასთან, სწორია "Sakhinkimretsvi", ანუ "saxkin-retsvi". თანაც, ნებისმიერი დანჯესებულების დასახელება მთავრულით იწყება, და შესაყვე, რას ნიშნავს იგი, როგორ უნდა ვაგაოს ინგლისელმა მკითხველმა? ამიტომ იქვე უნდა მივინერათ: "State Film Industry", არ შეიძლება ერთსა და იმავე გვერდზე ფილმების სახელწოდება ხან იყოს ბრჭყალებში ("Tsuna and Tsutsuna"), ხან უბრჭყალებოდ (Shakiri); სახელწოდებამი, ფილმის იქნება თუ მოთხრობის და ა. შ. სიტყვები ყოველთვის მთავრულით იწერება, მაგრამ ეს ენაზე დარღვეულია ("My grandmother", "The patriotic" და ს. ს.) კლასიკური შიშისი მთარგმნის ძახილის ნიშანი აკლია ("Jim Shvante!" – ასე უნდა იყოს) და ა. შ. "კინოფოტო არქივი" გაიხსნა 1946 წელსო, ინგლისელი მკითხველსათვის

არაფერს ნიშნავს, უფრო სწორად, რებუსისა მხოლოდ, რადგან ეს სიტყვები მისთვის უცხობა: "ფოტო" და "არქივი" არ არსებობს ინგლისურში, "კინო" კი არ არის იმ მნიშვნელობისა, ჩვენ რომ ვიცით რუსულის გავლენით, არამედ ვიკითხავს არის გუმფისი, ბოტანიკური ტერმინი, რომელიც აღინშნავს ტროპიკულ ხეის ნებოვან ნივთიერებას, მხოლოდ მედიცინაში რომ იყენებენ – ისიც დამახასიათებელია, რომ ეს სიტყვა ისეთი იშვიათობაა, ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებში საერთოდ არაა შეტანილი.

ასეთია თავლის ერთი გადავლებით წინასიტყვაობის თარგმანი, მაგრამ ისინი ამავე საკითხის სხვა სკლამებზე" გადავიდეთ, რაც უნდა ითქვას, რომ, სამწუხაროდ, მთარგმნელი არათუ მხოლოდ იმეორებს დედნის ყველა ფაქტობრივ შეცდომას, რომელიც შემინევა-გამოსწორება არ უნდა გასჭირვებოდა, არამედ პირიქით, უმატებს კიდევ და ამბავს: რბ.

1. პირველი ქართული ხმოვანი ფილმი 1923 წელს გამოვიდაო, მაშინ, როცა დედანში, მაღლობა ლმერტოს, ეს მაინც სწორად წერია (1932).

2. წინასიტყვაობის ინკონკრეტო ავტორის აზრით, 30-იანი წლები ქართული კინოსთვის მთლიანად წარსაბტებელი ყოფილა (გვ. 3), ინკონკრეტო მთარგმნელმა უფრო „გაუტია“, ერთობ წარმატებულიო (გვ. 5), მაგრამ ნიშნავს ამ ათწლეულში გადაღებული 30 მხატვრული და 150 დოკუმენტური ფილმიდან მხოლოდ ორი ("ჯემ შეანთი!" და „დაქარგული სამთიხე“) მოკავს.

ახლა ამ ლინგვისტურ მარგალიტებზე, რომლებიც უსათოდ დამოსაზურებენ ექსპერტების ყურადღებას (არ დაგვარყვედეს, რომ კვლავ წინასიტყვაობაზე ვისაუბრობთ):

1. არსებებს ლათინური სიტყვა — stationaris (უძრავი), რომლის შესატყვისია: ინგლისურად — stationary, ქართულად კი — სტაციონარული. წინასიტყვაობის ინკონკრეტო ავტორის მოკავს ამ სიტყვის (სტაციონარული) დამახინჯებული ვარიანტი — სტაციონალური. სამწუხაროდ, ინკონკრეტო მთარგმნელმა ეს დამახინჯებული ფორმა აირჩია თავისი ექსპერტ-მენტისათვის და იმდენად ზოგონა იგი, რომ ინგლისური ჩოხა ჩააცვა, ქართული ზოლოსართით (სუფიქსით) დააბოლოვა და ასე შეკამბული შესთავაზა ინგლისურთთან კითხვებს, ა, ბატონო, თქვენ, ახალი სიტყვა — stationarior (გვ. 5). იმედია, მთარგმნელი მას მალე გაუგზავნის (თუ ეს აქამდე არ გაუცქერია) ოქსფორდის ცნობილ ლექსიკონს.

2. ახლა, ამ „მარგალიტს“ ოხლად ხომ არ გაუყენებდა ჩიქსორიანი გზას და, ამიტომაც მეორე ჰიპოტიდიც „გაბა-ლიკია“, ბაერმ დაეაწყვილებო. ასე შევეუქმენით უზადურ ინგლისელებს კიდევ ერთი სიტყვა, თანაც კომპოზიტი, ისიც მრავლობითში. რუსები რომ არ გაგვეუქმენებინა, მათი ორი სიტყვა (kino-plakat) გამოიყენებო, ქართულს მრავლობითის ნიშანი — აფიქსი „ებ“-ი დავამატებ, ბოლოს კი ინგლისურის მრავლობითის ნიშანაც, ანუ აფიქსი „ს“ ნივანებთ, მეგრე უკვლავური კი ლათინური შრიფტით ჩამოვავიკრისტეთ და ნახეთ, ეს ჩვენი „kinoplakatebi“ ინგლისურად რა კარგი რამ გამოითვია — კინოპლაკატები.

3. ხაზგასმით უნდა მივითითოს, რომ ინკონკრეტო მთარგმნელი ინგლისურ ჩოხას მარტო ქართულ და რუსულ



სიტყვებს კი არ აცემეს, არამედ ფრანგულსაც. ამ მხრივ, აი, კიდევ ერთი „მარგალიტი“: სიტყვა „შედეგები“ თარგმანი, როგორც „che d'oeuvres“.

დღევნით იმით, თუ რა საჭირო იყო ფრანგული სიტყვა, როცა ინგლისურად ვთარგმნით, რატომ იქნა დანუზღებული მშვენიერი ინგლისური სიტყვა „masterpiece“? მოტივაცია არ შესწიშლი ახლახან ნაეჭივით ცნობილი კინორეჟისორი – აკირა კუროსავას შესახებ ერთი სტატია, სადაც, ჩვეულებრივად, ინგლისურენოვანი კინორეჟისორის პარკერ ტალიერი ამ დიდებული ხელოვანის ერთ-ერთ ფილმს უწოდებს იაპონურ შედეგებს (a Japanese masterpiece), ასეთი მავალითები უამრავია – თუნდაც ინტერნეტის ქსელში.

ხოლო თუ ფრანგულ სიტყვას ხშირად, წესიერად მაინც ვაღ-მოიწერ: ფრანგულად „შედეგ“ არის – „chef d'oeuvre“, მრავლობითი კი – „chefs d'oeuvre“. ი. მრავლობითის ნიშანი პირველ სიტყვას ემატება და არა ბოლოს, როგორც ინგლისურშია. ცხადია, ეს არ იქნა ინკონტრად მთარგმნელმა და ბოლოში მოუწერია, ანუ ინგლისური მოსახამით შეუმოსავს.

თუ მაყირია, მაყირი იყოს, თუ არა და, ჩინოვალთ, რომ ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ინტერმედია... რაც შეეხება თარგმანის მეორე გვერდს, სწორედ ისეთი, „ელტრანსპორტინაია ვაზეტას“ რომ შკონდა ერთი შესანიშნავი რუბრიკა – „სავაგებოდე ვერ მოიფიქრებ“. ამა, სხვაგვარად წარმოვიგებიათ, რომ მხოლოდ ისეთი სიტყვებით, როგორცაა „და სხვა“ („and others“), ინე-ბრუნდა და მთარგმნელმა მთელი ამახაც? რა თქმა უნდა, არა და, ამაღნად, თუ გადავლით მეტყვე გვერდს, მესამე აზნავის (თუ ამას „აბზაცი“ შეიძლება ეწოდოს) სახით იხილავთ ამ საგამომცემლო-პოლიტიკოლო საოცრებას.

საწესხაროდ, სწორედ ასეთი რეზუტებითაა სასეს მთელი ეს გვერდი. ამიტომაც, მოკლედ ვიყვი, რომ სავა-რაუდოდ უკვე აწყობილი ტექსტიდან უპატრონობით არის ამოვარდნილი სტრიქონები (დედანი 38 სტრიქონია, თარგმანი კი 15, ანუ ნახევარზე მეტი სტრიქონი გაფრე-ნილი), რითაც იქმნება სრული ქაოსი. ბუნებრივია, არავის უმრალოდ თვალის არ გადაუვლია ამ გვერდისათვის და სწორედ ეს უყარადლებობა, ავდებულად დამოკიდებულება არის მთელი კატალოგის ყველაზე დიდი უბედურება.

და ბოლოს, მოდით, ჩვენც ისეთივე აპოთეოზით (სხვაგვარად ვერ შევაფასებთ ამ ინიციაციას) დავამთავროთ საუბარი წინასიტყვაობაზე, როგორც ჩვენი ძვირფასი ინკო-ნიტო მთარგმნელი გვასხელის, თურუნ როგორ უნდა ითარგმნოს ინგლისურად კულტურის მინისტრი – „Minister of Minister of Culture“... ა, როგორია?! რა ქრის ამ ადამიანს საინკოინტო, მუ და ჩემმა ღმერთმა! ვამოწმებს, რაღა!

ახლა კონტრმინოლოგისა გადავუბრუნო:

1. „After“ თუ „Based on“? ამ მხრივ უპირანია გავცნოთ ფილოლოგიის პრეველანტ ერთეულს, რომელმაც ეხება ქართული მხატვრული კინოს პირმშოს – „ქრისტინებს“ (1916, რეჟ. ალ. ნუნუა). ფილმს საფუძვლად დაედო მთარგმნილი ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობა. მთარგმნელმა არ იცის, როგორი კონსტრუქცია აირჩიოს ამ აზრის გადმოსაცემად და წერს (გვ. 9): Kristine (After Egnate Ninoshvili's Short Story). მართალია, ამჯერად კონსტრუქცია გაკინტრესებს, მაგრამ თავდაპირველად ითვთ ეს წინდადება უნდა გაირანდოს:

- ა) „Kristine“ კი არა – „Christine“;
- ბ) „Ninoshvili“ კი არა – „Ninoshvili“;
- გ) სიტყვები: „Short“ („მოკლე“) და „Story“ („მოთხრობა“) მთავრული კი არ უნდა იყოს, არამედ მატარა ასოებით;
- დ) მეტი, რატომ „მოკლე მოთხრობა“ – „ქრისტინე“ ნოვლა არაა;
- ე) აკლია ის ნოუანსი, რომ ფილმი „ქრისტინე“ გადაღ-ბულია ევ. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით;
- ვ) ამ ნოუანსის გადმოსაცემად ინგლისური სიტყვა „After“ („შემდეგ“, „უკან“) სრულიად უადაგილოა. უნდა იყოს, საამისოდ სავაგებო ტერმინიც არსებობს ინგლისურში – „Based on“, ანუ დაფუძნებული ამა და ამ წანარმოცნობაზე. ამრიგად, უნდა ყოფილიყო: Christine (Based on Eg. Ninoshvili's story of the same name).

ეს საკითხი ასე დანერგვით იმპროვიზაციებით, რომ უამრავი ფილმის მიზნით გასმოყვებულეს ეს მცდარი კონსტრუქცია „ქრისტინედან“ დაწყებული და „ხევისბერი კოჩია“ (1964) დამთავრებული. ერთგვარი თემატური სისრულისათვის ბარემ ისიც მივთვითთოთ, რომ „წინასიტყვაობა“, ანუ „შესავალი“ სარჩევში თარგმნილია, როგორც „Introduction“ (გვ. 555) – ასეთი სიტყვა ინგლისურში არ არსებობს, უნდა იყოს „Introduction“.

2. „Montage“ თუ „Film editing“? „მონტაჟი“ ფრანგული სიტყვაა და სხვა ენებშიც, მათ შორის, ქართულშიც იხმარება, მაგრამ ინგლისურ ტერმინთან ამ სიტყვას არაფერი აკავშირებს. ინგლისური ტერმინი კი გახალავა, „Film editing“, ხოლო „მემონტაჟეს“ ეწოდება – „Film editor“. უფრო, თუ შეიძლება ითქვას, ყოველდღიურ პრაქტიკაში, იხმარება თავდაპირველ ტერმინი – „cutting“ და აქედან გამოიღწიარე: „cutter“ („მემონტაჟე“), „cutting room“ („სამონტაჟო“) და ა.შ. 1934 წლიდან „ოსკარის“ პრემიაც კი არსებობს ამ მხრივ, წინვითც მრავლად არის და, თქვენ წარმოვიდგინოთ, სავაგე-ბო გამოკვლევაც „Special Rules for the Film Editing Award“ და ყველაზე სწორედ ეს ტერმინი იხმარება და არა ფრანგული „Montage“, რომელსაც ჩვენი მთარგმნელი სხვადასხვა ფორმით გვთავაზობს (იხ. გვ. 84, 91, 102, 107–111 და ა.შ.).

3. „Mute“ თუ „Silent“? ინგლისური სიტყვა „Mute“ ქართულად ითარგმნება, როგორც: „მუდუმარე“, „აუზნი“, „უსიტყვო“, თქვენ წარმოვიდგინოთ, მუნჯეი“, მაგრამ მას არაფერი ესაქმე-ბა ისეთ, მხოლოდ და მხოლოდ კინოსათვის დაახასიათებელ ტერმინთან, როგორცაა: მუნჯეი კინო“, „მუნჯეი ფილმი“, მთელი ძლევაშობილი პერიოდი კინემატოგრაფიის სიყმნეუ-ლისა და ა.შ. საამისოდ, დღიდან კინემატოგრაფიის აღმოცენების არსებობს ტერმინი „Silent“ და ეს იმდენად ცნობილია, მეუ-ბრუნებლად კიდევ ამის შესებება. უამრავი ფუნდამენტური გამოკვლევა, წიგნი, კრებული შექმნილი ამ საკითხზე (ცხადია, მხოლოდ და ტერმინით), ჩვენი ინკოინტო მთარგმნელი კი ჯოჯობად ცდლობს ახალი ტერმინის („Mute“) დამკვიდრებს (გვ. 9, 10, 13 და ასე გაუთავებელი).

მეორე მხრივ, გასაოცარია, რატომ ვერ ჩანდა მთარგმ-ნელი დედნის შეცდომას, თითქოს 1923 წლიდან იღებდენ საქართველოში ხმოვან ფილმებს. ეიმეორეს, ეს დედნის შეცდომა და ძალიანაც უხუბი, მაგრამ ნუთუ მთარგმნელი იმდენად მაინც არ იცნობს ქართული კინოს ისტორიას, რომ მხელა ვინმასი პირველვე ფილმებზე ხმოვანი ჰქონია და ამ სისულელეს უდრტკინელად თარგმნის და ანედის ინგლისურ-



ენოვან სამყაროს. ეს რომ ვინმემ ნახოს ევროპასა და ამერიკაში, ზომ მოგვეჭრა თავი საქვეყნოდ, რუსი კინომოდერნიტი (მადლობა ღმერთს, ვერჯერობით ეს ავანტიურა არ მინდებოდა მათ თვალსა და ყურს) პასკელების სერიალს გამოაცხადებენ ამ ჩვენს პროვინციულობასა და უწინაშრობაზე.

განსაკუთრებით კანის ფესტივალის, ამ უპრესტიჟულესი საერთაშორისო კინოფორუმის დირექციის ნინაშ ვარი პრამადე. 1956 წელს „მადანას ლურჯამ“ აქ მთავარი პრემია — „ოქროსი პალმის რტო“ მოიპოვა, თარგმნის ჩვენი ინკონიტო მთარგმნელი დედნის ამ შეცდომას (გვ. 113) და ძარღვივ არ უტოკდებდა. გაივით, ხალხში, ეგრე საქართველოში გადაღებულ არც ერთ ფილმს არ ხედიოდა ასეთი პატივი ნილად, „მადანას ლურჯამ“ მხოლოდ პირველი პრემია მიიღო, ისიც მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში, რაც, თავისთავად, უსათუოდ დიდი მიღწევაა, მაგრამ „ოქროსი პალმის რტო“ არ მოუღია, და რა ენათა ახლა, როგორ ეუბნობით თავი?

ამაზე რომ გავთილავებთ კანის ფესტივალის დირექციის ნინაშ და ხმას ვერ ამოვიღებთ, გასაგებია, მაგრამ, მერე სად გაივითვით, როცა ამ დაბარსულ 113-ე გვერდს გადავგვიშლიან და გვეტყვიან, ნუთუ ისიც არ იცი, ქალაქი კანი როგორ იწერება (წერია „Kan“, უნდა იყოს „Cannes“). სანდვრესა, ამაზე რა პასუხს გავცემენ ჩვენი უროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელები, ყოველ „უკრებზე“ კანი რომ გარბიან და ამ ქალაქის „სქლნივიც“ კი არ სცნობიან?!

ბარემ ამ გვერდის სხვა „მარგალიტებზე“ გავცენით: ქართულად წერია — კანის IX ფესტივალი, ინგლისურად კი — XI ფესტივალი. რომელი ირწმუნოს მკითხველმა? ასევე: ქართულად წერია — „მადანას ლურჯამ“ შავ-თეთრიო, ინგლისურად — ფერადიო. ქართულად: ფილმი 67 ნუთიანიაო, ინგლისურად — 70. როგორ მოგონით?

გამონაკლისი არ გვეგონო 113-ე გვერდი. რამდენიმე ფილმი ერისა და იმავე გვერდზე ქართულად მოხსენიებულია, როგორც შავ-თეთრი, ინგლისურად კი — როგორც ფერადი. ესენია: „ქართული ბალეტის ოსტატები“ (გვ. 114), „ორი ოკეანის საიდუმლოება“ (I სერია, გვ. 115), „აბაში-აქუი“ (გვ. 116), „ჩვენი ეზო“ (გვ. 119), „სად არის შენი ბედნიერება, შიზა?“ (გვ. 139), „ენგურის ნაპირებზე“ (გვ. 152), „გზაში“ (გვ. 173). ზოგი კი პირქითი, მაგალითად, „ორი ოკეანის საიდუმლოების“ მეორე სერია ქართულად მოხსენიებულია, როგორც ფერადი, ინგლისურად კი — როგორც შავ-თეთრი.

ზოგი ფილმის თარიღი არეულია ერთსა და იმავე გვერდზეც: გვ. 44, კინოფილმი „პოლტზე“. ქართულად წერია, რომ იგი გადაღებულია 1928 წელს, ინგლისურად — 1927 წელსო. რომელს დაუჯეროს მკითხველმა? გვ. 53. „ბოშური სისხლი“: ქართულად — 1928, ინგლისურად — 1929; გვ. 54. „ელისო“: 1928-1929; გვ. 73. „ნახამდის“: 1935-1934; გვ. 81. „ორი მეგობარი“: 1937-1936; გვ. 82. „ქაჯეთი“: 1936-1937; გვ. 83. „ფრთხიანი მღებავი“: 1936-1937; გვ. 111. „ციკიარა“: 1955-1956; გვ. 158. „შე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“: 1962-1961.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ჩვენმა ინკონიტო მთარგმნელმა არც იცის, როგორ იწერება ინგლისურენოვანი სამყაროს საექვენოდ აღიარებულ მწერალთა სახელები და გვარები, მათი ნაწარმოებების სახელწოდებანი და ა.შ.

1. ცნობილი ინგლისელი მწერლის დახეილ დევისის (1660-1731) რომანი „რობინზონ კრუზო“ ვერ კიდევ 1886 წელს ითარგმნა და გამოიცა ქართულ ენაზე. 1947 წელს ვახიორ-

ციოღლა მისი გერანიზაციაც საქართველოში და, ცხადია, სწორედ დ. დევისს ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. და აი, ყოველვე ამას, ნახეთ, როგორ წარმოგვიდგინეს ჩვენი ძვირფასი ინკონიტო მთარგმნელის „After Daniel Defho's nobel“ (გვ. 106), რაც 100%-იანი ნონსენსია — თითქმის სიტყვად შეცდომითაა. ცალ-ცალკე მათი განმარტვა შორს წაგვიტყვანდა, ამიტომ პირდაპირ მივუთითებ, როგორც უნდა ყოფილიყო — „Based on Daniel Defoe's novel of the same name“.

2. „ქალი ბაზრობიდან“ (გვ. 46). ამ ფილმის პირველნაყარო მეტად პოპულარული სიესა (იგი ქართულ სცენაზეც იდგებოდა) — „Desire Under the Elms“ (თარგმანი არასწორადაა — „Love under the Elm Trees“, ამასთან „under“ მთავრულიდ უნდა იყოს). მისი ავტორია გამორჩენილი ამერიკელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი იუჯინ ო'ნილი (O'Neill, 1888-1953). თარგმანი არასწორადაა დრამატურგის გვარი — Y. O'Neill, ანუ, მთარგმნელმა, სხვა საკითხისთან ერთად, არ იცის, რა გასხვავებაა ამოსტრეშა და ჩვეულებრივ მძიმეს შორის, და არც ის, რომ დრამატურგის გვარი ორი „ლ“-ით იწერება. ამრიგად უნდა ყოფილიყო „Based on Y. O'Neill's play of the same name“.

3. „კრაზანა“ (გვ. 50) კოტე მარჯანიშვილმა დააფუძნა ცნობილი ინგლისელი მწერლის ეთელ ლილიან ვოინიჩის (Ethel Lilian Voynich, 1864-1960) ამავე სახელწოდების მეტად პოპულარული მოთხრობის მიხედვით. სამწუხაროდ, თარგმანიც დამაინტერესებელია მწერლის სახელიც და გვარიც (Ethel Vivian Voynich) და მოთხრობის სათაურიც: „The Get fly“ კი არა, არამედ „The Gadfly“. ამრიგად, უნდა ყოფილიყო: „Based on Ethel Lilian Voynich's novel of the same name“.

4. თუმცა რომელ უცხოელ მწერლებზეცა ლაპარაკი, როცა მთარგმნელს ენახებ ნინოშვილი ვერ განურჩევია მიხილ ლიტერატურისაგან. „ტარიელ მკვლავის მკვლელობის საქმე“ გადაღებულიაო (გვ. 19) გვ. ნინოშვილის რომანის მიხედვით და ამ რომანს თურქედ ეწოდება — „Hero of our Time“ (მეთვანხმედით, რომ ჩვენი ინკონიტო მთარგმნელი ერთბაშე უწერიალდა არტიკლებზე და ამის თაობაზე მეტს აღარ გავხარტვებ. პირდაპირ რომ ვთარგმნით, უნდა მთარგმნელმა შემოგვთავაზა, დაახლოებით ასე გამოდის — „გმირი დროის გარეთ“, გენდათ, „გმირი დროის გარეთ“. მაგრამ აზროვნებდა უნდა იყოს არა „out“, არამედ „our“ და გამოდის, არც მეტი, არც ნაკლები, „ჩვენი დროის გმირი“, ანუ, მ. ლერმონტოვის ცნობილი მოთხრობა. რაც შეეხება ეგ. ნინოშვილის რომანს, ავერ 116 წელს მას ეწოდება „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და ამდენად უნდა ყოფილიყო — „Based on Eg. Ninoshvili's novel 'The Knight of Our Country'“.

ახლა ენახით, როგორ უზრუნველბოდა ჩვენი ინკონიტო მთარგმნელი (ქაჯეთი, მინც ინკონიტო ვარ და „ვერვინ მტოა ჩემზედგაო“) კინოფილმ „სამი სიცოცხლის“ ფილოზოფიადიამ (გვ. 18). ფილმს საფუძვლად დაედო ქართული ლიტერატურის კლასიკოსის — გიორგი წერეთლის რომანი „პირველი ნაბიჯი“. მთარგმნელს ამ მწერლის არც სახელი მოსწონს და დაარქვა „Grigol“ (მადლობა ღმერთს, გვარი ევლარ დაუნუნა!) და არც რომანის სახელწოდება: „პირველი ნაბიჯი“ რა ბავშვობაა, „სამი ნაბიჯი“ ავიტოვებო, და ასევე დაარქვა — „Three step“, მაგრამ აქიარდა, დაავიწყდა, რომ თუ ნინოშვილმა, მაშინ ინგლისურ ენის კანონების მიხედვით, „step“ მხოლოდითი კი არა, მრავლობითი უნდა იქნას („steps“). ამასთან, მთარგმნელი უნდა დაეწყო, რაკი



მოთხრობის სახელწოდებად ასაღებ, ანუ, უნდა დაერწი — „The Three Steps“, არადა, ასე უნდა ითარგმნა: Based on Giorgi Tsereteli's novel „The First Step“. საბოლოოდ იმასაც დავძერძ, რომ აქ თუ ვერაფერი მოუხერხება ათვალწუნებულ მწერლის გვარს, ბოლოში მინც განილდა თავისი და საერთოდ არ შეიტანა საძიებლო.

არც ჩვენი მეორე კლასიკოსი დიდიწოდ ინკოვანიტო მთარგმნელმა — ეგნატე ნინოშვილი. „დარიოსს“ ფილმობ-გრაფიკაში (გვ. 80) დაამაზიხვა მისი ორივე მოთხრობის სათაური: „Simona“ ვახდა „Sioma“ (ალბათ, ჩვენი შესანიშნავი ფეხბურთელის — ვლადიმერ, ანუ, სიონა ბარ-ქიასა საპატრეტეუმო), ხოლო „მოსე მწერალი“ მართლაც მწერლად წარმოგვიდგინა („Writer Mose“), მაშინ, როცა იგი ერთი პატარა საკანცელარიო ნინოშვიცი იყო და ამგვნად, უნდა ითარგმნა, როგორც „კლერკი“ („Clerk“).

რაც შეეხება მიხეილ ქიავრელის ბრწინავალე ფილმს „არსენას“ (გვ. 84), რომლის მთავარ როლში მაყურებელმა პირველად იხილა შეუდარებელი სპარტაკ ბაღაშვილი, აქ ისეთი იეროვლადეობა „ჩამაყრილი“, კაცობილი ზასა ვერ გაიკვლევს. თავად განსაჯეთ, არსენას ქართული ხალხური პოემა „არსენას ლექსის“ მიხედვით დაიდაგო, ამის თქმა უნდა მთარგმნელს და ნახეთ, რა ნაცარს გვაგვრის თვალეობი: After the motive for the Georgian verse Atsena. რა ანდე ფილოსოფია უნდადა ამ ფრაზის თარგმნას, თუნდაც ესე (თუნდაც იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ბოლოად ვარი-ანტის შუთავაზების უფლება მაქვს): „According to the motives of the Georgian folk poem „The Song of Arsena“.

როგორც ხედავთ, ნამდვილად აღარ ღარს ასე ჩაღრმავება და თუ მკითხველს მოთმინება ეყოფა, ეგებ ზოგადად და ნაკლებ კომენტარით ამოწეროთ სხვადასხვა სახის შეცდომები:

— „ჩემპიონატი“ არის „Championship“ და არა „Competition“ (შეჯიბრო“, გვ. 408);

— სახელწოდება ფილმისა „სუქურას საიდუმლოება“ თარგმნილია, როგორც „The Secret of the War“. სიტყვა „War“ (ვითომ „მუქურა“) არ არსებობს ინგლისურში — უნდა იყოს: „Lighthouse“ ან „Beacon“;

— ელემენტარული ინგლისურია (ფილმის სახელწოდება) — არა „A Young Pilot“ (გვ. 453), არამედ „An Young Pilot“, ან არა „American Woman“ (გვ. 60), არამედ „An American Woman“ და ა.შ.; ახლა იმის არ იკითხება, ეს სახელწოდება („American Woman“) საიდან მოიღის? ლეო ესაკიას ერთ-ერთ ფილმს ეწოდება „ამერიკანკა“ (რუსულად — L. E. E. — ასე ერქვა იმ საბჭედ მანქანას, რომელზედაც რევოლუციამდელ რუსეთში ბოლშევიკები პროკლამაციებს ბეჭდადენენ... ამ ჩვენსა მთარგმნელმა, რომელსაც არანაირი წარმოდგენა არა აქვს ფილმზე, ეს რუსული სიტყვა პირდაპირ თარგმნა, თანაც უარტყლოდ.

— „Spartalyad“ (გვ. 386) ან ნებისმიერი ვარიანტი სიტყვისა „სპარტაკიად“ არ არსებობს ინგლისურში;

— სახელწოდება ფილმისა „კვლევი მივლინებაში“ თარგმნილია, როგორც „On Holiday Again“ (გვ. 424). „Holiday“ — დღესასწაულია, შეგებულეა და ა. შ., მაგრამ არა „მივლინება“ („Mission“);

— „დანიარი“ წათარგმნია, როგორც „Addition“ (გვ. 555), რაც „დამატებას“ ნიშნავს. „დანიართისათვის“ კი არსებობს საგანგებო ტერმინი — „Appendix“;

— სახელწოდება ფილმისა „ფორპოსტი“ თარგმნილია, როგორც „the For post“ (გვ. 459, თანაც, ნახეთ, ბოლო სიტყვა პატარა ასოთია). უნდა იყოს: „Advanced Post“, ან „Out Post“;

— „Index of sumames“ (გვ. 555) არის არა „ფილმების საძიებელი“, არამედ „სახელთა საძიებელი“.

სახელები და გვარები კი, მართლაც, ცალკე სასაუბრო თემაა, განსაკუთრებით ისეთები, რომლებშიც ურევია: ჯ, ზ, ფ, ლ და ა. შ. ასობით, ვიმეორებ, ასობით ასეთი შეცდომაა, კატალოგში. ასე რომ, მკითხველს ვერ ვაკვირებუბ იმისათვის, ყველა ამ თუნდაც უშეტესობა ამოწერო, მაგრამ თუნდაც ერთს მინც მოვიტან მთელი თავისი „მშვენიერებით“: აი, თორმეტი ვარიანტი სახელისა „ალექსანდრე“ და, რა თქმა უნდა, თორმეტზეც თუ არ ამოწმწერ, გვერდების მითითებით, არაწერ დამოწერებს: 1. Alexander (გვ. 9), 2. Alexander (გვ. 11), 3. Alexander (გვ. 2), 4. Alexander (გვ. 458), 5. Alexander (გვ. 285), 6. Aleksandr (გვ. 16), 7. Aleksander (გვ. 554), 8. leqsander (გვ. 535), 9. Aleksandr (გვ. 537), 10. Alekhsander (გვ. 546), 11. Aleksander (გვ. 534), 12. Aleksandre (გვ. 348).

ამის შემდეგ ვის გაუკვირდება, რომ თარგმანი გვხვდება ხან „Kristine“ და ხანაც „Christine“, თანაც ერთსა და იმავე გვერდზე (9); ხან „Dighmelov“ (გვ. 3), ხანაც „Digmelov“ (გვ. 9); ხან „Vaja Pshyavela“ და ხან „Vaja Pshavela“, არადა, უნდა იყოს „Vazha Pshavela“; ხან „David“ და ხან „Davil“ და ა. შ.

ერთი სიტყვით, ფერი ფერს და მადლი ღმერთს, ასე შეხვედრე ერთმანეთს კატალოგის ავტორები და მთარგმნელი, რაც მეტხედა რედაქტორსა და კონსულტანტებს, ანუ არსებითად ჩვენი საამაყო კინოცენტრის ხელმძღვანელობას, ყველაზე მეტად მათ უნდა მოეკითხოთ იმისათვის, რომ გამოსცეს ეს ყოველად უფარგისი, სამარცხენო, უნიგ-ნურითია და უსუსუსხმგებლობით ხასეც კატალოგი, რომლის სრული რევიზიაცია უნდა მოხდეს და სახელმწიფოს ხარჯებიც უკან დაბრუნდეს. ეს იქნება ყველაზე ღმობიერი განაწერი, თორემ, სულ ცოფილი, ყალბი, უდასაფუციკრ-ბული პროფიტეის გამომეცხისათვის მისი ზღადავლებო-ბა — სასამართლო უფრო მეკაცრადაც სჯის...

ამ სკანდალური კატალოგის გამოცემა საზოგადოების ნამდვილი გამოწვევაა. ამით ხომ თავხედ დღეუბანთა ერთი ეგვად უტყფრად აცხადებს, მოგვით თავი მეც-ნიერებად, ხელოვნებისმცოდნეებად, პროფესიონალ კინე-მატოგრაფისტებად? აი, ჩვენ, გამოვაცქენებთ ამ სულ-ღურ (ჩვენც კი ვიციოთ, რა ბედენაა) კატალოგი და ნახათ, ამ თუ ვინმე რამეს მიხედება, რა ნაწავი ყრია აქ, ამ თუ ვინმე მზას ამოიღებს, ხოლო თუ მინც რამეს დაგვიწერენ, წერონ და იკითხორო.

„მოუტყვევ ამთ, რამეთუ არა იცინა, რას იქმანა“

PS. და კიდევ ერთი — რატომღაც ჩვენს საამაყო სესილია თყაიბილი ოჯერი არის მოხსენიებული... ბაბუის როლის შემსრულებლად („მანანა“ და „მე, ბებია, ილიკო და ილიარეა“). იმდენად ამაზრზუნია ასეთი განუკითხაობა, რომ ერთი პირობა ნაწილიკებაც კი მშინ-და სარა ბერნარის ასოციაციით (იგი ხომ კაცების როლებშიც თამაშობდა), მაგრამ ბოლოს, როგორღაც შევძელი და მინც შევიკაე თავი ამ მკრეხტელობისაგან — როგორ მეკადრებინა ასეთი რამ!

ღმერთო, მოვეცე იმის უნარი, რომ ნინაბერის ისეთი ღრსებითა და რიდით მოვიხსენებო, როგორც ეს მათ და ჩვენც — მადლიერ შთამომავლობას — შეგვეყრის. ამინ!

იოსებ ჭუმბურიძე

სამანის მცველი

მე ახლა თბილისელი ვარ თუ სოხუმელი? – უკითხავს, თერთმეტი წლის წინათ სალომე კაპანაძისთვის თავის რვა წლის ვაჟს. „იმაზე ფიქრმა, – წერს ქალბატონი სალომე, – თუ როგორ დამებრუნებინა ირაკლისთვის აფხაზეთი, კარგა ხანს არ მომასვენება ასე დაბადა თურნალი „იალქანი“.

საქმანვილო ყურნალის მიზანს და დანიშნულებას უკეთესად, ალბათ, ვერც განმარტებ.

ქალბატონი სალომე კაპანაძე „იალქანის“ პირველი რედაქტორი იყო. დღეს კი ეს ტვირთი ნანა ჭანტურიას აქვს დაკისრებული.

მიზანი, რა თქმა უნდა, უცვლელი დარჩა. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ „იალქანი“ უაფხაზეთოდ დაბადებულ და გაზრდილ თაობებში, აფხაზეთის დაბრუნებაშივე, აფხაზეთის გადარჩენას ცდილობს.

რუბრიკით „ქვათა ღალადი“ იბეჭდება სტატიები აფხაზეთში მიგრირებ ტაძრებზე, მაგრამ როცა ამ რუბრიკით ნატო კოფინანტიას წერს, მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლს ნსტორიას კი არ მოგვითხრობს, დღევანდელ ტკივილსაც ახივლებს, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ სტატიას საყმანვილო ყურნალში ბეჭდავს.

მაგალითად, ნკელკარის ტაძარზე (გალის რაიონი) საუბრის ასე ამთავრებს:

„თუმცა, ოდესღაც ქართული ლოცვა-ვედრებით გამთბარ ამ მიდამოებს ახლა ქართველი ბავშვების „უცხო“ ზმები აფრთხობს. დამალბანას თამაშისას, ისინი რუსულად გაითვლიან და ბურთსაც რუსული შეძახილებით დასდევენ“.

მართლაც, ტრაგიკული სურათია.

„იალქანი“ სტუმრებიც, უწინარესად, აფხაზეთის ტკივილზე ლაპარაკობენ.

ლტია იოსელიანი სათქმელს აქაც ორიგინალურად ამბობს:

„თავისუფლებისათვის ბრძოლას ვერვარა აუკრძალავ. ეს ყველაზე დიდი ღირსებაა, მაგრამ ჩვენგან წასვლა და იმპერიასთან მისვლა ვერაფერი თავისუფლებაა. იქ რამ მიხვალ, უკვე დამთავრებული ყველაფერი. რა გამოვიდა – ჩვენგან მიდინარ, რომ სხვას ეყმო? დიდი ერები მიიჩვივნენ პატარა ერებს ყლაპვას. „დიდებიც“ ასე გახდნენ. ეს უნდა გაიაზრონ აფხაზეთში.“

...ისევ და ისევ ხელოვნება, ჰუმანიზმი თუ გადარჩენა. მე ეს გვინია გზა ხსენისა. ეს არის დიალოგის ენა, სიყვარულის, მშვიდობის ენა, სახარების ენა“.

მართლაც, წინაინი სიტყვაა, თანაც იმ მწერლისგან, ვისაც ხალხი უსმენს.

ინტერვიუ-დიალოგი ვრომ ახვლედიანთან, პირდაპირ ეხმაინება იმას, რაც დასაწყისში ვთქვით.

შეკითხვა: „რას ეტყობი იმ გოგო-ბიჭებს, არასოდეს რომ არ უნახავთ აფხაზეთი, მაგრამ არა დევნილობაში, არამედ როგორც ერთი სოხუმელი ახალგაზრდა მწერალი ამბობს, „უსოხუმოდ დაბადებულები“ რომ უკვით?“

პასუხი: „ისინი დაბრუნდებიან აფხაზეთში, როგორც სამშობლოში“.

მწერალი ამ იმედს და რწმენას ასე ასაბუთებს:

„არ შეიძლება, სიყვარული მოკვდეს. ვაი მას, ვინც ნაგვართვა ჩვენ ის კუთხედში აღმამეებელმა „გალოზანი სინანოლისანი“ დანერა. იქ გვეუნება, დაეკიყარი მეზობლები და უმეზობლად დაფრჩიო. ის ამას ნანობს. სწორედ ისაა მნიშვნელოვანი, რომ ჩვენ გიყვარს და ასეთები დაფრჩებით... მე შეიძლება ვერ მოვესწრო ამას, მაგრამ საქართველოს აუცილებლად დაუბრუნდება აფხაზეთი. ისტორიული სიმაართლე ჩვენს მხარესაა და იმიტომ“.

„იალქანს“ აქვს რუბრიკები, რომლებიც ყმანვილთა ზნეობრივ აღზრდას, მათში პატრიოტული სულისკეთების გაძლიერებას, ცოდნის სიყვარულის გაღვივებას ემსახურება.

ბევრის თქმა შეიძლებაოდა ამ რუბრიკებით გამოუქვეყნებულ მასალებზე, მაგრამ ერთი სტატია ყველაფერს ვერ დიჭტვს და ისევ მთავარ ტკივილს მიუბრუნდები. მით უმეტეს, რომ შეუძლებელია, ერთ პუბლიკაციაზე საგანგებოდ არ შექმრდეს.

ეს არის ღია ბართია, რომლითაც „იალქანის“ რედაქტორი სერგეი ბლაღოშის მულოდეს, ქალბატონ მარინა შონია-ბაღაშის მიმართავს.

ამაღლებულია თვით ამ ბართის მიწერის საბაბიც: ნანა ჭანტურიას ხელთ ჩავარდნია დლიური და კითხვარი, რომელიც, 37 წლის წინათ, სოხუმის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-11 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეს მარინა შონიას შეუცვია.

აი, ეს კითხვარაც, შესაბამისი პასუხებითურთ.

- „იქნებით თუ არა გულახდილი?
- ვიქნები.
- თქვენი მიზანი ცხოვრებაში?
- გამოვიდე ღირსეული ადამიანი?
- რას აფასებ ყველაზე მეტად ადამიანში?
- სიმართლეს.
- რა არის ბედნიერება და ხართ თუ არა ბედნიერი?
- ბედნიერია ის, ვისაც მამულისათვის უძგერს გული. მე ძალიან ბედნიერი ვარ.
- ვის აინდობთ ცხოვრებაში?
- ავადმყოფს მუსხელიშვილს. მან თავისი ბრწყინვალე ნიჭით ასახლავა ჩვენი პატარა საქართველო.
- გიფიქრიათ თუ არა მომავალზე?
- მიფიქრია. ჩვენი მომავალი ჩვენზეა დამოკიდებული.





- რომელი საგანი და მასწავლებელი გიყვართ?
- ქართული ლიტერატურა. ვალია იმბანიშვილი."

დღეს რას ნიშნავს თქვენთვის ბედნიერება? - ლოგიკურად და ბუნებრივად ეკითხება ნანა ქანტურია მარინა შორიას და დასძენს:

"ამ პარასს მხოლოდ გულისტკივილი მანერინებს. ენგურთან მოზიდული უცხოური აგურით აღმართული კედელი ვერ ჩადგება საუკუნეებს შორის. სამურხაყანა ვერასოდეს იქნება საქართველო-აფხაზეთის გამყოფი. თუმცა, კრემლის განზრახვა მუხანათურია: აფხაზეთში აფხაზეთი მოგანატრონ და წეს-ადათუვ გათქმევიწონ უარი. მანქურთიში სხვა არაფერია, თუ

არა წარსულთან, ფეხებთან განყვეტილი კავშირი. ჩვენს შორის ომი ჩვენ არ დაგვიწყია, ომი, სადაც „პირველ რიგში დამარცხდა აფხაზი, პირველ რიგში, დამარცხდა ქართველი, გამარჯვდა მესამე“... ლია ბარათს ახლახან დაწერილი ხატი - „სამანის მცველი ღვთისმშობელი“ დაწურთეთ. ვილოცოთ ერთად, სახლ-ვერები დასავაჭრო..."

ერთი საყმანიელო ჟურნალი (გამომცემელი - აფხაზეთის ლიტერატორთა და ხელოვნათა შემოქმედებითი კავშირი), რომელიც მიზნურული სახსრებით არსებობს და სამ თვეში ერთხელ გამოსვლას გაჭირვებით ახერხებს, ამოდნა მისიას - სამანის მცველობას შეუდგება.

იმსახურებს ასეთი ჟურნალი ვტივ უნდადგება!

გამომხაუარება

ნინო ვახანია

**„სიზმარში
ნანახ
სიზმარით“**



**გია კობახიძის
პოეტური დავიუტ**

ჟურნალ „ჩვენის მწერლობას“ სასიამოვნო მოულოდნელობებით განეპიერებული მყავს მკითხველი. და აი, 2009 წლის მე-17 ნომერში კიდევ ერთი სიურპრიზი - გია კობახიძის ლექსები.

დაძაბული ყოველდღიურობა თითქმის არ გვიტოვებს დროს იმისთვის, რომ თუნდაც მცირე ხნით მოვწყდეთ მინას და ცას მივაგებოთ სასიუბით მზურა. ძნელია გაძლევად და მით უფრო, ნერა ისეთ არქულ დროში, როცა „გვიხიდეუ - ქალი ნაირნარია, კაცი არის საძებარი სანთლით!“ გია კობახიძე ამას ახერხებს და წარმატებითაც. დასაფასებელია პოეტის ფაქიზი, ნატიფი დამოკიდებულება სატრუფოსთან. არც სიზარულის ყვირილ-კივინი, არც დარდინანი მოთქმა-ვაგება არ შეეინს, არ უხდება ღვთიურ გრძნობას. მხოლოდ ხსოვნა გარდასულისა, გულში მზის სიბივე რომ იჭრება მარად, საკმარისია ბედნიერების შესაგრძნობად. რა ნაზია და სათუთი - გაუმჟღავნებელი ფორივით დარჩენილი სიყვარული. რამ, თუ არა ლექსმა უნდა ამოაცალოს ადამიანს გულთან შხამიანი ისრის ნარჩენები, იმ შხამის, ცხოვრება რომ უხვად იმეტებს ხოლმე არისტოკრატული სულის მქონეთათვის. სხვამ რამ, თუ არა სიყვარულმა უნდა გააანათს ბნელი. მხოლოდ გულმრწყელ, გულნათელ ადამიანებს შეუძლიათ სიმღერა მაშინაც, როცა გულის

ჭრილობას მარული წვავს, ან იქნებ სწორედ ეს ტკივილი ალაპარაკებთ თუ ამღერებთ...

გია კობახიძეს შეუძლია უხერხული მანერულობის გარეშე გამოთქვას, თუ რას გრძნობს სამშობლოს აბიბინებული მოლის დანახვისას და ძალიან ფრთხილად, ცრემლზე მინიშნებით შეგვაგაონოს: „არ დაიჯერო, რომ ეს დამდნარი თოვლი გუმინნიდელი ჩვეულებრივი წყალია“.

„ახლად მონმენდილი ცა ხარ“, - არ ვიცი, ვის მიმართავს პოეტი - სატრფოს, დას, სამშობლოს, ცას თუ მინას. ვგრძნობ კი, თითქოს ღვთისმშობელი განსხულებულია. სული თავისუფლდება ამქვეყნიური ტალახისგან, მალდდება და იწმინდება ამ სტრიქონების კითხვისას. „სადაც მენ წუნთქად და ფიქრობ, პაერს ვარდისფერი დამკრება“. ასეთი რამის შემწნევა, გულში გამოტარება და მერე უნაკლოდ გამოთქმა მხოლოდ ნამდვილ პოეტებს ხელნივდება.

დღევანდელობისთვისაც უპირიანი გასული საუკუნის 20-იან წლებში ნათქვამი: „ლექსი დაახარო წერილმა ამბებმა“ (ალექსანდრე აბაშიძე) ოღონდ დღეს ცხოვრებიდან ამონანარზე მეტად პირად, ყოველდღიური გახურებას უთმობენ ლექსში ადგილს. და რა სასიამოვნოა, როცა კითხულობ რეალურ ამბავზე (რატომი ნასვლა) აგებულ ლექსს, რეალური ადამიანების სახელებს (ხუტა და ლერი) და ამწნე, ამბავი კი არ ჩაგრავს ლექსს, არამედ ლექსი აღიზალებს და პოეტიად აქცევს პრიზაულ ამბავს. რა ქმნის პოეზიას ამ ლექსში? თუნდაც ასეთი სტრიქონები: „დაწყვიტელი თვლი დარჩენია კუნებს, ისევ ვიგრძნობთ გილე გათიბულის სურწმელ“, ან: „ქვიმას ეგრების ხავსი სიფრფინა ყავრის“, თუნდაც: „ვაშლის ტოტზე სიზმრად ბალახს ხედავს ცელი“... თუმცა, როგორც ჩანს, უმაჯოდ და უმდგეო საქმეს მოყვიდ ხელი. აბა, ამინერილი ცალკეული ფრაზებით როგორ უნდა იგრძნო ლექსი! რა დაამავა სხვა სტრიქონებმა, ახლა სახელდახელოდ რომ ვერ ამოვიწერე („ღამე დდება ბნელი, ბუტუბავს ქრავი ძველი“...). არა, პოეზიას, განწყობას ამ შემთხვევაში ცალკეული მოქმეული ფრაზა ან სიტყვიერი სამკაული კი არ ქმნის, არამედ ლექსი თავიდან ბოლომდე, ერთიანად, თავისი სათქმელით, ფორმით, განწყობით ზაძებს პოეზიასთან შეხვედრის სასიამოვნო განცდას. და ნათდება ირგვლივ ყველაფერი „რატოს დღის მადლით“.



გია კობახიძისთვის სიტყვა უფრო მეტია, ვიდრე ურთიერთობის საშუალება. სიტყვა იდუმალია, საკრალური, უფრო საგნდნობი, ვიდრე საცნობი. პოეტის ეფერება, ელონაკეობა სიტყვებს იმე, რომ უზინარაბი ლამაზ თონებნად არ აქცევს მათ. ამიტომაცაა მის ლექსებში ჰარმონიულად შერწყმული აზრი და ფორმა. მკითხველს ეჭვა არ ეპარება ამ სიტყვების გულწრფელობაში: „მე ვენაცვალე შენს სიტყვის კონებს, შენს სულხან-საბაბს“.

გია კობახიძის ლირიკა თავისუფალია მაღალფარდოვნებისაგან. კონტექსტის გარეშე იქნებ ყურს ჭრიდეს: „აჯხონოს ღმერთმა ბატონი გოგლა“ – მაგრამ ლექსის ერთიან სიწონის ძალიანაც შეეფერება. რაც მთავარია, ყველა ნერვით გრნობ, რომ პოეტს არ კობახობს, თავს არ განზონებს. მისი ყოველი სიტყვა აბალია, ნრფული, მოუკამ-მოუკიბაი. „ვინ მეტი მოკლა, სიტყვამ? თუ სიტყვამ?“ – გვეკითხება და იქვე თავისი გულისწუნობის თანამოზიარედ გვდის: „ახსოვს კი ვინმეს, რაც კარგად ითქვა“. ავტორი არ არის უპირველესი მელექსე, მაგრამ უნდა თამამად თქვას, ერთ-ერთი კარგად მოქმედი უთუოდ არის. „მაგალითად: „სიზმარში ნანახ სიზმარიელი გისხენებ ახლა“ ლამაზიც არის, მინარსიანიც და ემოციურიც. ახლა ეს ენაობით: „ოქტომბრის ბოლოს დაგასვლენს მისის თქვით, თუ სიყვარულის ნაყურკალი თითებს შევატებს“. ემზობ, ასე თუ განვადრძე, ყველა ლექსის გადმონრა მომინებს.

პოეტის სილიერეს მონობმა და დასატურებს ისიც, რომ მას შეუძლია ვულგარულობის გარეშე წეროს ინტიმურ განცდებზე. ქალის ხორციელი სილამაზით აღძრული იმპულსი ლამაზ ლექსად იქცა და ავტორის ლამაზი სული დაგვანახა. „რა უნდა ვნა ანი, დავიფრულე აკი, ვიღუებნი ნელა, ასე ყველას თვლინდი. მოგონებს მივდე, ის კი სადაღაც ვარბის“.

როცა პოეტი ასეთი კონსტრუქციის ზმნებს ხმარობს, „რა გეხავსება“ ან „რა გელოდება“, რა თქმა უნდა, ვალაკტიონისეული „რა მემღერება“ და „რა მეკოცნება“ წამოგვიტევიდრება მესხიერებაში, მაგრამ ეს მინც არ არის სხვისი გამორება თუ გადამღერება. გაურკვეველი მომავლის გამო წუხილიან ერთად ლექსში საოცარი სინათლეა დაგანებული. „კიდვეთ ენახათ გაზაფხულებს“ – გულს გვითბობს და იმედით გვაგვებს. თვალგახილილი საღამო, თმამშრობილი ყანები, თოვთი სავსე სათავე ყველა ამქვეყნიურ საზრუნავზე მაღლა აყვინებს პოეტს და ეს განწყობა მკითხველსაც გადაეცემა. „კარგად ვიცი, ეს ჩემია, სხვისი იყოს ბევრი ფული, მთელ ქვეყანას მორჩერი ეს ტყვეები გალუმპული“. ასეთი რამის თქმა ზალად, სიამაყით, თამგონობით მხოლოდ სულით მდიდარ ადამიანებს ძალუძთ. „მთლად მე მკეთუნის ქვეყანა, მთაში – მთა, ბარად – ბარი“, – ბრძანებდა ულარიბისი და იმავდ დროს უმდიდრესი პოეტი. მაღლი, ლეთიური მადლი ტრიალებს გია კობახიძის ლექსებში და ამ უსწორმასწორო, უსაყრდნოდ დროში ჰარმონიისა და ნონსწორობის შენარჩუნებაში გვეხმარება.

პოეტის ფაქიზი სმენა ბუნების

ყოველ ხმას შეიგრძნობს. ბავშური გულუბრყვილობა და ცრურწმენა სულაც არაა საჭირო იმისთვის, რომ ირწმუნო, საცა და საცა ამქვეყნიური სასნაული ხდება, სწორედ იქ და მამირ აბლოს არის ცით ჩამოსული ანგელოზი. ამიტომ მამისი ვალობაც ანგელოზურია, ჭრული მინდფრეხიც და დიდის სიოც, მამლის ხრინჩაინი ხმაც და დამის ფშვინაც...

ძალზე საერთობლოა, ბუნის ხიდზე გავლენს უფრის ბევრჯერ ნათქვამის ბელახა თქმა, თქმა ლამაზად, მინზიდველად, ორიგინალურად. რამდენი დაფიქრებული სიცოცხლისა და სიკვდილის რაობაზე, ამქვეყნად ჩვენი მოსვლის მიზანზე, აქ დასაბუთებულ და იქ ნასაღებ ბარგად... გია კობახიძე ამ თემებზე საუბარს ახერხებს მშვიდად, თავისებურად და, რაც მთავარია – ლამაზად, პოეტურად.

კალენდრის ბოლო, უკვე მოსახვეი ფურცელი გავფრთხილებს: „წინ სახიფათო მოსახვევია“ (ამას აკაკი ასე იტყვად: „ნახევარი ცხოვრების გზა გაველი...“).

თავის ათასნაირი წერილმან-მსხვილმანი, საექიარალ-სადარდელით, ბევრი მწუხარებით და ცოტა სიბარულით – ყველაფერს ამას ცხოვრება შეჰქია, ამას ცხოვრებას დაარქმევ თუკი“, – უბრალოდ და გულში ჩაწმინდამდ გვესაუბრება პოეტი.


ამ ჭრულ და ზიდათით სავსე ცხოვრებამ ადამიანი ყოველთვის მარტოა („მინც კიდევ ვერავის მიპკარება, მინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში“), არავინა ჰყავს მენდ უფლის გარდა. მით უფრო საზარდო, რომ მოკვდავთაც არავინ იცის, ჯერ ვერავის გაურკვევია, მინც კი მანძილია „აქვინდა კუბის ძელამდე“.

ცხოვრების ხანგრძლივობა ხომ საქმეებით იზომება და არა წლების რაოდენობით. ყველაზე მთავარი საქმე კი მოყვასის სიყვარულია. ამ სიყვარულს უზედ გასცენს პოეტი. ამიტომ მეუფლია, მევიდად გაუსწოროს თვალს მომავალს: „სიკვდილი სულაც არ არის მწელი, თურმე სულ ერთხელ გავაფრიალებს“. იქაც ბარგის დამბარგებელი ხედება გარდაცვალებას ასე (აღმერთმა გიმგელოს, სიკვდილო...“, „სიკვდილის გზა არრა არის...“).

აკაკი წერეთელს არ მოსწონდა გრიგოლ ორბელიანის მელექსეობა. ამუნათებდა – პოეტობა პროფესიად არასოდეს მოუწევია, ლექსის მოცადლობის ფაშს წერდა მხოლოდო. რუსეთის არმიის გენერალი კი მონოდებით სწორედ პოეტი იყო – სწორუმოვარი მთქმელი და მოძღვარი.

ხდამა ხოლმე, არცთუ იშვიათად – ადამიანი რამე პროფესიას ირჩევს, მთელი სიცოცხლე ერთგულად ემსახურება მას და ნარამტებასაც აღნებს, მაგრამ მონოდება სულ სხვაა.

ვინ უფრო მაღლა დაგას: გია კობახიძე ექვით თუ გია კობახიძე პოეტი? მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „სჯობს ეს საკითხი თვადმივცილს მანიც გაისინა“.





ზვიად კვარაცხელია

შეკრება და გამოკლება

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესად გაჭირვებულ მდგომარეობა?

— გახსენება დაიწყებული სიზმრებისა, როცა მათ დასიზმრებას ნლობით ელოდი.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— ქართულ მიწაზე და წლების შემდეგ — ქართულ ზეცაში, თუ მიმიღებენ.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— „გამარჯობა“ — ამ სიტყვის ნარმოთქმა გამთენიისას, ყოველ ნუთას, მთელი დღე. რაც არასდროს მომზებრედება ღობით, რადგან დამბედვებასეთია, კურთხევასათუთ, სიტყვაში გამოხვეული მადლის ნატყხია.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— კონსტანტინე სავარსამიძე („დიონისოს ღიმილი“) — თავისი გამაოგნებელი ვაორებითა და მძიებელი სულით, მარიტა („ნატყრის ზე“) — სიღამაზე, რომელიც უკვდავი და ალექსანდრე მაკაბელი („ყოველმან ჩემმან მიოვნელმან“) — მოხალისეკნ მიმავალი ცალხელა კაცი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— რამდენიმეს გამოვარჩევდი: ილია, დიმიტრი ყოფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზვიად გამსახურდია.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ირაკლი ფარჯანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— გია ყანჭელი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— გამბედაობაში — მამაკაცის ღირსება. ამაზე დგას გმირობაც, მითითი თვგვადასაღვლებიც, რომანტიკის კომპები და ქაჯთა ციხის აღების საიდუმლოც.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ნახევარ სამეფოს კი არა და, — ერთაულ ქალში ცხელ გულს ვიძლევდი.

— რომელი ადამიანური სათნობაა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

— მორჩილება, რომლითაც აშრცებენ უკეთურ ქცევებს და შეგიძლია სიყეთე ვახასრო.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ძენა ვაუვალ და ვაუკაუფე ტყეებში. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გონებაში ზიტყალით.

— თქვენითვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოველთვის?

— ყველას დებატარებ ცოტ-ცოტად, როგორც მაკურნებელ წყაროს და ბავილას ხანმოკლე ავადმყოფობისთვის.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— შენება და ნერვაჟ, დახსმება და დაიწყება, ნინსლა და უკანდახევა, — საპირისპირო სიტყვებს ვათავსებ

გვერდიგვერდ, შეკრება და გამოკლება შემძლია.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— თანადგომას (ექვი მაქეს, ჩემგანაც იგივეს მოეღიან).

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ხატონად თუ ვიტყვი, ნაკლების შტოგანიერი ზე ვარ, სადაც დროდადრო, ახალ-ახალი ტოტეიცი ნამოიზრდებიან, ძველი რომ დაწრდილონ და მიანუშაიონ.

— თქვენი ნარმოდგენა ბედნიერებაზე?

— შუქი უნდა ბუტყავედეს სულში ესეც საკმარისია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— რომ, ამ სიტყვის ყველანიერი ვაგებით, გარდა ერთის — საკუთარ თავთან ომისა.

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ნემა მინდოდა ვყოფილიყავი, ცხრა სახელი მეწეზობდა და შეებად მოვეფონებოდი გკოლისგან დახეტებულ მიწას... ერთი სიტყვით, შეების მომიწყებელი მინდოდა ვყოფილიყავი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მოლოდინისფერი — ვერ აებსნი, მაგრამ ვამბობ, არერთხელაც მითქვამს და მზირად გავიმოკრებ, რომ ეს არის ჩემი ხასიათის ძირითადი მეწერილობა.

— ყველაზე, რომელიც ყველაზე მეტად გყვარათ?

— გვირილა [ექვი მაქეს, მეგობრებისგან გამომშდომ მისი თაყვანისცემა].

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ფრინველი ცისანი, ტოროლა, რომელსაც ზოგი „ცასწავლას“ იძახის.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ვრცელ ჩამონათვალში განსაკუთრებით გამორჩეული მყავს: კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ ორბელიძე, ოთარ ხუციანი, ოთარ ქიქაძე, გურამ რჩელაშვილი.

— თქვენი საყვარელი პოეტი?

— პოეტებზე მეტად პოეტური სტრიქონები დამწედება ხოლმე. ახლაც ეს ერთი — „კაცი პატივსა მინა იყო და არა გულისხმა-ყო; ჰმაჟივდა იგი პირუტყვთა უფურთხთა და მიმეზავება მათ“ — ამეკიატა ფსალმუნისა.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალი?

— ნანი თავყელიშვილი-მირერისა („დათა თუთაშია“).

— საყვარელი გმირული რეალური ცხოვრებაში?

— დედარეზი და საერთოდ ყველა დედა, შვილის ნაზარდობით განსკტაკებული, იმედანი და დაუფასებელი, როგორც ყოველთვის.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ჩვენი ძირფრად და სათაყვანებელი თამარ მეფე, ერთი დაუსრულებელი ამბავი სიყვარულისა.

— საყვარელი სახელები?

— ბარბადე და ნიკოლოზი.



- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- როცა მანყვეტინებენ, თუმცა მეც ხშირად ვანყვეტინებ სხვებს. გამოდის, ცხოვრება ფიქრისა და ქცევის შეწყვეტინება ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩემთან მიანც.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
- ზიზღისთვისაც ნუ გავიმეტებთ მთლად. ისე კი ბევრნი არიან, ვინც სიყვარული, მონივნა და პატივისცემა ვერ დაიმსახურა.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მებრძოლები ალტაცებისა?
- დიდგორის ომი, სადაც უკიდურესად ნარმოზნდა ჩვენი ნაციონალური იერსახე, ერის ავ-კარგი და დაფარული თვისებები.
- რეფორმა, რომელსაც განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- მთავრობისა და პარლამენტის ინიციატივა მსჯავრდებულთა მონასტერში შრომის შესახებ.

- ნიჭი, რომელსაც გინდა ფლობდით?
- უძილობის ნიჭი (თუკი არსებობს რაიმე ასეთი).
- როგორი გინდობათ რომ მომკვდარიყავით?
- შეეხატრი მამა ანდრია ყურაშვილის აღსრულებას. უფლისა და სამშობლოსთვის თავგანწირვის მაგალითია.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- გარინდული.
- ქმედებანი, რომელიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- შეუძლებელია არ გზიზღავდეს გულწრფელი სინანული, საუნჯეა ნამდვილი. ყველგან და ყოველთვის შეგიძლია გამოაჩინო და გემაყებოდეს.
- თქვენი დევიზი?
- მიხეილ ქვლეიძის ლექსიდან მახსენდება: „ის მაინც ბრუნავს! დმერთმა ნუ ქნას, გიორგი ჩემო, დაეცხრეთ, დაეწყნარდეთ და ცხოვრების დაეკარგოთ გემო...“

ახალი ნიშნები

ნუნუ ჯანელიძე

სიზმრის წყურვილი

ვის არ მოსწონებია ერთხელ მაინც სიზმრა: სვამ, სვამ წყალს და მაინც წყურვილი კვლავს. მე დედის სიყვარულს სიზმრის წყურვილი დაეკრქა: ენაფები მის სიყვარულს და მაინც დაურწყულეხელი რჩები, პირთამდე საცე ხარ მისი სიყვარულით და კიდევ მეტად გწყურია.

გახსოვს, როგორ გიყვარდა დედა, როცა პატარა იყავი, როგორ იყავი მასზე მოჯატულო. გვგონა, დედის იქით სამყარო არ არსებობდა (თუ დედა იყო მიოელი სამყარო). ალბათ, შენც გიტორია (ბავშვობისას) დედის სიკვდილის ნარმოვდგენაზეც კი.

ბავშვის მაღლიერი ბუნება, ალბათ, ასე პასუხობს მშობელი დედის უსაზღვრო სიყვარულსა და სინაზეს. დიდობაში ადამიანი უმადური ხდება, ყველაფერს უფრო თავს უმაღლეს, თანდათან შორდება დედას.

მაგრამ თუ შენში ბავშვი ცოცხლობს, დედის სიყვარულს ჩრდილი არასოდეს მიაღებდა.

რომელმაც გადაარჩინა თავის თავში ბავშვი, რომელმაც შეძლო სამყაროსთვის ბავშვის თელეუბით ეშხირა. ალბათ, თითო-ორიოლა ბედნიერმა. და მათ შორის ვეცა ხორნალუმა.

მე მანამდეც ასე ფიქრობდი, ვიდრე პოეტის ახალ ნიშნს — „თუ უკვდავების ვიპოვე წყარო“ — ნაეიკითხავდი. მაგრამ კრებულმა, რომლის ყველა ლექსი დედას ეძღვნე-

ბა, კიდევ უფრო დამანახა ვაგა ხორნალუს ფაქიზი, სუფთა სული.

ალბათ, ბევრი ნანარმოები არსებობს დედისადმი მიძღვნილი, ბევრი ლექსი; მათი კრებულად შედგენაც შეიძლება (იქნებ შედგენილი და გამოცემულია კიდევც), მაგრამ ერთ პოეტს რომ ამდენი ეტყობს და ეწერს დედაზე, დედაშვილობაზე, სხვა არ მაგონდება.

ნეტა თუ ვუბნებნებით დედეებს სათქმელს სიცოცხლეში, თუ გამოვხატავთ სიყვარულს ისე, როგორც საჭიროა. ვაგა ხორნალუმა ამ ლექსებით ჩვენი სათქმელიც თქვა, გაგვიოცლა ჩვენი თავის გამოხატვა.

დიდა დედაშვილობის ძალა. მიმართავც კი „დედა, შვილო“ თვით ყველაზე გამეხებულად ადამიანის გულს მოაღბობს. ყოველ შემთხვევაში, ზღაპრებში ასეა. „დედი, დედი“-ს დედაზეა თვით დედის დედაშიც მშობლიურ გრძნობებს აღძრავს.

უდვიდოდ ქვეყნად ჯერ არავინ დაბადებულა. თვით უფალსაც შყავს დედა. „ქრისტეს მეტს დედის ამავე გადაუხდია არავის“-ო, ამბობს პოეტი. თუმცა თავისი ნილი ტკივილი ღვთისმშობელსაც ერვა („პოეტა“ — მწუხარე დედის სახე), მაგრამ ქრისტემ მშობლის დედა (და შვილზე მგლოვიარე ყველა დედა) აღდგომის სიხარულს აზიარა.

— ქუთუთიანი ინფორმაციის ფაკულტეტზე სწავლობს, გიორგი — ენერგეტიკის, ამასთან, გიორგი კონსერვატორიაშიც მოეწყო, საყვირს უკრავს. ქუთუთი და ბარბარე მეფილოლინები არიან. მოკლედ, შინ მთელი ორკესტრი შეიღს. ბარბარეს თეატრალური საქმიანობაც იზიდავს, თან კარგად მღერის; კალამი სამივეს უჭირს, ხანდახან წერენ; ვნახოთ, მომავალში რას მიანიჭებენ უპირატესობას. იმედი მაქვს, რომელიმე მაინც გავაგრძელებს ლიტერატურულ საქმიანობას.

— შენ დიდი ოჯახი გაქვს. ერთგან წერ: „ულრუბლო ღამეა / ვარსკვლავებივით მომრავლებულან / კარის ნინ / ჩემიანობის ფესვაცლებები“. როგორ ასწრებ ყველაფერს ერთად და როგორ იცილი ლექსისთვის?

— ალბათ ყოველდღიურად იმიტირ ვასწრებ ბევრ საქმეს, რომ ყოველთვის ვიცი, რა მაქვს გასაკეთებელი. ძნელია, ერთდროულად ყოველდღიურობის ძირ-ვარამ-ლიხინის განმკითხავ-გამზიარებელიც იყო და პოეტიცა, მაგრამ ჩემთვის პოეტური სამყარო იმდენად თანმდევია, რომ მისგან გამოცალკეება უკვე შეუძლებელია. ხანდახან მგონია, რომ ჩემში, სისხლის ნაცვლად, ლექსები დაიარსებენ, მოძრაობენ. ამიტომაც, ლექსის წერისთვის, ისევე როგორც სუნთქვისთვის, არასოდეს, მაგრამ ყოველთვის მცალია!

როცა ლექსსა ვწერ, ყველაფერს და ვერაფერს ვხედავ. ქსოვა და, რას მოქსოვს? სულ ერთმანეთში აბჯურდება ფერადი ძაფები: ციცქნა ლექსები და შეიღები...

— წერ: „სიყვარული — ეს ისეთი თორემაა, სიცოცხლის პოლომდე რომ უნდა ამტიციო...“ რა არის შენთვის სიყვარული?

— სიყვარული — კრილა ლურჯ ცაზე შემოქონილი ოქროსწინვენიანი მზე — ჩემთვის უფლისკენ საყალი გზა...

— მინდა შენივე სიტყვები შემოგიბრუნო: „რაც უნდა დიდხანს ვიცოცხლო, მაინც ხანმოკლე რად გვეჩვენება წესთვისფელი...“

— მესტაც გეტყვდი: მუხაზე ჰკიდა გრძელი საბქნაღა: გაქანდები — ბაემე ხარ, გამოქანდები და — უკვე მოზუცი“. ალბათ ეს დროა საქმარის გამოცდის ჩასაბარებლად, თუმცა ამას გვიან ვხედავით...

— რომელია შენთვის ყველაზე ახლობელი დღესასწაული?

— ჩემთვისა ყველაზე ახლობელი დღესასწაულია დილა!

— როგორია შენი დილა?

— ახალი იმედების, მოულოდნელობების ფუქემდეგელი, ათასნაირი სათამაშობით და საქმით დახუნძლული, მზადმყოფი ჩემი სტუმარ-მასპინძლობისთვის...

— შენს ლექსებში ხშირად მოიხსენიებ ხეებს, ჩიტებს, ბუდეებს; რით გვავართ ადამიანები ჩიტებს?

— მტე-ნაკლებად გვავართ და განცხხეავდებით კოდეც. ნემის დროს ისინიც ვერ დაფრინავენ... ჩიტები

გათენებასაც და დაღამებასაც ქიქიკით ხედეზიან. ამ დროს ცის კამარაზე ენით აუნერელი ერთამული და სახეიშო ფრენა აქეთ ზოღმე გამართული. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ადამიანებმა კი მათგან ენა და ვერ ვისწავლეთ სიცოცხლის სასწაულისადმი სამადლობლის სათანადო გამოხატვა... რამდენი ხედეზა დილას ბუზიუნით, კენესით, ჩხუნით, და იძინებს სულიერი თუ ფიზიკური ტკივილებისაგან გათანგული, დამაფეველები...

ბუნებისგან, მათ შორის, ჩიტებისგანაც, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. ისინი ძალიან საყვარლები არიან, უფრო ერთგულები, სათნოები, გულადები, უფრო ახლოს არიან ღმერთთან და სიყვარულთან, ვიდრე ადამიანები.

ხან რაღაც (სულიც, სხეულზე მეტოც) როცა მტკიცა და ცრემლმორეული გაყვურებ ჩიტებს, სული მომიბრუნდება ხოლმე: ისინი მწუხარებას არ აღეჭვები, ფრენაში ხელი რომ არ შეეშალოთ.

— ამბობდეს, პოეტის განმარტება განსაკუთრებულია. შენ გაქვს ციურპრიზი „სხივთაშორისი განმარტება“... როგორია შენი მარტობა?

— ხან მგონია, რომ ადამიანებს გარეგანი შემოტევა-შემოსევებისაგან დამცავი უზილავი აპკი გექვას შემოკრული და ეს განაპირობებს ჩენი განმარტობის შესაძლებლობას.

თუ მჭირდება, ხალხმრავალ ადგილებშიც ვახერხებ ვიეთ სრულიად მარტო. ეს რომ არ შემძლებოდა, ალბათ უფრო გამიძრებოდა.

— შენ გორის რაიონის სოფელში — ფხენისში — დაიბადე, რომელიც ახლა ბუფერული ზონაა. რამდენად ტკივილიანი იყო შენთვის ავტისტის ომი?

— ჩვენს მაღლიან მინა-წყალს როგორ არ უხედეზიანის საშინელი ტრაგედია, რომელიც დატრიალდა... მოულოდნელი საფრთხისა და განსაცდელის წინაშე მყოფნი გაოგნებულებიდა ვიყავით. სახლ-კარის მიტოვებას ხალხი სიყვილს ამჟობინებდა...

ასეთი დიდი სულიერი და ფიზიკური განსაცდელის ფაშს, მიგხვდი, რომ ერთადერთი, რისი ვადარჩენაც შეგვეძლო, სამშობლოს სიყვარული იყო; იმ გრძნობის გაფრთხილება, რომელსაც გულით ვატარებდით... რაც უფლის გართება, ისაა განწერილი დასაღუპავად... ამიტომ მეჯერა, საქართველოს ქართველების მხურვალე სიყვარული მუდამ დაიფარავს!

— როდის იყავი ძალიან ბედნიერი?

— ბედნიერება იმდენად პრობანია ცნებაა, რომ ხანდახან არაფრის გამოც ძალიან ბედნიერი ვარ.

— ჩემი ცრემლის განმკითხავი ლექსია მხოლოდ. რას დაამატებდი?

— კიდევ ორ კურცხალს:

წემის!

საიდუმლო სანვეთურებიდან ცტიორვარ გართო.

ჩემთვის ყველაფერს ცრემლის ფასი აქვს ამიტომაა ყველაფერი ასე ძვირფასი.



დილაობი

— შენს თაობას დაკარგულ თაობად იხსენიებენ. როგორია შენი აზრი...

— რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა შემოქმედებითი გარჯისთვის მწერალს თუ სათანადო პირობები, დაფასება და შესაძლებლობათა გამოყენების საშუალება ექნებოდა. მის მიერ მოწვეული სულიერი მოსაყალი ხომ პირადად მისთვის კი არა, ხალხისთვისაა განკუთვნილი. მაგრამ მაინც მგონია, რომ სანათელ-საქმეველი გზას არ დაკარგაქს! რაც უნდა მწერუნეულობა გაუნოო, დასაკარგი მაინც დაიკარგება, განა ბევრმა გაუჭლო დროს? ამდენად, ჩვენი ნინა და მომდევნო თაობა, ეს დაუკარგავი თაობა, საბოლოოდ შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს უპირატესი

იმ თაობასთან შედარებით, რომელსაც ახლა დაკარგულ თაობად მიიჩნევენ.

- არ ფერისაა შენთვის ცხოვრება?
- ჩემი ცხოვრება ფერთა მივლ სპექტრს ატარებს, არა რომელმაც ერთ ფერს, არამედ მარად ერთმანეთში გარდამავალი.
- ბაიბერი თუ შეგვხვდრია?
- ამაზე არასდროს ფუქრობ, ამდენად, ჩემთვის არც არსებობს.
- რომელია შენი სამაგიდო ნივნი?
- სამაგიდო ნივნი? ნივნი, რომელშიც სრულიად სუფთა, თეთრი ფურცლებია.

რეპორტაჟი

ეკა ბუჯიაშვილი

ილიას გზის ბამბრქალებელი



ლია კუხიანიძის სადოქტორო დისერტაციის ოთხი რეაქცია

„ქართული საზოგადოება ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში“ — ასეთია თემა ლია კუხიანიძის მიერ ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომისა, რომლის დაცვაც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა. დაცვის სწავლული მდივანი მურმან ჰაპაშვილი უძღვებოდა, სამცხნეირო კოლეგიას (რომლის შემადგენლობაშიც არიან: როსტომ ჩხეიძე, თემურ ჯაგოდნიშვილი, ნინო ვახანია, ლალო მინაშვილი, იუზა ეგვიანიძე, რუსუდან თაბუკაშვილი, რუსუდან გოციროძე, მურმან ჰაპაშვილი, ბადრი ცხაძემ) თავმჯდომარეობდა ქალბატონი მია ჩხეიძე. როსტომ ჩხეიძის სამცხნეირო ხელმძღვანელობით დაწერილი სადისერტაციო ნაშრომი ორმა რეცენზენტმა — თემურ ჯაგოდნიშვილმა და ნინო ვახანიამ — შეფასა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ნაშრომში დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა შესწავლილია „ერთი აქტუალური და არსებითად მისი რაობის განმსაზღვრელი პრობლემის — ქართველი საზოგადოების ასახვისა და დროის კონკრეტულ მომაკვეთის მისი არის აღწერა-წარმოშვნის თვალსაზრისით“.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის მიზანია ქვეყნის ისტორიის ფონზე „ქართველი საზოგადოების ისტორიის“ წარმოქმნა და ამით „ერის სულისა და ქემპარტიკი ლიტერატურის განვითარების სურათის დახატვა“. ამ თვალსაზ-

რისით ნაშრომში გაანალიზებულია ოთარ ჩხეიძის გასაოცრად უხვი მემკვიდრეობა — 24 რომანი, რომელიც მოაზრებულია ქართველი ხალხის ისტორიად, ილიასმედგომ დროის „მატიანე ქართლისაისად“, რომელშიც ლია კუხიანიძე სავესებით ლოგიკურად გამოყოფს ტრილოგიას — „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“ და „პერმუდის სამკუთხედი“ — რომელიც დისერტაციის მართებული დეკორებით, მარტო ეპოქის მალდმხატვრული ტილო კი არ არის, არამედ საზოგადოების გაჯანსაღებისა და გაფიქსიზებისკენ მიმართული კიდევ ერთი დაუღალავი ცდაა.

საერთოდ, კვლევის დროითი სივრცე კი მოიცავს პერიოდს XX საუკუნის 20-იანი წლებიდან XXI საუკუნის პირველი ათასწლეულის მოვლენებამდე.



ბატონმა თემურ ჯაგოდნიშვილმა ისაუბრა სადისერტაციო ნაშრომის მცხნეიროლ აქტუალობაზე, კვლევის სიღრმეზე და საბუთიანობაზე, თვალსაზრისით არაერთქმედ და აღნიშნა:

— თერთონ თემა ძალზე სერიოზულია. ოთარ ჩხეიძე გამორჩეული ხელოვანია, სრულიად განსხვავებული ხედვით. ის ერის უზრალო მესიტორიე არ არის, იგი ხალხის მესიტყვა და ქვეყნის ხელისუფალთა ინტელექტუალური ოპოზიციაა, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ხენობრე-ეითიკური მავსიცივისა და ციომილბებთა „მავსიაცა შემტყობარია“, ამიტომაც არის, რომ ქვეყნის ხელისუფლებაც და საზოგადოებაც დიდი გულისკურით უსმენს მწერალს და მისი თქმულით ასწორებს უნებლიედ გამრედებულ დროის მსატრეობას. სწორედ ამიტომვე ამიტომვე კუთრებული კვლევის საგანია ოთარ ჩხეიძის შემოქმედება. მაშინ, როცა ქართული მწერლობა უპირაგი ევროპული მიმდინარეობით კომნიაობს, ოთარ ჩხეიძემ აირჩია სრულიად ორიგინალური გზა, რომელიც მხოლოდ ქართული მხატვრული აზროვნების ტრადიციებს ფუძნებდა. შესაბამისად, მან მოიმარჯვა გამორჩეული სტილი — ისეთი, არსებული პრობლემათკის აღქმა-გააზრების რომ შეეფერებოდა. ფაქტობრივად, ოთარ ჩხეიძის შემოქმედება არის ილიას შემდგომი საქართველოს ისტორია, ილიას შემდგომი ქართველობის ლტოლვა-მიმართებანი, ცხოვრებისუ-



ლი მრწამსი მოქალაქეობრივი პოზიცია... ეს რთული თემა ვერ ამოიწურება ერთ სადისერტაციო ნაშრომში და ჩემი შენიშვნებიც — მარჯალითადაც, რომ ჩემი აზრით, მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა ითარ ჩხეიძის მხატვრული ენის დახასიათება-ანალიზს, როგორც გამორჩეულ მოვლენას XX საუკუნის ქართულ მხატვრულ მეტყველებაში; ან კიდევ ის, რომ ამ მწერლის შემოქმედების საიხლოვეს ვასილ ბარნოვის მწერლობასთან, ასოციაციებსა თუ მსგავსების ნიშნებს დაკონკრეტება სჭირდება და ა.შ. — ძირითადად უკმაყოფილო ვარ ჩემი აზრის განხირობებულში. ამ ნაშრომში მოცემული პირველი დონე — რა არის, მაგრამ ჩვენ, ლიტერატურათმცოდნეებს გგანინტერესებს თუ რატომ არის ის, რაც არის და როგორ არის შექმნილი. დისერტანტის განსხვავებულობა და ცოდნა საკვლევი საკითხისა, მაძღვეს იმედს და საფუძველს ვიფიქროს, რომ იგი გააგრძელებს მუშაობას და შემდგომ დონეებსაც გამოაკვლევს. ამ ეტაპზე მიამჩნია, რომ ის იმსახურებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ფილოლოგიის დარგში.

— სწორად შენიშნავს დისერტანტი, რომ ითარ ჩხეიძე უძველესი ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია, ვაჟა-ფშაველას „ნიჭიერი მწერლის“ მოთხოვნათა ერთგული. მწერალმა მაკა ჯოხნათი ის საშემოლოს, როგორც მარადული სატრფოს გაუმწელებელი სიყვარულის გამო აკაის შეადგინა. თვითონ მწერალი ამბობდა, რომ „მატჩიაში ქართლისას“ ქართველთა გამოსაფხიზლებლად ქმნიდა, ვასილ ბარნოვის მსგავსად. ალბათ ყველა შედარება თუ ასოციაცია სწორია, მართებულია, მე კი მაინც ილიას გუნს გამგრძელებლად მესახება „ბორიაკის“ ავტორი. ითარ ჩხეიძის მრწამსი-მამული-თავისუფლება, ილიას მრწამსის — მამული, ენა, სარწმუნოება — გამომხილება. ილიას მსგავსად ითარ ჩხეიძეც საკუთარი მისიის თავიდანვე გამცნობურებულ და თავის ერის უკეთეს მომავალში დარწმუნებული მწერალია, — თქვა თავის რეცენზიაში ქალბატონმა ნინო ვახანიამ და ისაუბრა იმაზე, თუ როგორ არის განხილული სადისერტაციო ნაშრომში ითარ ჩხეიძის შემოქმედება. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, როგორ ხსნის ქალბატონი ლია ცალკეულ სიმბოლოებს და აღნიშნა, რომ ეს არის ითარ ჩხეიძის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო ანალიზი, რომელშიც მკვლევარს თითქმის არ გამორჩენია მახასიათებელი შტრიხები პერსონაჟებისა, განსაკუთრებით მათი, რომანებში თავიანთი გვარ-სახელით რომ მოქმედებენ. რეცენზენტმა ასევე საგანგებოდ გამოაჩინა დისერტანტის მიერ მიღებული საინტერესო პარალელები, ისაუბრა შენიშვნებზეც:

— გულს დამაკლდა, რომ კვლევამ არ აღნიშნულა მწერლის მიერ ანდაზების ლაღად, მოხდენილად და უხვად გამოყენება, ასეთ მიმნიჭედვლს რომ ზღის თხრობას. ეს სადისერტაციო ნაშრომის განსახლებრული (შეზღუდული)

მოცულობით აიხსნება, რაც ჩანს საშუალებას არ აძლევდა დისერტანტს, უფრო ვრცელი მსჯელობისა და მხატვრული სტილის უფრო სრულყოფილი ანალიზისა...

ითარ ჩხეიძის შემოქმედებაში დასამახსოვრებელი სახეები დახატული ქალებისა და მგონია, რომ ამ შესანიშნავ გამოკვლევას დაამწეებდა საკვანგეო მსჯელობა ქალ-პერსონაჟთა მხატვრულ სახეებზე და მათ დანიშნულებაზე მწერლის სხვადასხვა რომანში.

კარგი იქნებოდა პროტკტივების მოძიებაც. საკითხავია, თვალა ხეთერელს ეს სახელი შემთხვევითი შექვა? ხომ არ არის ეს კავშირში თვალა ბატონიშვილთან.

შეფასების დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ მთელი ნაშრომი დაწერილია არა მარტო ღამს ცოდნითა და ერუდიციით, არამედ დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაც, ამიტომ როგორც ოპონენტის შუამდგომლობს სადისერტაციო კვლევას საბჭოს წინაშე, როგორც მკითხველმა კი მაღლობა გადაუხადა ამ შესანიშნავი ნაშრომისათვის.



ლია კუხიანიძე

ბადრი ცხადაძე:

— ითარ ჩხეიძე ის მწერალია, ვის მხატვრული სტილსაც გვერდს ვერ აუგდო. თუ ვინმე ენაიმეცნიერთა შორის ამ თვალსაზრისით შეისწავლის მის შემოქმედებას, საოცარ შედეგებამდე მივა.

ამიტომ ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ სადისერტაციო ნაშრომში ცალკე თავი დაეთმობოდა ითარ ჩხეიძის ენობურ სტილს. აქ ითქვა, რომ მისი მწერლობა ქალბატონმა მაკა ჯოხნათიმ აკაცი ნურეთლისას შეადარა. მე კიდევ უფრო შორს ვხედავ ამ ფესვებს — ჩემი აზრით, ვერ სულხან-საბა იყო, მერე ვასილ ბარნოვი და შემდეგ ითარ ჩხეიძე. ასე მგონია, ქართლელი რომ არ ყოფილიყო ბატონი ითარი, სულ სხვაგვარ მწერალიდან გვექნებოდა საქმე. ასეთი რამ — მშობელ მინამი რომ უღდას ფესვები მწერლის ენობრივი და ლექსიკური თვალსაზრისითაც, ძალზე მიზიათავდ მინახავს...

მურმან პაპაშვილი:

— ითარ ჩხეიძე იმერელი რომ ყოფილიყო, სხვა სტილი ექნებოდა?

ბადრი ცხადაძე:

— აუცილებლად!

მურმან პაპაშვილი:

— არა, არ ექნებოდა!

ბადრი ცხადაძე:

— ყოველ შემთხვევაში, ის სტილი უფრო ღარიბი, უფრო მწირი იქნებოდა.

მურმან პაპაშვილი:

— და თქვენი აზრით, ეს ქართლური სტილია?

ბადრი ცხადაძე:

— აუცილებლად!

მაია ჩხეიძე:

— მე კატეგორიულად ემხრობა მდებრები ამ მოსაზრებას როგორც ჩხეიძე, რომელიც იმერეთიდან არის. ითარ ჩხეიძის

სტილი არ არის ორნამენტი, ეს არის შინაფორმა და ძალიან სერიოზული კვლევის საგანი... და თუ დისერტანტი ამ საკითხს ახსნის შეერებდა, ის თავი თავისთავად ორნამენტი იქნებოდა ნაშრომისა.

ლაღო მინაშვილი:

— არიან მწერლები, რომლებიც კვლადაკვალ მიჰყევიან ცხოვრებას. ერთგვარი მატჩის როლს კისრულობენ, უფრო სწორად, მათ შემოქმედება გააზრება თანადროული ცხოვრებისა. ერთი ასეთი მწერალია ოთარ ჩხეიძე. თითქმის არ დარჩენილა XX საუკუნეში მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, ამ მწერლის საგანგებო განსჯისა და ანალიზის საგნად არ ქცეულყოფს. დისერტანტი საინტერესოდ საუბრობს თავის ნაშრომში ამის შესახებ, თუმცა ეს ის საკითხია, კიდევ და კიდევ რომ უნდა ჩაღრმავდეს.

აქ ითქვა, რომ ენათმეცნიერთა კვლევის საგანი უნდა გახდეს ოთარ ჩხეიძის ენა. ცხადია, ასეა. უბრალოდ, ლიტერატურათმცოდნის მიმართება ცოცხალ სხვაგვარია — აქ საინტერესოა რა როლს ასრულებს ოთარ ჩხეიძის სტილი მისი შემოქმედების გააზრებაში. აქ მხოლოდ ეფესტატიურ „ა“-ზე არ არის საუბარი. ის ისე აბრუნებს ფრაზას, თქმავიდა აგრძელებს აზრს, მიუჭოს რაღაცებს ღრმად გაქედებს ცნობიერებაში, ამიტომ ეს კვლავიერი, ჩემი აზრით, ენათმეცნიერების საგანგებო ჩაღრმავებასაც საჭიროებს და ლიტერატურათმცოდნისაც...

როსტომ ჩხეიძე:

— ქალბატონო ლია კუხიანიძე არ მიკუთვნება იმ დისერტანტებს, ერთი ნაშრომით რომ ამოწურავენ ხოლმე სამეცნიერო კარიერას. იგი მრავალმხრივი ლიტერატორია და ამ ნაშრომშიც მხოლოდ ერთი მწერლის შემოქმედებას არ იკვლევს, ის ბევრ რამეს გადააფასებს იმ რეალობიდან, სალიტერატურო კრიტიკა რომ ჰქვია, ათასგვარ სიყალბეზე და სიჭრუხეზე რომ არის დაფუძნებული და საღი აზრი ფუთქებს მასში. ქალბატონი ლია არა მხოლოდ სიტყვიერად გადააფასებს ამ ყველაფერს, არამედ იღებს კიდევ საამისოდ. მას აქვს მთელი ცოკლი წერილები, სხვადასხვა მწერლის შესახებ, რომელთა შორის გამოუარჩევად წერილს მიხედავს ფაქტიზმიზე. ლია კუხიანიძის სადისერტაციო ნაშრომის ღირსება კი ისიც არის, რომ ავტორი არ იფარგლება მხოლოდ ერთი თემით. ეს თემა საფუძველია, რის ირგვლივაც უნდა შემოსაზღვრულიყო ჯარგა, თუმცა კი მან მწერლის მთელი შემოქმედება იცის, კარგად იცნობს XX საუკუნის ლიტერატურას და ამიტომაც არის, რომ ბევრ ისეთ რამესაც ხედავს, რაც სხვისთვის, შესაძლოა, მოუკვლეველი და შემუშავებული დარჩენილიყო. ასე რომ, ამ ნაშრომს თავისთავადი ღირებულება აქვს, როგორც მეცნიერულ ძიებას არა მარტო ოთარ ჩხეიძის საქაროს, არამედ, საერთოდ, იმ ეპოქის შესაცნობად, როდელი კი იყო ყველაფერი

გცოდნოდა ამ მწერლის ირგვლივ. ოთარ ჩხეიძე ხომ ბიოგრაფიულად და შემოქმედებითადაც მთელ XX საუკუნეს მოჰყვებოდა და ახალ ათასწლეულშიც გადმოვიდა. მთელი ეს რეალობა კარგად უნდა იცოდეს, რათა მქოლო მოხეიო ხელი ამ ყველაფერს და ცალკეული, ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსები დაიხასიროთ მწერლის ცხოვრებაში.

ღია კუხიანიძის ნაშრომს ასეთივე პროფესიონალი შემფასებლები ჰყავს, რაც მოსაბადი უნდა იყოს არაერთი ჩვევადასთვის. დღევანდელი კი მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო, კულტურული და ზოგადასაკაცობრიო მოვლენა. ყოველგვარი სუბიექტურობის გარეშე შემოიღია განავაცხადო: გავა ხანი და გაიხსენებთ, რომ ეს შესხვედრავ იყო ერთ-ერთი რგალი იმ ყველაფრისა, ნამდვილ კულტურულ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ რეალობად რომ უნდა დადგინდეს ადრე თუ გვიან.

მურმან პაპაშვილი:

— დისერტაციის შესახებ შესაძლოა ბევრი ვერაფერი გითხროთ, მაგრამ მინდა იმაზე ვთქვა ორიოდე სიტყვა, რასაც ჩემს მოვალეობად და პასუხისმგებლობად მივიჩნევ.

გახსოვთ, ბატონო ლადო, ამას წინათ ვკმათობდით „დიდი მწერლის“ ფენომენის შესახებ.

ჩემი აზრით, თუ მწერალი რაღაც მასშტაბურს არ წერს და ისტორიულ ეპოქას არ აცოცხლებს, ჩემთვის „დიდი“ არ არის.

ოთარ ჩხეიძე დიდი მწერალია...

თუ ისტორიკოსს გამოჩნება ქრონიკა, თუ იგი არსებულ საზოგადოებრივ ვითარებას არ დახატავს, ვერასოდეს შექმნის განმასოგადებულ ნაშრომს. როცა მწერალი დიდი მხატვრული ტილოს შექმნის პარადიგულად მთლიანად იმ პროცესებსაც გიჭყენებს, მენ უკვე იცი რანაირი საზოგადოება იყო საქართველოში, ვთქვით, „ბორიყის“, „არტისტული გადაბტრილობის“ ან „თეთრი დათვის“ დროს.

ჩემთვის ოთარ ჩხეიძე პატობრიანის ღღინის მწერალია (როცა მე ვხედავ ეპოქას მის შემოქმედებაში).

ყოველთვის მწყდებოდა გული იმაზე, რომ მწერლები არ გვიტოვებენ ფორმულას თუ რას გულისხმობენ ისინი ამა თუ იმ ნიუანსში, ამიტომ მე არ შემოიღია მათემატიკური სიზუსტით ჩავენდ რა უნდოდა ეთქვა მწერალს — ის, რასაც თქვენ ამბობთ, ქალბატონო ლია, თუ რანე სხვა, ეს ჩასაფრება არ არის. მხოლოდ და მხოლოდ ჩემი აზრია და სურვილი იმისა, რომ ასეთ „ფორმულებს“ გვიტოვებდნენ მწერლები — ყველაზე უკეთ ხომ მათ ივიანი თევიანი შემოქმედებისა...

მაია ჩხეიძე:

— საერთოდ, ნებისმიერი კვლევა შესაძლოა საჭიროდეს სრულყოფას, გარკვეულ ნიუანსებში კიდევ უფრო მეტ ჩაღრმავებას, მაგრამ თავისთავად ის, რომ ვაცნობიერებთ

— ოთარ ჩხეიძე არის მწერალი, რომელსაც საგანგებო კულტურა საჭიროება — ჩემი აზრით, უკვე დიდი ბედნიერებაა.



მურმან პაპაშვილი და მაია ჩხეიძე



ზურაბ გაიპარაშვილი

„მეცნიერულად ღირსეული დანახვებების“ შეაქმნის ისტორიიდან

*

ნიჰანა ჯავახიშვილისა და გიორგი ახვლედიანის პაისტოლური მემკვიდრეობა

ახლანა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის გიორგი ახვლედიანის (1887-1973 წწ.) ქალღმერთმა ვაჟმა ახვლედიანმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადასცა მამის ბიბლიოთეკა (7 000-მდე ნიგონი) და პირადი არქივი. უნიკალური ნიგონები და ეპისტოლური მემკვიდრეობა, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესშია, მართლაც ფასდაუდებელი საჩუქარია უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე ქართული მეცნიერების ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

27 ოქტ. 1917 წელს
ტფილისი

გიორგი ახვლედიანის კაბინეტში, სანერი მკვიდის უფრამი, კონვერტში, გამორჩეულად შენახული იყო ორი წერილი და მეცნიერის უკანასკნელი ხელნაწერი „ორი მცირე მოგონება დიდ ივანე ჯავახიშვილზე“. მკითხველს ვთავაზობ ერთ წერილს, რომლის ავტორია ივანე ჯავახიშვილი [1876-1940 წწ.], ადრესატი კი — გიორგი ახვლედიანი.

მცირე ზომის ქაღალზე (21X13,5 სმ., 4 ფურც.) მდებარე ნაწერი ბარათი პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებულ საინტერესო ინფორმაციას იხაზავს.

ცნობილია, რომ თბილისში ერთგული უმაღლესი სასწავლებლის გახსნის იდეას რუსეთის ხელისუფლებამ რუსული (კავკასიის) უნივერსიტეტის დაფუძნება დაუთმინა. ივანე ჯავახიშვილი „ამ საქმის მოთავედ და სულის ჩამდგმელად“ გამოჩნდა მეცნიერს, თავის მასწავლებელს, პეტროპოლისის უნივერსიტეტის პროფესორ ნიკო მარს (1864-1934 წწ.) თვლიდა. რუსული უნივერსიტეტის დაარსებას განიხილადა ავტონომიური დაკანონებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის დაჩრდილოეთი მხარის პოლიტიკურ აქტად, რომელსაც „მეცნიერებაში გამარჯვებული მთავრობის დაწესებულებები“ ფუნქცია დაკისრებოდა. ნიკო მარსს მცდელობის შესახებ — ხელი შეეშალა ქართული უნივერსიტეტის გახსნისათვის — კარგად არის ცნობილი ქართულ საზოგადოებისათვის. ნიკო მარსისადმი ივანე ჯავახიშვილის, როგორც მოსწავლისა მასწავლებლის მიმართ, პატივისცემით აღსავსე, მაგრამ ამავდროს, პრინციპული და ღირსეული დამოკიდებულების შესახებაც ბევრჯერ დაწერია [იხ. ჯორჯენაძე, «ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა», 1984 წ., ნიკო მარსისა და ივანე ჯავახიშვილის მიმართ», 1996 წ.], თუმცა, ვფიქრობ, ინტერესსთქმობებული არ არის ეს წერილი, სადაც სხვა მნიშვნელოვან დეტალებთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი ლაკონურად აფასებს რუსული უნივერსიტეტის ანტიქართულ მიზანშეწონას.

გიორგი ახვლედიანისადმი მიწერილ წერილში ნათლად ჩანს, როგორი რწმუნებით ქმნიდა ივანე ჯავახიშვილი პირველ ქართულ უნივერსიტეტს, როგორი შტურწველობით ეკიდებოდა ახალგაზრდა მეცნიერთა დაოსტატების საქმეს.

დიდად პატივცემული ბ-ნო გიორგი! ორი კვირა იქმნება მას აქვთ, რაც თქვენი ღია წერილი გადმოცემს, რომელშიაც თქვენ ქართული უნივერსიტეტისა და თქვენი მომავალი მოღვაწეობის შესახებ მეტყობებოდით. აქამდის პასუხის მოცემა იმითმე ვერ მოვახერხებ, რომ ჯერ ბევრი რამ და მათ შორის ქონებრივ სახსარის რაოდენობა საბოლოოდ გამორკვეული არ იყო. ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების ნებსდება დამთავრებულია და იურიდიული პროცესებია და საზოგადოებრივად სარეგისტრაციო ნიგნშია შეტანილი. ქართული უნივერსიტეტის ნებსდების ძირითადი დებულებანიც სამინისტროს მიერ კარგ ხანია დამტკიცებულია, მაგრამ ჯერაც ეს დამტკიცებული ქაღალდი არ გამოუგზავნიათ ჩვენთვის. ამისი მიუღბის იმედოვნა გვაქვს აკ. ჩუენკელის დახმარებით. უნივერსიტეტს იანერითგან ვესწით. ქართული გიმნაზიის შენობაში იქმნება მოთავსებული და მთელი ეს შენობა ჩვენი უნივერსიტეტის სრულ საქართვებად იქცევა. ფულადაც ბევრი შეგროვდება: ამ ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე მილიონის თანხა უნდა შესდგეს ოთხ სხვადასხვა წყაროთგან, ამ თანხის კარგვებელი მხოლოდ უნდა მოხმარდეს ჩვენი უნივერსიტეტს. საქმე მეცნიერულად ღირსეული დანახვებულების შექმნაა. ამ შორი ყველგან ქართველ მეცნიერს დიდი პასუხისმგებლობა აჩვენებს კისერზე. ამ ერთი წლის ნინათ თქვენიან საუბრის დროს მე გაგიზიარეთ ეს აზრი და მოხარული ვარ, რომ მაშინაცა და ეხლაც თქვენ ამ დიად ეროვნულ საქმის მოწინაღობა მოისურვეთ. ერთი უმაღლესი სასწავლებლის შესახებ კანონისადა თანახმად და ჩვენი უნივერსიტეტის ნებსდებითაც პროფესორთა მხოლოდ სამეცნიერო ხარისხის მქონეებს შეუძლიან. ვისაც მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა აქვს ჩაბარებული, ის, სანამ დისერტაციას დაიცავდეს, პროფესორის მოვალეობის აღმასრულებლად იწოდება. ეხლა რაკი თქვენ სამაგისტრო გამოცდები მთლად ჩაბარებული არა გაქვთ, ეხლავე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად ვერ ავირჩევთ, არამედ მეცნიერი ხელმძღვანელი და ლექციების კითხვის შეუდგებით. გაზაფხულზე რომ გამოცდები დაამთავრებთ, მაშინვე პროფესორის თანამდებობის აღმასრულებლად ავირჩევთ, ხოლო თუ დისერტაციას ახლა დაი-



ვალენტინ შუბაევი, გიორგი აბულედიანის პორტრეტი, ქალაქი, სანჯინა. 1952 წ.



კორნელი სანაძე, გიორგი აბულედიანის პორტრეტი. ქალაქი, ნახშირი, 1964 წ.

ცავთ, პირდაპირ კათედრას მოგცემთ. ეზლა რაკი რუსეთში საქმეები ასე არია და ღმერთმა უწყის მომავალი რას უქადის მას, ამიტომ ძალიან გთხოვთ ეცადოთ, რომ თუ შესაძლებელი იქნება გამოცდები მანდეე ხარკოვი და ამთავროთ. ამით თქვენ თვითონ მოიშორებთ ამ პირველს, მაგრამ აუცილებელს საფეხურს და თვით ჩვენ უნივერსიტეტისათვისაც უკეთესი იქნება სამინისტროს თვალში, რომელსაც უნდა პროფესორთა სია წარვუდგინოთ, რომ ხარისხსა და მაგისტრანტობის მქონებელი მანდეე ბევრნი გვეყვანდეს. ეს ამას იმ შემთხვევისთვის გნერო, თუ ეს მოსახერხებელი იქნა. ჩვენ მთავრობის უნივერსიტეტის სახით უნდათ საქმე გაკვირვებულნი და გაკვირვებულნი. ამ საქმის მოთავე და რუსული უნივერსიტეტის სულის ჩამდგმელი ნ. მარია და ქართულ უნივერსიტეტს მეტოქეს უჩენს. დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი ქართველი მეცნიერი მთავრობის რუსულ უნივერსიტეტში არ შევა და ყოველ ღონისძიებას იზიარს, რომ ქართული უნივერსიტეტი თუ უკეთესი არა, ღირსეული მეტოქე იყოს მაინც მეცნიერებაში გამართლებული მთავრობის დანებებულებისა. როგორც რუს მიტროპოლიტის დანიშვნით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დარღვევა შესურთ, ისევე რუსული უნივერსიტეტის ტვილიშის დაარსება ჩვენ ავტონომიის განხორციელების სანინალამდეგო იარაღია. ბი-ნო გიორგი, განხორციელოთ თქვენი სურვილი ქართულ უნივერსიტეტში მოღვაწეობის შესახებ და ყველა ცნობებით თქვენს ელანდელი მდგომარეობისა და მომავალი გეგმის შესახებ წერილობით მაცნობოთ, აგრეთვე ლექციების სათაური და რამდენს საათს დანიშნავთ. თქვენ, რამდენადაც ვიცი, იკისრებთ საზოგადო და შედარებითი ენათმეცნიერების შესახებ ლექციების ნაკითხვას. ამას გარდა, თუმცა ჩვეულებრივ ამ კათედრის წარმომადგენელი სანსკრიტსაც კითხულობენ, მაგრამ ჩვენითვის უფრო მეტი მნიშვნელობა ძველ სპარსულსა აქვს და ამიტომ მე ასე ვფიქრობდი, რომ ეს ენა გაგვეხადა საფუძვლად ინდოევროპული ენათმეცნიერების შემსწავლელთათვის. ქართულსათვის ძველსა და ახალ სპარსულს უადრესი მნიშვნელობა აქვს.

თქვენ სწავლობდით ძველ სპარსულს, მომავალშიაც სწავლუბას მოგცემთ, რომ დასაყვანი ვეროპის საუკეთესო მეცნიერებთან თქვენი ცოდნა ამ დარგში გააღრმავოთ და ჩვენ უნივერსიტეტში მას მკვიდრი საფუძველი შეუქმნათ. რაც ნიგებისა და სახელმძღვანელოების შექმნას შეეხება თქვენი დარგისთვის, გთხოვთ, რაც მანდ მოიძებნება რუსულად ან უცხო ენებზე, მაცნობოთ სათაურები და ღირებულება. ფულს გამოგიგზავნით, შეიძინეთ და ნიგები აქეთ გამოგზავნეთ. ხოლო რაც სახელმძღვანელოთი თან უნდა იყოს გამოწერილი, ამის სურსა და ფასებაც შემატკობინეთ და ვეცდებით, რომ გამოვიწერიოთ რამდენადაც თქვენდელ პირობებში ეს მოსახერხებელი იქნება. ველი თქვენს პასუხს. ჩემი მისამართი: ტფილისი **Александревская ул. д. 4, კვ. 2.**

თქვენი პატივისმცემელი
ივ. ჯავახიშვილი

მრავალი წლის შემდგომ, 1973 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დანერგულ მოკონებაში გიორგი აბულედიანი ასე გაიხსენებს ივანე ჯავახიშვილს:

„ჩვენი უნივერსიტეტის დაარსება, მისთვის პირველი მეცნიერული კადრების შერჩევა და მის განვითარება პირველი ათეული წლის განმავლობაში განუწყველად დააკეთებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის უკუდავ სახელთან. ჩვენთვის, მისი მომხმარებელი თაობის მეცნიერ მუშაკთათვის, იგი იყო ყოველმხრივ სანიშნო. ამიტომ გვეჭირვებოდა ჩვენ ყველას ივანე ჯავახიშვილის გვერდით დგომა და მასავით თავდადებული შრომა; ვფიქრობდებოდა მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ამასთანავე ჩვენ კარგად ვგრძნობდით, თუ როგორ ზრუნავდა იგი ჩვენზე.“

სწავლის თვისებებით შემკული და ურთიერთობით გამორჩეული ადამიანები ქმნიდნენ "მეცნიერულად ღირსეულ" პირველ ქართულ უნივერსიტეტს.

P.S.

ორივე ნახატი, ბიბლიოთეკასა და არქივთან ერთად, უნივერსიტეტს გ. აბულედიანის ქალიშვილმა ელენე აბულედიანმა შემოსწავლა.



მაია ძიგუა

ქართული ფსიქოლოგიური ნოვლის სათავეებთან

შოი არაგვისპირელი

ფსიქოლოგიზმის არსებობას ლიტერატურაში მეცნიერები ჯერ კიდევ იმ პერიოდს უკავშირებენ, როდესაც ჰომეროსის პოემები იქმნებოდა. ტროას ბრძოლის წინ, ჩაფიქრებული პეტროსის სულში ავტორმა ბევრი რამის „ამოკითხვა“ შეძლო. როგორც სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნული, ჰომეროსმა პეტროსის გონებაში მიმდინარე აზრთა ქაღალდის გადმოცემისას, მსოფლიო ლიტერატურაში, ერთ-ერთმა პირველმა შექმნა გმირის შინაგანი მონოლოგი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიური ანალიზი ერთბაშად არ ქცეულა ადამიანის მხატვრული შექმნების ერთ უმთავრეს მეთოდად. ლიტერატურის განვითარების ცალკეულ ეტაპზე, მისი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად ესმოდათ. არა ხასიათი, არამედ მოქმედების, სოცეტური ხაზის ოსტატური ჩვენება მიაჩნდა მხატვრული ლიტერატურის უსთავრეს ღირსებად არისტოტელის „მოქმედების გარეშე“ – წერდა იგი – ტრაგედია ვერ იარსებებდა, ხოლო ხასიათების გარეშე – კი, ფიქვალ არის ტრაგედიის საფუძველი, ასე ვთქვათ, მისი სული, ხოლო მას უფვე მოსდევენ ხასიათები“.

ახალი პერიოდის ლიტერატურაში, სოცეტისა და ხასიათის ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალა. ჩვენს დროში სწორედ ხასიათი წარმოადგენს სინამდვილის მხატვრული შემეცნების უმთავრეს საშუალებას, ხოლო ნაწარმოების სრულყოფილებაზე ჩვენ, პირველ რიგში, მასში ხორცშესხმული ადამიანური განცდებისა და გმირის შინაგანი სამყაროს გადმოცემის ავტორის უნარის მიხედვით ვსჯევლობთ. თანამედროვე სიტყვის ოსტატები თავიანთ მწერლურ მისიას, უპირველესად, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი ხასიათების შექმნაში ხედავენ.

ფსიქოლოგიზმის განვითარება ლიტერატურაში რთული პროცესი იყო. საქმე ეხებოდა არა მხოლოდ იმას, თუ როგორ ექვემდებარებოდა გმირის სულიერი სამყარო, არამედ იმასაც, თუ რა ექვემდებარებოდა, დაეხებათ და აღმოეჩინათ. ამიტომ, ეს პროცესი განხილულ უნდა იქნეს ისტორიულ პერსპექტივაში. მხედველობაში უნდა ვითინოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპები და მათი სულ უფრო მზარდი ინტერესი ადამიანისადმი.

ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველ ახალ თაობას შეაქვს რაღაც თავისი, ახალი ხელოვნების ფსიქოლოგიურ არსში, რამეთუ ხელოვანი თავისი დროის შელია და იზიარებს მის აზრებსა და შეხედულებებს. აქ, მიიქვ უნდა ითქვას, რომ ყოველ ეპოქას გააჩნია თავისი ფსიქოლოგიური გაამა, რომელსაც ხელოვნება დროდადრო გადასინჯავს ხოლმე. გადასინჯავს და უნაბეჭდს ახალ

ფერებს, ახალ გამომსახველობით საშუალებებს, ისეთებს, რომლებიც მას ადამიანის სულიერი სამყაროს უსათუთესი ნოვანსების გადმოცემაში ეხმარება.

...და მაინც, რა გვდებს გმირის სულიერ სამყაროსთან თანაზიარს?

უპირველესად, ადამიანის მეტყველება, მისი მოქმედება, ქცევები, სხვა ადამიანებთან ურთიერთობა; გმირის პორტრეტი, სახის გამომეტყველება, პოზა, ექსპრესია. გარეგნული იერები, ხშირად, ნათლად მეტყველებს გმირების ხასიათზე; გარემომცველი ბუნება, რომელიც ეხმარება ადამიანს, მის განწყობილებებსა და გრძობებს. ანრი მატისს უთქვამს: „ცის ფერი გავლენას ახდენს ადამიანზე, მამინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.“ ხასიათის ძერწვისას დიდ როლს თამაშობს გმირის შინაგანი მონოლოგი: მისი გრძობები და ოცნებები, რომელთა გამჟღავნება შესაძლოა მას სულაც არ სურდეს“, თუმცა, ხშირად, სწორედ მათი მეშვეობით ხდება პერსონაჟის ინდივიდუალურ სამყაროს შექმნა.

ფსიქოლოგიზმი ლიტერატურაში თანდათანობით ყალიბდებოდა და არ შეიძლება იგი მივანეროთ ერთ რომელიმე მწერალსა თუ მიმდინარეობას. სხვადასხვა ეპოქის მწერლები ამკედრებდნენ ფსიქოლოგიური ანალიზის სულ ახალ და ახალ ხერხებს, რომელიც ჩვენს დროში გარკვეულ სისტემაზედ ჩამოყალიბდა.

იგივე პროცესებით ხასიათდება ქართული მწერლობაც, რომელსაც ფსიქოლოგიური პროზის არაერთი ოსტატი ამკედნებს. მათ შორისაა შოი არაგვისპირელი.

შოი არაგვისპირელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა წარმატებული აღმოჩნდა. ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ ერთხმად აღიარა იგი ნოვალტორ მწერლად, რაც მისი ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელმა ღრმა ფსიქოლოგიზმმა განაპირობა.

„ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი თავისი პსიხოლოგიური ეტოლებით. მისმა ზეგავლენამ, მიზნაძელებობამ ბევრი გამოიწვია, თითქმის სკოლა შექმნა“ – წერდა აკაკი წერეთელი.

კიტა აბაშიძე შოი არაგვისპირელს მე-19 საუკუნის ლიტერატურისაგან თვითნებოდ განსხვავებული მწერლობის დაწვევად მიიხედავდა.

კრიტიკის ამგვარ გამოხატურებს, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნდა. როგორც ცნობილი, XIX ს-ის ქართული ლიტერატურა ორ „წყევალ-კრულთან“ საკითხს



დასტორილებზე და თავს – სოციალურსა და ეროვნულს. შიო არაგვისპირელმა ზურგი აქცია ამ თემების ჩვენების ტრადიციულ გზას და ადამიანის „შემდეგი სული“ გიხსად კვლევის საგანად. ნაიჭვანი ისე არ უნდა ვაგვიფიქროს, თითქოს არაგვისპირელის შემოქმედებებში სოციალური და ეროვნული პრობლემების რეალურად აღიქვამა ხდება. რა თქმა უნდა, ამგვარი მიდგომა არ იქნებოდა და სწორედ უპირატესად, ქართული მწერლობაში, სრულიად ახალი ის გზა, რომელსაც მწერალი ხსენებული თემების გასაშუქლებად ირჩევს. ეს გზა ადამიანის „შემდეგი სული“ გადის. შიო არაგვისპირელი სოციალურ-ფსიქოლოგიური ნოველის ოსტატია. ამავე დროს, მის ნაწარებში ნინა პლანზეა გამოტანილი ე.წ. ზედროული, ფილოსოფიური თემები, რაც ასევე ახალი ნაკადი იყო XIX ს-ის ქართული პროზისათვის.

შიო არაგვისპირელი თავის თხზულებებში ადამიანის არსისა და დანიშნულების პრობლემებს ნამოქმრის, ნოველში „ადამიანი“ ვკითხულობთ:

„უკად გამიგონება ზოგს კლდედ აქცევს და ზოგს კი... ზოგს მინათად ასწორებს, აქცევს ზემოულად და, საითაც უნდა, იქით გააკანებს. ნეტარება პირველი ისინი ცხოვრებაში გამარჯვებული არიან, გმირებად ხდებიან; მეორენი კი...“
სწორედ ამ „მეორეებისკენა“ მიმართული მწერლის ყურადღება.

„ესა ჩვენი ცხოვრება“ – ამ ნოველით იხსენება შიო არაგვისპირელის დღემდე გამოცემული ყველა კრებული. ეს შემთხვევითი არცაა. ქრონოლოგიურად იგი ყველაზე ადრინდელია (1889 წ), ამასთანავე, მასში უკვე იკვეთება ის ირონიული-საკამპეკური ტონი, რომელიც მწერლის მთელი შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი.

ნოველის გაცნობისას, ერთი შეხედვით, იქნებდა შთაბეჭდილება, რომ ჩვენს წინაშე, XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი, ტიპური სოციალური ჯღერადობის ნაწარმოებია. გულგებს ქალაქში შუბა გაუფიქრიათ და ახლა საჩუქრებით დატორიულებს მინისაკენ მიუქარებენ. გზაზე უყვრად გამოსწევი „დიდი კაცის“ ზღბს და შიო ნინ მიზავალ ჩაფრებს, რომლებიც მათარაგებით დაფრთხილებს მურამებს, ეწირება ახალგაზრდა გლეხის – სიმნოს სიცოცხლედ.

დასკვნა ერთია: დაბალ და მაღალ ნოველებს შორის „ხიფია ჩატყლი“, ეტლში მსხდომ დიდებულებს ჩირადაც არ უღიროს უდანამალუ გლეხის სიცოცხლე. მაგრამ, ყველაფერ ეს უკვე არაერთხელ ითქვა ქართულ ლიტერატურაში და შიო არაგვისპირელს ანერტილი აქ რომ დაესვა, როგორც უკვე ითქვა, ნოველი ნაერთი გამორჩეული არ იქნებოდა, თუნდაც „ახალბუნების“ შემკიდრებისაგან. მაგრამ მწერალი სხვა გზას ირჩევს და ნაწარმოებში შემოჰყავს სრულიად ახალი და უწყველო პერსონაჟი – მთავარ, რომელიც გულგრილად დასწავლის ზემოდან მტელიფარ გლეხებს და თითქოს ეუნება:

„აი, თქვე საცოდავებო, თქვენსა! რა ჩავეკინინათ თავები და ჩამოგატორისთ ცხვირ-პირი?! მაგ ერთი მილინისათვის თქვენ მაგერ იტრუშებით და ინუხებით ედგებ... მამ, მე რაღა უნდა გქნა, როდესაც ჩემს თვალწინ უსამართლოდ დახოცილის ხალხის სისხლის მორევები დგებდა, როდესაც მრავალი ერი სხვის ხელში უსამართლოდ იღუპება და ანთხებს სისხლს!...“

ნოველა „მოშილოცინა ახალი ნელი“ მოხუცი მძეპი ქალის შინაგან მონოლოგზეა აგებული და ასეთი ხერხით ხდება მკითხველისათვის კიდევ ერთი სოციალური უკუღმართობის მსხვერპლის ჩვენება. ცხოვრების ცალკეული

ეპიზოდებით, რომლებიც ქალის გონებაში ერთმანეთს ენაცვლებიან, გმირის თავგადასავალს ეცენობით, რომელიც ამკარად მოვგვარებს ნინოშვილისეული ქრისტესს ამბავს, უზარალოდ, განსხვავებული მხატვრული ხერხებით გამოყენებული. ნინოშვილისაგან განსხვავებით, შიო არაგვისპირელი თავისი პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის წევრებით უფროა დაინტერესებული, ვიდრე იმ მიზეზების ძიებით, რამაც ქალი ამ მდგომარეობაზე მოიყვანა. თუმცა, ნაწარმოებში სოციალური პრობლემაც თავისთავად საკმაოდ ხელშესახებად იკვეთება.

იგივე შეიძლება ითქვას ნოველაზე „ადე, ჩამოხედი“. ამ შემთხვევაში მწერალს გლეხკაცის „შიშველი სულის“ ჩვენება განუზრახავს, ამიტომაც გაუკეთებია სათაურის ქვეშ მინარევი: „ფსიქოლოგიური ტეიუდი“.

მიმშლისაგან გასაჯავებელი გოგია მენისქვილი ამაოდ დადებს ფეხლის ნარჩენებს, „ყველა საფეხელი ავეჯულებოა დაწმენდილი და დარჩაკარკაბული ხედევა...“ ერთი ბენო მაინც იყოს სადმე! უსიტყვოდ იძახდა ყოველი გაჩხრეკის დროს, მაგრამ ეს „ერთი ბენოც“ არსად იყო, ფეხლის ნალავეიც აღარას ეტყობოდა.

მიმშლისაგან დაბნეულ გონებას „მხსნელად“ ტკბილი ზნანება ევლინება. „ესმის გოგას, რომ დატვინული ურემი ჭრალით მოადგა კარს. აფერ ტომრების შემოკანაც უშველა და მიწის არება დაწყო. მერე, რამდენად მიწის იღებს?! თითქმის ერთი დიდი სიმბოლეს კასრი აასეს და გამჩრქობილულ დასცქერის. იმის სიხარულს საზღვარი აღარა აქვს“.

შინაგნებდა გოგის მუხბოლი გამოაზრებებს: „აბა, შენი ჭირზე და კაცია, დროით დამოფეცი, თორემ შინ სახლობს შიმშილით მინისი“, – ტყვეს მენისქვილს, ხელში ჰპატარა ტომსიკას მიაჩქებს, თავად კი იქვე, თვალის მოსატყუებლად მიედევა.

აქედან იწყება გოგის ტანჯვა. ერთ ციციქნა საფეცავში, სირცხელით მინდი როგორ აიღოს? შიმშილით შენუხებელი გონება გამოსავალს იძებს: იქნებ, გვეცხ ცოტა ფეცილი სთხოვოს? იქნებ მოიპაროს? ან იქნებ... და, უეცრად გოგის არსებაში მხეცი იღიძებს: მოკლავს და ფეცილიც მილიანად მას დარჩება!

„მოკალ, მოკალ, მოკალ!“ – ქვა და წყალი აქებუდნენ თავიანთი ხმით და აბეფიქნებდნენ გოგის მკვლელობას“.
ასე ებრძვის ერთმანეთს, მიმშლისაგან განმარტებული კაცის სული, ადამიანი და მხეცი. მხოლოდ ბოლი ნანს, ნაფხამბორაფეცილი გოგის არსებაში კეთილი საწყისი იმარტებს და იგი ფეხის ნაკვრით გააღიძებს გვეცხ: ადე, შენი საფეცივი ჩა მოიფეცეა!

ადამიანის რაობისა და ცხოვრების შეუცნობადობის ფილოსოფიური თეზის მხატვრული გააზრება ნოველა – „შემუსურელი სამი ნებება“.

ოცდაათი წლის ხეტარისა შემდეგ უფლისწული ასეთ დასკვნამდე მიდის: 1. „წერასოდეს ნუ შეკითხები შენ თავს: რა არის ადამიანი? 2. „ყოველგვარ მოვლენას შენ ცხოვრებაში გულგრილად შეხედი“; 3. „ეკადე შენი ცხოვრება მხოლოდ სამომავტოთ გაატარო“. მუხბედავად ამისა, უფლისწული მიიჭრ ცილინოსს, მოუძღვრის პასუხი კითხვას – რა არის ადამიანი? პასუხი იგივეა: „ხა, ხა, ხა, სისულელე“

ჩვენის აზრით, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ „შიო არაგვისპირელმა ნოველაში „შემუსურელი სამი ნებება“ უძველესი ინდური ეპოსის „რამაიანას“ მთავარი მოქმედი



გმირის რამას მხატვრული სახის დეპეროიზებული, დაკინებულ ვარიანტი მოგვცა. ლიტერატურული გმირის ასეთი მტკამორფოზა კარგად ცნობილი ხერხია მე-20 საუკუნის ლიტერატურაში (ნიმუშად ფოიხის „ულისეც“ იკმარებდა) (ნესტან კუტიციძე).

ან საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს ნ. შავგულიძე, ნიგნო – „ჩანჩურადან არსენამდე“:

„სუბიექტური იდეალიზმისაკენ სწრაფვამ და აქედან გამომდინარე, გაერომოცველ სამყაროში მიმდინარე პროცესებში შეუღწევადობის აღიარებამ და მათ ფონზე ადამიანის უსუსურობის გაცნობიერებამ „ეპოქის დასასრულის“ ლიტერატურაში, ადამიანის, როგორც სამყაროს და საზოგადოების უსამართლო კანონების წინააღმდეგ ამხედრებული, მიზანსწრაფული, ნებისყოფიანი პიროვნების დეპეროიზაცია, მისი დაპატარავება გამოიწვია. დაპატარავება“ იმის გამო, რომ დაიკარგა რწმენა ადამიანის შესაძლებლობაში, მისი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციისადმი. ამ ტენდენციამ, ბუნებრივია, თავისი დიდი დასვა ადამიანის კონცეფციის ეპოქალურ მოდელსაც“ (სუგზარ შავგულიძე).

ადამიანის სულის უჯოგობითურ ანატომიას გეთვალვინებო მთი არაგვისპირელი ნოველამ – „გმადლო, უფალო, გმადლო“. ნოველის გმირის თვალწინ, რომელსაც ლეთის წყალობით გულთამბილაობის ნიჭი ებოძა, ტაძრისკენ მიმავალ ათობით ადამიანი გაივლის. როგორც ირკვევა, არც ერთი მათგანის სულში ერთი ნათელი სხვიც კი არ კიაფობს, ყველას ბოლბოია და მულღით აქვთ გული საუეს. „მკითხველი მთლველი გახდა ქართული მწერლობისათვის უპრეცედენტო „ამაოების ბაზრისა“ და მწერლის გოფებისა: აი, ასეთები არიან ადამიანები“.

ადამიანის დაკინებამ და აქედან გამომდინარე სკეფისისმა, თავი იჩინა მწერლის მიერ სიყვარულის არსის გაგებამაც. ამასთავთვე აღვიწინავთ, რომ შიო არაგვისპირელმა თავისი ნოველებით გააქარწყლა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო თეზა: „სიყვარული აგვამაიდებს!“ და მარადიული გრწმობა იღებ ბოლოყოფრ ღვთაებად გამოაცხადა.

თვალსაჩინოებისათვის მოიყვანათ ამონარიდს ნოველიდან – „წერილის ნაგლეჯი“:

„უკუვირდები, ჩემო კარგო. ჩემ ცხოვრებას და თმა ყალბზე მიდგება. ნუ-თუ ყოველგვარ, რაც გითხარი გრწმობაზე, ტყუილი უნდა გამოგდეს?..“

...მთლად მამინ ხარ ჩემი ყველა, როდესაც გედავ, ან მაგონებდი. როდესაც კი შენს მავფრად სხვას ვედავ, ან მაგონებდა სხვა ქალი, რომლის წინააღმდეგ არა მაქვს-რა, მაშინ... მამატი, ჩემო კარგო, შენმამი სიყვარული აღარ არსებობს, შენ აღარ ხარ ჩემი ყველა, ჩემი ყველა ის... ის არის...“

ჩემთვის გაუგებარია ის იდეალური სიყვარული, რომელსაც პოეტები გვიხატავენ. მე გმონია, მათი ოცნების

ნაყოფია ის სიყვარული და ცხოვრებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ან იქნებ მე ვარ იმგვარი ბუნებისა და სხეულის კი არა? ნეტავ მაგრე იყვის, მაგრამ... ყველა რომ ასე გულწრფელად ნაპარაკობდეს, როგორც მე შენ გელაპარაკები, მაშინ, მგონია, ყველა ამას იცნობდა“.

„წერილის ნაგლეჯი“ შეტოვდა ეპიგრაფად გამოადგეს იმ ნაწარმოებებს (ორიოდე გამონაკლისის გარდა), რომელიც შ.არაგვისპირელს სიყვარულის თემაზე დაუწერია და რომლებშიც სიყვარულის არარაობად გამოცხადების მხატვრულად დასაბუთების მცდელობა მოცემული“ (თეიმურაზ მაღალაფერიძე).

„მინა!“ – ასე ეწოდება ნოველს, სადაც ქართველი გლეგაციის, ბერის სიცოცხლის უკანასკნელი დღეებია აღწერილი. ბერა ტუსალია და ახლა ციმპორში მიჰყავთ ეტაბით, სხვა პატიმრებთან ერთად. ჩრტვილის ბერის ნაქვრში გახვეულ ქართულ მინას ნათრემეს რუსის სალდათი, რომელსაც არ ესმის, თუ რა ღირებულება აქვს ამ ძრმებში გამოხვეულ მინას. ბერა კი გააფთრებით იმრძების და არ ანებებს უცხოს თავის „განს“. მწერალი ცდილობს მკითხველი თანაზარი გახადოს ქართველი გლეგაციის სულიერი განცდებისა, ვისთვისაც ქართული მინა, თუნდაც ერთი მუქა, მთელს სამშობლოსთან ასოციირდება, რომლის დაცვისა და შენახვის ინსტრქქტ ძეალ-რიბიში აქვს გამეფარი.

სასიკვდილოდ ნაცემ, აკონიაში მყოფ ბერის უქმანება წინდა გიორგი, რომელიც მანვილით შემწირავს გველუშაბს. მაგრამ, ეს ყველაფერი სიხმარში ხდება, სინამდვილე კი სიწველი და უიმედოა – ასეთია ავტორის დასკვნა.

შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიური ნოველების მხატვრულ ღირებულებას კარგად წარმოაჩენს მის მიერ ბიბლიურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებები. საყურადღებოა, რომ ეს ნოველები უშუალოდ ეყრდნობა პირველწყაროს და ავტორი ხშირად მოუითუბებს კიდევ მას. ასე, მაგალითად: „მთლად ეს ამბავი თითქმის სიტყვა-სიტყვით მოგვინილია სახარებშიდან: იხილე სახარება, მათ. XXVII, მარკ. XV, ლუკ. XXIII, იოან. XIX“ – გუიხებლობთ ერთ-ერთი ნოველის სკოლით.

ასევე, ნოველებში გვხვდება უცვლელად გადმოტანული საღვთო წიგნის ფრაზები. ყოველივე ამის ფონზე, შიო არაგვისპირელი ქმნის ახალ ნაწარმოებს, ტიპიურ ფსიქოლოგიურ ნოველს, რომელშიც უკვე საუკუნის გადასახედიდანაა დაინახული და გააზრებული ესა თუ ის ბიბლიური სიუჟეტი თუ პერსონაჟი. მოკლედ, ეს ნოველები ხშირად არც კლავს განწყობილებას იმ საუკუნისა, რომელმაც „მოპკლა ღმერთი“.

იუდას მიერ ქრისტეს გაცემის ამბავზე აგებული ნოველა – „იუდა“. მწერალი არ ცდილობს მოგვეკლინოს მორალისტის როლიში და ოცე საუკუნის მანძილზე, ვინ მოსთვლის მერამდენედ, კვლავ ამათგამს გადაცდეს ისკარი-



შიო არაგვისპირელი



ოტელის სახელი. ხსენებულ ნაწარმოებში შოი არაგვის-პირელი გაცემის ფსიქოლოგიურ პორტრეტს სთავაზობს მკითხველს. მწერალს აინტერესებს იუდას სულიერი მდგომარეობა და ის, რამაც მას ღალატზე უძიდა.

პასუხი ხსენებულ კითხვებზე, ნოველაში თავად იუდას პირობა გაცემული. „სანად ცოცხალი იყავ, შენი სახე ყველაფერში ხელს მიშლიდა, მიცარავდა და მოკვდი და ახლა სიკვდილის შემდეგაც არ გინდა მომსახელო?!“ – მიმართავს იუდა იესოს აწრდილს.

ეფიქრობთ, არაგვისპირელი ბიბლიური სოუეტის გამოცენებით, მკითხველს „დანაშაულის და სასჯელის ანატომია“ სთავაზობს. მწერალს აინტერესებს დანაშაულის ფსიქოლოგია, რას განიცდის იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში და მერე, როდესაც ხდება დანაშაულის გაცნობიერება. შესაძლებელია თუ არა თვითმკვლელობით (კოლეის გამოსყიდვა, თუ არსებობს სხვა, ჭეშმარიტი გზა?

ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ თავის ჩამობრძოლებად, იუდა მამარ სულიერ ძივებს განიცდის. პირველ ეტაპზე ის უწყალოდია. „მაცდურო, ეხლა-ღა იხსენ თავი შენი... – ისარჩიეთ სტყუარცნა იესოს ეს სიტყვები მწელღებარ თვა-დგობს პატრონმა და, თითქოს ენალება ვისმეო, კვერდით მდგობთ ეფარებოდა და ძირიდან გამოაკვესებდა თვა-ლუბს...“.

შემდეგ „იჩითება“ ზოგადად დანაშაულის ცნობიერებით-სათვის ნიშანდობლივი თავდაცვითი მაქისნი: „ვის ევმალუბ? რა მაქეს მოსარიდებელი, რომ რიდქამოფარებულე უსდგებარ?! – ამავად ნარბოსთქვა რიდქამოფარებულე უსდა, როდესაც ბრბოს განაპირის გავიდა და თაიყო-დალი ადგილიდან მურა დაუნყო ამ საოცარ ბრბოს მსელე-ღობს“.

იუდა იცნეს და ბრბო, რომელიც ცოტა ხნის წინ ქრისტეს ჯვარცმას მოთხოვდა, იგივე ბრბო ახლა იუდას მსუცქერის ზიხილი საეუ თვალუბით. „უმაღურნი იესოს სიკვდილი უხარიათ და თან კიდევ მე მიკოფინებენ, მიცხვენენ. მე მიფინიქე ეგ სიხარული და მევე-კი მაფურთხებენ“ – ვერ მალავს აღმოფთებას იუდას. სამუელად მვედობითაურებს უხმობს, მაგრამ თანაგრძნობას ვერც მათთან პოულობს. იუდა ხვდება, რომ თავდაცვალატის მსხვერპლი გახდა.

მათეს სახარება იუდას აღსარულს ასე გადმოგვცემს: „მაძინ თიარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისაჯა, შეინანა, მიაცქია ოცდა-ათი იგი ვერცხ-ლი მლედელმითარათა და მათ მიმართ და მოხუცებულთა და თუქა: „ესკვდე, რამეთუ მივეც სისხლი მართალი, ხოლო მათ პრქუეს მას! ჩუენდა რა? შენ იხილად და დააბნია ვერცხლი იგი ტპარასა მას შინა, და განეშორა. და ნარვიდა, და მძიხობია“ (27, 3-5).

იუდა თავი ჩამობრძო... ასე მთავრდება სახარებაში იუდა ისკარიოტელის ღალატის ისტორია. არაგვისპირელი ამ ისტორიას ერთ ეპიზოდს უზატებს. სასონარკვეთილი იუდას დედა ეცხაბდება და სულის გადარჩენის გზას უჩვენებს: „მშელო, ინამე – ის ძე ღვთისა!“ – მაგრამ იუდა უხედად ჩამობრძობებს დადის აწრდილს.

ცოცხალი სულის გადარჩენის ერთადერთი გზა მაცხ-ოვრის ერთგულებაშია. ის, ვინც ამ გზას უარყოფს, გან-ბირულია. სწორედ ეს აწრდილი კითხვება ხსენებულ ნოველაში, რომელიც იუდას სულიერი თითხიების ფონზე გაძლილი. მათეს სახარებაში ვკითხულობთ:

„ამძინ იწყო შექუენებად და ფოცად, ვითარმედ არა ვიცი კაცი იგი და მესკულად ქოთმამა იყუდა, და ვითარმედ ვივერს სიტყუა იგი იესოს, რომელიც პრქუა მას, მოთხოვდა ჰიდერ ქაძმის ხნობამდე, სამ-გზის უარ-მყო მე და გამოიწეა გარე და სტორად მწარედ“ (27, 74-75) – ეს კაცი ქრისტეს საყვარელი მოწოდებ, პეტრეა. მან, მამლის ყოველმეღ საყვარელი უარყო მაცხოვარი, მაგრამ მაინც გადარჩა. სულის გადარჩენის ეს ამბავია მოთხრობილი ნოველაში – „ჭეშმარიტად“.

„ამხვითია ლტერატურაში ასეთი სინამდვილით გაგება პეტრე მოციქულის დიდებული არსებისა, – ნერდა კოტა აბაშიძე, – ამ გონიერ სკეპტიკს, რომელიც ყოველ ფატტს ეჭვის თვალით უყურებს, მეცნიერს, რომელიც ყოველივეს დასაბუთებას ითხოვს, არ ძალუბს ცხოვრება თვინიერ სარწმუნოებისა, მას სწადაიან რწმენა, ილტვის რწმენისაკენ გულით, მაგრამ გონება მისი საშინელი დაუყვრებელი და მურუგველია... ის იხეთი ბუნებაა, რომელსაც სურს სწამდეს და თანვე ეს რწმენა ალაგოს მომხსან ნახულ და შეგნებულ უტყუარ ფატტზე, და თუ ეს არ შეიძლება, მაინც უნდა იპოვოს რწმენა, ანდა ალიგაოს პირისგანვე ქვეყნისა, უნაყოფო ეჭვი, უძმინდენლო და უსაგარბლო სკეპტიციზმი იმის ბუნებას ვერ უწყობა“.

სკეპსიითი მონაშლეული გონება და საბოლოოდ ჭეშმარიტი რწმენის გამარჯვება – ამ ურთულესი ფსიქოლოგიური კოლზის ჩვენება სურს შოი არაგვისპირელს ნოველაში – „ჭეშმარიტად“, რასაც, ვფიქრობთ, დიდი მხატვრული ოსტატობით ახერხებს კიდევ.

ეჭვმა მერავსა პეტრე მოციქულის რწმენა. „ჯვარს აც-ვით, თვალთმაქცია, თვალთმაქცი! ღმერთობას წყობობს, მოპკალით! თუ ღმერთია, იხსნას თავი თვისი“, – მოქაქს მოსისინე ნიავს ბრბოს ყოინა. და დგება მომენტე, როდესაც ადამიანი მრავალთა აზრზე დგობს ამაჯობილებს: „პეტრე მოციქული სტორის, ცრულსა აფრუვევს და კი არ იცის, რა მიეუბნო. ეტვი შეუბარა და ლაშის არის ეჭვი რწმენად გადაეცეს... – ნეთუ ის გვატყუებად, გვიხობლავდა თავის ქვეყნი და ყოველივე ტუელი იყო“, – იტანჯება ქრისტეს საყვარელი მონადე. მწერალი გვიმბლს პეტრეს განცდებს და გვიჩვენებს, რომ მისთვის (პეტრესთვის), მაცხოვრის ჯვარცმაც შეძენ, რწმენის გაობობა.

„ადამიანის ღმერთისაკენ ლტოლვა ორი სახით ხორ-ცეულდება, როგორც გრძნობის სურვილი და როგორც გონების ნება. პირველ ეტაპზე, ამბობს მაკარი მგვიპ-ტელი, ადამიანის მისწრაფება ჯერ კიდევ გაობრუნებია... ამ დროს არსებითი მნიშვნელობა აქვს გონებას. გონებით უნდა შეერწყნას ღვთაების არსს ადამიანი“ (აკაკი ბაქრაძე).

სწორედ ამგვარიდა გააზრებული ნოველაში, ავტორის მიერ, პეტრე მოციქულის არსებობა ჭეშმარიტი რწმენის გამარჯვების პროცესი – პირველ ეტაპზე ეტვი, რომელიც საბოლოოდ გონების ნებით ითრგუნება: „ჯვარს აცვით, გააკვი შუაზე, ლუკმა-ლუკმა აკუენა, დაქქლითყო ყოველ-სავე ამას ღმბილით მიგება ეკლა. იმას სწამს, რომ არაა მოტყუებული, რომ ის ღმერთია, ღმერთი ჭეშმარიტი“.

„არაა მოტყუებული“ – პეტრე მოციქულის პირობა გადევ-რებული ადამიანური ყოფის ეს უძმინდენლოვანესი პოსტუ-ლატი უმთავრესი იყო როგორც ჩვენი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, ისე შოი არაგვისპირელის თანამედროვე, საყოველთაო ნიჰილიზმით მოცულ დროებაშიც.



როსტომ ჩხეიძე

დრო მოზაიკურ ქარბაში

*

ბივი ალხაზივიძის ავტობიოგრაფიული რომანი

„მოშავალი წარსულის“ შექმნა მოულოდნელობა არა ყოფილა.

ის კი არა, თუ ჩვენს თანამედროვეთაგან ვინმეს შეიძლება დაენერა მრავალმხრივ საგულისხმო ავტობიოგრაფიული რომანი, მათ შორის უთოედ გივი ალხაზივიძისაც, ვინც — პოეზიიდან დროდადრო ბელეტრისტიკაში გადანაცვლებული — აქეთ მიემართებოდა, დოკუმენტური პროზის ამ ფანრისაკენ, და მიემართებოდა დოკუმენტური ფონის სულ უფრო გამკვეთრებით ადრინდელ რომანებში.

„ამოდის თუ წადის მზე?!“ პროზად დაწერილ პოემას (ლირიკულს რომ არქმევდეს) უფრო მოგვაგონებდა და აშკარად ემჩნეოდა, მაძიებელი სულის პოეტს რომ მოვინდომებინა თავის მოსიწვევა ბელეტრისტიკის ამაღლადი და ლირიკული დღიურის მსგავს თხრობას მიჰყვებოდა სტილიური მანერითაც და პერსონაჟთა ხასიათების თავისებურებითაც — უფრო სიმბოლოებს რომ ჰგვანავ, ვიდრე რეალისტურ სახეებს.

ამ ყაიდის მხატვრული ნიმუში არაერთი დაწერილა დასავლეთში და ერთხანს თეორეტიკოსები მტკიცებასაც მოჰყვებოდნენ, რომ ეს და მხოლოდ ეს მდგრადილება იყო თანამედროვე ბელეტრისტიკის მთავარი გზა, პოეზიისა და პროზის მიჯნაზე შექმნილი თხრობის მანერაც და საერთო ფონიც... დიახ, მხოლოდ ეს თუქც ამაო აღმოჩნდებოდა ეპოქასთან — პროზის მართლაც უმთავრეს ძარღვსა და საფუძველთან — ეს მიაძტიური დაპირისპირება და ლირიკული დღიურის მსგავსი ბელეტრისტიკული ნიმუშები რჩება ცალკეულ, ზოგჯერ ძალიანაც მომიხილავ, მაგრამ მაინც ცალკეულ ცდებად.

ლირიკული პროზა არამარტო მინიატურებად ქუც-მაცდება, არამედ შესაძლოა ვრცელი ასპარეზიც გამოებნის სიუჟეტური ქარგისათვის, მაგრამ ის ვერა-სოდეს განაზღვრავს ბელეტრისტიკის ფანრის მიმდინარეობის განმსაზღვრელად. ანკი თანაირად შეიძლება გადაქცეულიყო?!

გივი ალხაზივიძის ხელშესახებად იგრძნობა ამ გარდევალბას, და თუმც იმ პირველი რომანის სულისკვეთება და განაწილება ძალდაუტანებლად მისხადაგებოდა მისი პოეზიის აღმსარებლობით ბუნებასა და სტილისტიკას, ამ გზას ვეღარ გაჰყვებოდა — და არაჩეთუ ეპიკურ სიუჟეტსა და ხასიათებს დაეყრდნობო-

და მეორე რომანის — „სოდომიდან სოდომამდე“ — შეთხზვისას, არამედ თვალაჩინოს ვაძლიდა დოკუმენტურ ნაკადსაც, რომელიც კიდევ უფრო გამკვეთრდებოდა მესამე რომანში „რკინის კანს აქეთ და იქით“, რომელსაც დაბეჯითებით ვერც განსაზღვრავ, უფრო მხატვრული ქმნილებაა თუ უფრო ავტობიოგრაფიული რომანი.

ასეა თუ ისე, თანდათანობით სვლა დოკუმენტალიზმისაკენ ადრე თუ გვიან უნდა დადგინდებოდა იყო ამ ფანრის ჩინებული ნიმუშით, რომლის სახელწოდებაც — „მოშავალი წარსული“ — პარადოქსული ეფექტისათვის კი არ არის შერჩეული, არამედ ცხადვე მიანიშნებს იმ მოვალეობას, რაც ამ ყაიდის ქმნილებებს დაჰკისრებიათ.

რა მოვალეობა და: დაკარგული დროის ძიებით ისტორიული მატრიის დანიშნულებაც რომ ითავსებენ. ისტორიული მატრიის დანიშნულება კი სხვა რა ყოფილა, თუ არა თვალაჩინოების ვადაშლა მთავარმხატვრობისათვის — ვინ და რა მიზნით მოქმედებდნენ ცხოვრების ასპარეზზე დრო-ჟამის კერძო განზომილებაში, ვინ გამოხატავდნენ ადამიანთა მარადიულ ვნებებსა და მისწრაფებებს.

ამა თუ იმ პიროვნების ბიოგრაფია მეტ-ნაკლებად გადააჭვია ან აირეკლავს ქვეყნის ცხოვრებას, ეპოქალურ ძვრებსა თუ იმ „წერილმან“ მოვლენებს, რომელნიც, ვინ იცის, ოდესმე თვალისმომჭრელ ამბებზე უფრო მნიშვნელოვანია აღმოჩნდნენ დროის სულის ამოსაცხენობად.

მწერლებისათვის მაინც განსაკუთრებით ღირებულია ეს „წერილმანები“, ეს დაშვებით თუ რეალობით, რომელნიც იმ წაშლ შესაძლოა არც არაფრად გილრდეს, მაგრამ არასგზობთ რომ არ ვიცოდებენ თავს და ამით მიგანინებენ, არა ვართ ასე ეოლად დასაკარგავნიო.

და, ვინ იცის, როგორ იცვალონ ფერი და ელვარება, რა ტყვედობა გააძქვავონ გარდასული ჟამის სურათითა და იმედიანობა, გრანდოზულიად შერაცხილი მოვლენები უეცრად უკან რომ გადაიხევენ და სარბიელს ამ თითქოსდა წერილმანებს დაუთმობენ.

ოფიციალური ისტორია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურული, ყოველთვის ცვლებადია და ძალიანაც ცვლებადი, ამა თუ იმ მძლავრის ნება-სურვილის მიხედვით შედგენილი, ხან სიყალბით აღბეჭდილი და ხან სულაც სიცრუის მორევში ჩაითრული... მაგრამ მათ გვერდით ხომ ყოველთვის არსებობდა და იარსებებს ნამდვილი მატრიანები, საწდო ზამქველეთა მიერ ამოკრებლინი დროის მდინარებიდან და იმ სუბიექტივიზმით განმსჭვალულინი, რაც საბჭოთა ეპოქაში პოლიტიკურ ერესად შერაცხულიყო, როგორც გადახვევა მარქსისტული მოძღვრებიდან... არადა, ეს სუბიექტივიზმი ხედვის ის ბუნებრივი კუთხე, საიდანაც ხდება ბელოფონი, მოჩვენებითი მიუკერძოებლობის ჩარჩოების გარღვევა და მკითხველი გაცილებით უფრო უახლოვდება ჭეშმარიტ რეალობას.

სხვადასხვა სუბიექტიური ხედაა — თუკი ეპოქა ან ესა თუ ის დროება ნამდვილი მწერლისა თუ მთარგმნის ხელში მოექცევა ასამეტყველებლად — ერთმანეთს კი არ უაყროფს ან აბათილებს, არამედ ავსებს და განსხვავე-



ბულ ნახანგებსაც უხვად გამოკვეთს; წინააღმდეგობანი კი, რამაც მათ შორის შეიძლება იჩინოს თავი, არამცთოლ არ დააბნევს მკითხველს, არამედ უფრო ჩაახანგებს ეპიზოდის, მოვლენის სიღრმესა თუ პერსონაჟთა ხასიათების თავისებურებებში.

ავტობიოგრაფიული რომანი მოგონებებს ეყრდნობა, ისევე, როგორც მემუარული თხზულებანი. ეს ყოველივე თითქმის ერთი და იგივეა, მაგრამ მაინცაა საგრძობი განსხვავება მათ შორის და ამ განსხვავებას ქმნის მხატვრული რანგი — ყველა მემუარული თხზულებას ვერ მიიჩნევ ავტობიოგრაფიული რომანად და ამიტომაც მართლდენ ინფორმაციულ — თავისთავად არცთუ მცირე — მნიშვნელობას ანიჭებ.

ავტობიოგრაფიული რომანი შექმნის უნარი კიდევ თავისებური ნიჭია, ზოგისათვის შემოქმედების ერთ-ერთი გამსჭრება, ზოგისთვის კი მთავარი ბირთვი, და ამიტომაც მომხდარა, რომ საბუალზე ნაკლებ მწერლის სერგო კლიაიშვილის ავტობიოგრაფიული რომანი „ორფიოზი...“ ოსტატობითა და შთაბეჭდილობით ოდნავადაც არ ჩამოუვარდება დიდი მწერლის დავით კლიაიშვილის ამავე თანხის ქმნილებას „ჩემი ცხოვრების გზაზე“.

აკაკი ნერვილის „ჩემი თავდადასავალიც“ ხომ არ ნამოვალეობა?

ნურც იაკობ მანსვეტაშვილი გამოგვჩვენა, ნურც სლორომ მაგალობლივილი, ნურც გიორგი ლახიშვილი, ნურც სამსონ ფორცხალავა, ნურც რევაზ ვაბაშვილი, ნურც გიორგი კვიციანი, ნურც გივი გაბაიანი, ნურც გერონტი ქიქოძე, ნურც შალვა დადიანი, ნურც კონსტანტინე გამახაზრდია, ნურც ოთარ ჩხეიძე, ნურც აკაკი ბაქრაძე, ნურც ნიკა გელაშვილი... ვერც დიმიტრი ყვირიანი, ვერც ნოე ჟორდანიასა და ვერც ზვიად გამახაზრდიას მემუარული თხზულებანი ვერ აღწევს ავტობიოგრაფიული რომანის სიმაღლეს, მასაღებთ უფროა რომანისათვის... ალექსანდრე სულხანიშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის ამ ყაიდის ქმნილებანი კი ცოტა არ იყოს ძნელ განსასაზღვრელია ეანრობრივად — უფრო ავტობიოგრაფიული რომანებია თუ უფრო ბიოგრაფიული, ერთისა — ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, მინიისა კი — ვახტანგ კოტეტიშვილზე.

გივი აღხაზიშვილის „პროვალის წარსული“ ქართული ლიტერატურის ამავე ნაკადს ავრძელებს და კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს იმ თანხის მომპლაკობის აუცილებლობაზე, რათა ჩვენშიც უხვად დალაგდეს ავტობიოგრაფიულ რომანთა ნეცბე, როგორც — სხვა ყველაფერსაც რომ ჩამოვხსნათ — თანამედროვე დასავლური პროზის ერთი ყველაზე გამოკვეთილი და პოპულარული სახეობის.

ჩამოთვლილ ნიმუშთაგან გივი აღხაზიშვილის ეს რომანი თავისი აღნაგობით უფრო ჩამოვხვავს აკაკი ბაქრაძის მემუარულ თხზულებებს „ცამეტი წელიწადი კინძოზე“ და „წილებების სამყაროში“ და ოთარ ჩხეიძის „პროვალე ქართლისას“ (ციკლის ერთ-ერთ ნიმუშს „ჩემი საგანე“, რომელიც უშუალო შთაბეჭდილებივც აღმოჩნდა „მომავალი წარსულის“ შესაქმნელად.

ეს ასე პირდაპირ არსადაა აღნიშნული თხრობისას, მაგრამ გამჭვირვალედაა მინიშნებული იმ კრიტიკულ-

ესთეტიკური ანალიზის ჩართვით, ოთარ ჩხეიძის სხვა რომანს — „არტისტული გადატრიალება“ — რომ ეძღვნება, ანალიზიც და, ამასთან, ვახსენებაც ვერ აღხაზიშვილის ბიოგრაფიის სანაქემო ეპიზოდის: პოლიტიკური სატრის გამოცემა მოქვეყნებს ვაშს, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოქვეყნდნის ის ადამიანები, რომელთაც დაამხეს ეროვნული მთავრობა რუსეთის თანდაგომისა და ამერიკის შეერთებული შტატების პილატესებური განხე გადაღობის მეშვეობით.

ეს გახლდათ პაველ ინგროყვას უაღრესად გაბედული ნაბიჯის განმეორება ახალ დროში, პაველ ინგროყვასი, ვინც არ დაერიდა ილია ქაჭავაძის ტომების გამოცემას იმჟამად, იმ უმწვანეს 20-იან წლებში, როდესაც ძალაუფლება იმის შეკვლევებს ეყარათ ზელთ და კვლავ აცოფებდათ მისი სახელის ყოველგვარი ნაშრომი.

გივი აღხაზიშვილისათვის ოთარ ჩხეიძის ეს რომანი პირმნიშნად სტილისტური თვალსაზრისითაც გახლდათ მნიშვნელოვანი სამწერლო მოვლენა: მხატვრულ ტექსტში დიკუმენტური პასაჟების აქტური ჩართვით. ეს ხომ ის სტილისტიკაა, რომელიც მისთვისაც ასე უმწებრივი აღმოჩნდა და აგერ ავტობიოგრაფიული რომანიც შეაქმნევია.

კრიტიკულ-ესთეტიკური ანალიზის, დამოუკიდებელი ესეის ჩართვა ზედმეტი ხომ არ არის ამ ყაიდის თხზულებისათვის?

არამცთო ზედმეტი, არამედ ძალდაუტანებლად ესადაგება „პროვალის წარსულის“ კომპოზიციურ სტრუქტურას, მისი მოზაიკური აგებულებასა და მთავარი სიუჟეტური ხაზის დინამიკობას, რაც ზუნებრივად შეირწყალს სხვადასხვა მენაკადებსა თუ ჩანარებს და „არტისტული გადატრიალების“ კრიტიკულ-ესთეტიკური შეფასებაც ისევე აღიქმება მთლიანობის სრულფუნქციან ნაწილად, როგორც, ვთქვათ, მიხეილ უჯავიშვილის „უბის ნივანაკებსა“ თუ მიხა გვეგეშვიძის „დაკარგული ქვეყნის მეორების“ მოკლე, ტეფიდ დახასიათებანი.

ამ ავტობიოგრაფიულ რომანში — თუკი ქირურგიულად დაშლით მის მოზაიკურ გარეგნობას — გარდა კრიტიკულ-ესთეტიკური ჩანართებისა, შეგვხვებთ ნოველსაც („ზღვარი სინამდვილესა და ზმანებას შორის“), მინიატურასაც, ჩანახატსაც, ლიტერატურულ სპორტებსაც თუ სილუეტსაც (ვახტანგ ქვიციანი, პეტრე ქაბუკიანი, მურმან ლეხიანი, შოთა ჩანტლაძე, ბორის გაბონოვი, თედო ბეჭემილი, გიორგი ბაქრაძე, ვიკოლა სანიშვილი, სოსო პაიჭიაძე...), ოპორესკასაც („პარადიული სექტაკული ტროლეებსა...“), დილორის ფურცლებსაც, ეპისტოლეებსაც... და ეს მრავალფეროვანი მასალა თუ ფანრები თხრობის ისეთ მოხდენილ და ექსპრესიულ გარსშია მოქცეული, ამოვარდნილის შთაბეჭდილებას არცერთი არ ახდენს და იმ იდუმალი და მტკიცე დაფებითა გადაბმული ერთმანეთს, კომპოზიციის იმ შეგრძნებით, რაც ნიშანდობლივა გივი აღხაზიშვილის პოეტური ციკლებსა და კრებულებისთვისაც კი, არამცთო თუ ერთი თხზულება იყოს მარჯვედ მნიშვნეული, მიუხედავდ ავტობიოგრაფიული თანხის შინაგანი ლაიობსაც და მოზაიკური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი გარეგანი დაფანტულობისაც.



აკაკი ბაქრაძე თეატრალური თუ კინოგარემოს სამხერვან განვლიდა სიუჟეტურ ქარვას და აქედან გაიზარდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ერთ ხანას; ოთარ ჩხეიძე გორის ინსტიტუტს აირჩევდა თბრობის შუაგულად და მის ჩარწოში მოაქცევდა საქართველოს დრამატულ ბედისწერას; გივი ალბაზიშვილისათვის კი ამგვარი დასაყრდენი გამოქვეყნობაა, მისი თავდადასავალი და ბედი საუკუნის მინურულს... თბრობისას კი ჩნდება ათასგვარი ასოციაცია და სილუეტები და ასე თანდათანობით წარმოსახება ნინა ათნუგულეზიცი — თავისი კრიზისითა და კულტურის უწყვეტობით, თავისი დრამატიზმითა და რომანტიკით: ბავშვობა და სიყმაწვილე, ქუთაისური და თელავური შთაბეჭდილებანი, ძიებისა და განსწავლის ნლები, თბილისის უნივერსიტეტი, ჟურნალ «ცისკრის» რედაქცია, ლიტერატურული გარემოს მოჩვენებითი ხბობი თუ წამდვილი ძარღვი...

გაბედული საჯარო არადა, მარტოდენ ლიტერატურული, გამოსვლისათვის — პოლიტიკურ აქციად რომ ჩაუთვალეს — მწარედ დასჯა რუსულჯარში სამხლიანი სამხარობით აკი იმ რომანში აღიწერა — „რკინის კარს აქუთ და იქით“, თავისებურად რომ ავსებს „მომავალი წარსულის“ სიუჟეტს.

თბრობის წარმმართველი სწორედ დრამატიზმისა და რომანტიკის მონაცვლეობაა, თუმც დროდადრო ჩნდება მწვავე კრიტიკული პასაჟებიც, რომლის შუაგულში შესაძლოა თვითონაც მოექცეს ავტორი, რადგანაც არ ერდობდა თავისი ზოგიერთი ნაწერის გადაფასებას, მუზედავად იმისა, რომ ყოველთვის განზე იდგა ფარისველთაგან თუ ხელისუფლების მესობებთაგან და ამ მხრივ სასაყვედურო არც არაფერი აქვს საკუთარი თავისადმი... და მაინც ვერ ფარავს უკმარისობის განცდას...

მწვავე კრიტიკული პასაჟები...
თუმც ამგვარი მონაცვლეობა საკმაოდ მცირეა და სულაც ჩაკარგული რომანია, ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე მისი ცალკეული თავების გამოქვეყნებისას ყველაზე დიდი მღელვარება — ითქვას პირდაპირ, არავანალი, არალიტერატურული აფოტაჟი — ამ პასაჟებს მოჰყვა და წივად გამოქვეყნის დროსაც მოსალოდნელია ზერეული, ხენსაციების გამოდევნებულ მკითხველთათვის სწორედ ის მცირე, ჩაკარგული მონაკვეთები აღმოჩნდეს მთავარც და საგულდაგულოდ განასაჯელიც.

ნამდვილი მკითხველი კი, ცხადია, „მომავალი წარსულის“ საზოგადოებრივ მნიშვნელობას შეიცნობს და

დააფასებს როგორც საწოლ გზამკვლევისას ქაოტურ, ბევრწილად დაფარულ თუ გაყალბებულ რეალობაში, რათა მისი შეწმენობითაც თვალნათლივ გამოიკვეთოს სურათები იმ ისტორიული წარსულისა, რომელმაც უნდა განასაზღვროს ჩვენი სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივ-კულტურული ერთობის, მომავალი.

დასავლური მწერლობის სადარი ქართული ავტობიოგრაფიულ რომანთა მრავალფეროვანი რაკლიდან თავისებურად გამოირჩევა აკაკი წერეთლის „ჩემი თავდადასავალი“ და კონსტანტინე გამსახურდიას „ლანდებთან ლაციცი“, და ორივე გამოირჩევა იმ მხრივ, რომ სიუჟეტის გამოლისას საგრწობითა ავტობიოგრაფიული ფრთის გაშლა — მხატვრულობა დამწვევია არამარტო ამ თხზულებათა ფორმასა და კომპოზიციურ აგებულებას, არამედ თბრობის მწერასაც.

ზოგადადა ასე, თორემ წარმოსახვის ფუნქცია ორივეგან საკმაოდ განსხვავებულია და არც ამ განსხვავების გამოიგვანა ძნელი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ამ ზოგადი სიხბოვის არსებობაზე სიტყვის ჩამოგდება ეიკმაროთ, და კიდევ ის, რომ გივი ალბაზიშვილის „მომავალი წარსულიც“ ამ მხრივ უფრო მათ ჩამოგვებს — რაკილა წარმოსახვა აქაც ხელშეახებდა იწინს თავს.

ამიტომაცაა, ყოფითი რეალიზმიდან უშუალოდ გადმოყვანილ პერსონაჟთა გვერდით დროდადრო რომ წარმოდგებიან კრებითი ხასიათებიც, როგორც ამა თუ იმ მანკიერების თავისებური სიმბოლოები და განზოგადებანი. და თვითონ ავტორ-მთბრობელიც ერთი კი არ არის — როგორც შევსეკულვავთ მემუარების კითხვისას — არამედ რამდენიმე, მოდერნისტების შემდგომ რომ დამკვიდრდა ეს ხერხი თუ მეთოდი მწერლობაში.

მაგრამ „მომავალი წარსული“ ზომ მემუარები არცაა, ავტობიოგრაფიული რომანია და მამ მწერლის უფლებაც აქვს, თუკი დაისაჩიროებს, გამოიყენოს ბელეტრისტიკის ხერხები და ლიტერატურული თამაშის ელემენტებიც, რათა თბრობა უფრო ექსპრესიული და სახალისო შეიქნას.

„მომავალი წარსულს“ არ აკლია სიხალისე და ექსპრესია, მაგრამ მთავარი მაინც ის განუზომელი სევდაა, რომელსაც იწვევს ეპოქისა და ადამიანთა თვალდათვალ გადასვლა დროის უძირი სიღრმეში, და მწარე შეგნება იმისა, რომ მხოლოდ ნაკუნები თუ მეგობრის გამგელოვო მის მსახერალ დინებას. და ის მწერალე იმედოვნებაც არანაკლებ მთავარია, მაინც რომ არ ეპოუები საათთა უწყალო ნიკების და იმ ნაკუნებში ეძიებ ცისს და მწინს ამრეკლავ წვეთებს.



გივი ალბაზიშვილი



ო' პენრი

ნამეზიდა' და ტკბილესი გამყიდველი

„ხვალ, დილის რვა საათზე უკვე გემზე ვიქნებით.“ — თქვა პონორიამ და მაქმანიან სახელის გამორჩილი ძაფი ამოაძრო.

„გაიგე და ამიტომაც მოვედი, მინდა ბედნიერი მგზავრობა გისურვო.“ — მიმართა მას ჭაბუკმა აივებსა, ხელიდან ქედი რომ უვარდებოდა. შეეცადა დაეჭირა, მაგრამ ვერ მოახერხა.

„ცხადია, ვინმე გეტყვოდათ,“ — მიუგო ქალმა ციფად, თუმცა თავაზიანად, — „ჩვენ ხომ ვერ შევედით უშუალოდ გვეცნობებინა“.

აივებსმა მუდარით სავსე, უიმედო თვალები მიაპყრო პონორიას.

ამ დროს გარედან ქუჩის მოვაჭრის ხმაშალალი, გაბმული მქლოდიური ძაბილი მოსმა: „ტკბილესი ი ი ი აბა, ახალი, გემრიელი ტკბილესი ი ი ი!“

„ეს ხომ ჩვენი ტკბილესის გამყიდველია.“ — პონორიამ დაზვარდნად გადაიხედა და ქუჩის მოვაჭრეს ხელი დაუქნია. „ოპ, როგორ მომიხდა მისი ტკბილესი უკლები, თითქმის ჩაიკენდა, ისეთია, ბროდვეის მაღაზიებში უკეთესს ვერაფერს იყიდ.“

ტკბილესის გამყიდველმა საეჭირო ურიკა მდინისნაგვირის ძველ სახლიან შეაჩერა. იმ დღეს მას ქუჩის მოვაჭრისათვის უჩვეულო, საზეიმო და სადღესასწაულო იერი ჰქონდა. ყელზე ახალთახალი ბრდელილა აღისფერი ცელსაბამი შეებნია. ყელსაბამის ნაოჭებს შორის ლამის ნატურალური ზომის ნაღისებური გულსაბნევი უბრწყვიალებდა. ხმელ მაგვრემან სახეზე სულელური ღიმილი დასათამაშებდა. გარეულ მაკვებს ზოლიანი მანქეტები უფარავდა, ძაღლისთავა ვამოსახლებიან დიდრონ ღილებს რომ დაემშვენიებინა.

„დარწმუნებული ვარ, საქორნოლოდ ემზადება.“ — თქვა პონორიამ სიბრაღულით. — „რახანია, ჩვენს ქუჩაზე დაატარებს ტკბილესს და ასე გამორეობილი დღეს პირველად ენაზე. არა, ნამდვილად ასეა“.

აივებსმა ტროტუარზე მონეტა ისროლა. გამყიდველს არ დაგიწყებოდა კლიენტის გემოვნება — მან ქალადის ძაბრულა პარკი პონორიას სავეარელი ტკბილესული აავსო, ძველმოღერი პარმაღის საფეხურზე შედგა და პარკი აივებსს მიანოდა.

„მასხენდება...“ — ნამოინყო აივებსმა „მოიცა.“ — შეაჩერა პონორიამ. ქალმა საწერი მაგიდის უფრიდან საქაღალდე ამოიღო, რომელშიც თბილი ქალადის იმცრო გრავანოსი იყო.

„ეს ერთი იმ პირველთაგანია, შესაძნადა რომ გადავახვიეთ.“ — პონორიას ხმაში უსუსი იგრძნობოდა.

„მას შემდეგ ერთი ნელი გავიდა.“ — მოუბოდიშა აივებსმა და გრავანოსს დასწავდა.



ოპ, გიერთვლებ, კარგო, მარადუამს, ვიდრე დაგვანოსის ზეცა ლავერდად.

ამოიკითხა მან თბილი ქალადის გრავანოლიდან.

„სჯობდა, ორი კვირის წინათ გავმგზავრებულყავით“ — ნამოინყო პონორიამ გამარწმუნულად — „შამინეე ჩანდა, გვარინანად ჩამოცხებოდა. ქალაქი თითქმის დატვირთვით, დროს ვერსად გაატარებ. რამდენიმე საზაფხულო ბალსად შეიძლება თურმე გართობა და იქაც თითო-ორთა ცეკვა-სიმღერა თუ მოგვინებდა“.

აივებს სუნთქვაშეკრული იდგა. ვანა საკვირველია, რინგე უცასულს მერტყე გირტყამდეს!

„მამინ გამყიდველს გავყვი და ბროდვეის კუთხეში ხუთი დოლარი ვაუქე.“ — გაიხსენა ჭაბუკმა.

ის დასწავდა ტკბილესის პარკს, მუხლებზე რომ შემოეღო პონორიას, იქიდან შეხვეული კონფეტკი ამოიღო და ზანტად შემოაცალა ქალადი.

„სარა ჩილინგვორისთვის მამას ავტომობილი უჩუქენია.“ — გამაოცხადა პონორიამ.

„აი, ეს ნაიკითხეთ.“ — აივებსმა ქალს კონფეტს შემოცლილი ქალადი მიანოდა.

ნლეტი გავსწავლის, როგორ ვიცხოვროთ, როგორ ვეპყარდეს და მივეტვიტო.

ქალს სახე აუჭარხნდა.

„პონორია!“ — დაიძახა აივებსმა და ნამოდა.

„მის კლიტონ.“ — შეუსწროა პონორიამ, ზღვის ქაფიდან ნამომართულ ვენერას' რომ დამსგავსებოდა, — „ხომ გაგაფრთხილეთ, სახელით აღარ მოგემართათ“.

„პონორია,“ — გაიმეორა ჭაბუკმა, — „გთხოვთ, მომისმინოთ. ვიცი, არ ვინსახურებ, მაგრამ მაინც უნდა მამატიოთ, თქვენს იქით გზა არ მაქვს. ადამიანს რომ ენაში შეუნრდებდა, რას არ ჩაადენინებ. მერწმუნეთ, ქარს გავატანე ყველა და ყველაფერი, რამაც თქვენს თავს დამამორა, დაწვყიტე ყველა ჯაჭვი, რითაც ის სამდე ყოყა მიბმული. დე, ქუჩის მოვაჭრის ეს დეუსი ვახდეს ჩვენი შერიგების საწინდარი. შემორბედი, ჩემო ერთადერთო სიყვარულო, და გაირდები, გიერთვლებ, ვიდრე დაგვანოსის ზეცა ლავერდად.“

დასავლეთის მხარეს, მეექვსე და მეშვიდე ავენიუებს შუა მოქცეულ კვარტალს რუკაბანიე კვეთდა. ეს იყო თეატრალური და ოპერმური ქუჩაიანი, ჭრელი, ათასი ჯურის ხალხის სამოსახლო, რა ენაზე არ გაიფრებოდი თქ საუ-

ბარს. უცხოთათვის ამ უბანში მოხვედრა, ცოტა არ იყოს, სარისკოც იყო.

კვარტლის ცენტრში ქუჩაბანდი პატარა ეზოთი ბოლოვდებოდა. ეზოს სიღრმეში ტკბილეულის გამყიდველი ცხოვრობდა. შვიდ საათზე მან თავისი ურიკა კინრო გასასვლელი გამოაკორა, ქვის უსრომანსრო ფილაზე შეაყენა და გასაგრძელებად ურიკის სახელურზე ჩამოჯდა. ქუჩაბანდიდან ნიაჭკარი უბერავდა.

ქუჩის მოვაჭრე ურიკას მუდამ შენობის ამოჩემებული ფანჯრის ქვეშ აჩერებდა. ამ ფანჯარასთან ნაშუადღევის სიგრილეში ჩვეულებრივ ჯდებოდა და სუფთა პაერს ენაფებოდა მადმუაზელ ადელე - საზაფხულო ბალის თვალი და მშვენიება. მუქ ნაბლისფერ თმას ფანჯრიდან გადაუშვებდა ხოლმე და მოწაქროლი სიო მსახურ სიდონიას მის გამოება-განიავებაში ეხმარებოდა. ლამაზ მხრებზე, ფოტოგრაფები რომ ხშირად უღებდნენ, მადმუაზელს შილიყად ნიითად დანიხსნულელი მოლისფერი მონსახამი ეხვია. ქალის იდაყვამდე გამოშვებული მკლავები მოქანდაკის საჭურთელს ითხოვდა. ქუჩაბანდის კედლების უსულგულო აგურბიც კი ვერ რჩებოდნენ გულგრილი ამ სიმშენიერის მიმართ, ისინიც ამჩნევდნენ და იწონებდნენ მაცდუნებელ სილამაზეს. იმ დროს, როცა ქალბატონი ამგვარად ჩამოჯდებოდა ხოლმე ფანჯარასთან, მსახური ფელისე პანანი-და ფეხები პანანდა და ნელსაცხებილი უხუტებდა. ამ ნატიფი ფეხების ბზინვარება საღამოობით ბაღში მოსიერნეთ აუჯალებდა.

მადმუაზელმა მალე შეამჩნია, რომ დაქაცული გამყიდველი სწორედ მისი ფანჯრის ქვეშ იბრუნებდა სულს, გაოფილი მუხლს იმპრალბებდა და გრილდებოდა. სანამ მოახლენი ენახებოდნენ, ქალბატონი მოკლებული იყო ჩვეულ გახარობს, მამაკაცების მოხიბვლასა და გულების დაპრობაში რომ გამოიხატებოდა. მას არც ახლა უნდოდა დრო დაეკარგა. ტკბილეულით მოვაჭრეს დაადგა თვალი და მშვილდი მოხიდა. მართალია, მთლად შესაფერისი სამიზნე ვერ იყო მისი სისავარული ისრებისათვის, მაგრამ, არც უნდა იყოს, ძლიერი სექსის განკუთვნიებოდა. მასთან საბრძოლველად კი ქალი მუდამ შემართული იყო.

მადმუაზელმა რამდენჯერმე უჩვეულოდ ცივი მზერა მიიპყრო მოვაჭრეს. ერთ მშვენიერ დღეს კი მოლბა და

ანაზღვეულად ისეთი ღიმილი სტყორცნა, სიტკბოებით სავაჭრო ურიკაზე შემონყობილი ტკბილეულისას ბევრად რომ აღემატებოდა.

“რას იტყვი, გამყიდველო, ლამაზი ვარ?” - დაილღუნა. მოულოდნელად ფანჯარას გადაეყუდა და სიდონიც, ხშირ ნაბლისფერ თმას რომ ვარცხნიდა, უნიებურად თან გაიყოლა.

ქუჩის მოვაჭრემ ირონიულად გაიცინა და მადმუაზელს ამოხვდა, თან ყბამორეცილი ლურჯ-ნითულა ცხვირსახოცი თოფს იმწენდა.

“ძვირადღირებული ყურნალის გამყიდველს ცდუნება — ყოფიერ უხალსოდ. — ლამაზი ხართ თუ არა, ეს რა ჩემი საქმეა. ამის გარკვევა სხვეპისტის მიმინდია. ქათინაური თუ გასურთ, მოგვიანებით მოიხმენთ, ცხრიდან თორმეტ საათამდე. ფიქრობ, განვიმდება.”

კაცმა რომ თქვას, ტკბილეულის გამყიდველს ცდუნება ისეთივე სისასტიკე იყო, როგორც ღრმა თოვლში ჩაღვლულ კურდღლებზე ნადირობა, მაგრამ რა დააცხრობს მონადირის თინს!

მადმუაზელმა მსხვილი ნანანავი სიდონიას ხელიდან გაითავისუფლა და ფანჯრიდან გადაუშვა.

გამყიდველო, ნუთუ შენს სატრფოს ასეთი გრძელი ფაფუკი თმა აქვს? ან ასეთი ფაფუფულა მკლავი? — ქალმა ფანჯრის რაფაზე შემოღო ულამაზენი მკლავი, სულამატიროლი გალათეასას რომ მიუგავდა.

ქუჩის მოვაჭრემ ჩაიხიბოდა. ის დაბნულ ირისს კრეფდა და კვლავ ურიკაზე ახყობდა.

“მისამართი შეგემალია.” — უპასუხა მან უხემად. — “ვერც სატებარ სიტყვას დამაცდენინებთ და ვერც მასაქმილებული მკლავითა და ხელოვნური თმით გამაკვირებთ. განა არ ვიცი, საღებავითა და ფერუმარლით ილამაზებთ თავს და ისე ემზადებით საარმოყოფდ. ორკესტრი კი უკრავს “ძველი ვაშლის ხის ჩრდილქვეშ”, მაგრამ არც იფიქროთ, მოიკაზმოთ და ძირს დაეშვათ - ვერ ელირსებთი ჩემთან ერთად კუთხის პატარა ეკლესიისკენ გაფრენას. თქვენი მოსატყუებელი კბილი აქვდა ხანია მოვიცვალე. ხუმრობა იქით იყოს, და როგორ ეფრობათ, განვიმდება?”

გამყიდველო, — მადმუაზელმა ტურქული ნაზად მოკლმა და ნიკაბი ჩაურტა — აბა, მიიხარო, განა კობტა არა ვარ?”

ქუჩის მოვაჭრემ გაიღრჭა.



მხატვარი მალხაზ იაშვილი



„ამდენი თავის ქებასად გაგონილა? სჯობდა, სარეკლამო აგენტი დაგეკრიავებინათ“ — მოუგო მან. — მწველი კაცი ვარ, მაგრამ რაღაც თქვენი სურათი სივარდის კოლოფებზე უფრო არ შემეხედვია. ჩემი ცდუნება არც ისე ადვილია, ქალებს მობარბოლს გიცნობთ. უთქვენდაც მშვენიერად გვჩინობთ თავს, დილორ ბუნდინოვანად ხორცის ხაზიანი უბტერბრობად, ჩიბუხი და საღამოს გაზთვით მყოფხისა, ასე რომ, ცოტას გვეგრძობს და, თუ ჩემი სიკეთე ვსურთ, სარფიანი დღე მისურვებთ, შვებურნადები შედგა საათისთვის ეზომი და ლილიან რასელიც? ვერ მაცდუნებთ.“

მადმუაზელმა ტუტეები გამოხრია.
 „გამყიდველო, — კვლავ მიმართა კვლუტად, — ჯერ უნდა მიიხარო, რომ ლამაზი ვარ. ამას ყველა მამაკაცი აღიარებს და შენც ასე უნდა მოიქცე.“

ქურის მოვარდემს გაიცინა და ფიხიანი ჩიბუხი ამოიღო. „მოგრჩეთ, — მოუჭრა — უნდა ნავიდე. ერთი სული მაქვს, საღამოს გაზთს ჩაუვლებ. სანტორესო ამბავს გკითხულობ, ზღვაში გასული განძის მაძიებლებსას, რიფებს მიღმა მეკობრეები რომ უთვალავალებენ. აი, იქ ერთი ქალიც კი არ ჭჭანებს, არც ხმელეთზე, არც ზღვასა და არც ჰაერში. ნახვამდის.“ მან ურიკა ხევიანის გაათრია და თავის ქუჭკიანი ეზომი შეავარა.

ასე გრძელდებოდა ერთხანს, რაც უნდა უცნაურად ეჩვენოს ეს ერთბაშად მას, ვინც ქალის ბუნებას ჯერ არ ჩასწავლიდა. ყოველდღიურად, სანამ მსახურნი მადმუაზელის თმას ეკლავებოდნენ, ის ფანჯარასთან ამგავრი ბნისური თამაშით ირთობდა თავს, სასიყვარულო ბავდეს ქსოვდა და ტკბილულის გამყიდველის შიგ გახვებდა ლამობდა. ერთხელ ისე გაერთო მის ვულგარულ ფილოსოფიასთან ამათ ბრძოლაში, რომ ფრიად პატრიცემულ კავალერს მისაღებ თაბში მთელ ნახევარი საათი აღიარა. გამყიდველს სველური სიცილი პატრიცემულ ქალს მთელი არსებითი კვლავდა და აღიზანებდა. ურიკაზე შემომჯდარი ქურის მოვარდემი კი ხეივანის ნიათი გრძელდებოდა, უხემი მკერდით ლამაზ თვალთა ისრებს ისხლტდა და გულისკენ გზას უღობავდა. გამყიდველი გულგრილად, შეფარული დაკინებით უცქერდა ჰორიზონს, აიძულებდა, სილამაზის კაპარტიდან უმთხილესი ისრები ამოეღო და მის დასაჭრელად გაეტყუროცა. დაუმსახურებელი წყნისასგან მადმუაზელს თვალები უფამებდა, სიამაყემულხარა ბრახისაგან ანთებულყო და გაემგრაივ მჭერით ამოეღო ნიშანში გამყიდველი. ასეთ იერიშს დიდხანს ბეგრად ღირსეული მამაკაცებიც ვერ გაუძლებდნენ.

ერთ ნაშუადღევს ქალი კვლავ ღრმად გადაიხარა რაფაზე, მაგრამ ამჯერად ქურის მოვარდემი ჩვეულ პაეკობაში აღარ გამოეწვევია და ძველდებოდა აღარ დაუტრახავს.

„გამყიდველო, — გასაძახა ჰონორიამ, — ადექი და თვალბში შემოხვებე.“

ტკბილულის გამყიდველი ნამოდგა და ქალს თვალბში შეხედა ჩვეული ხიბიხითით, ხის ხერხვას რომ მოგაგონებდათ. შემდეგ ჩიბუხი ამოიღო, უხერხულად შეთამაშა და მოცახვებ ხელით კვლავ ვეება ჯიბეში ჩაიღო.

„ესეც ესე.“ — მადმუაზელმა ოდნავ გაიღიმა. — „დროა ნავიდე, მასაისტი მელიოდნა. მწვიდობით.“

მეორე დღეს, შეიდ საათზე ტკბილულის გამყიდველი კვლავ გამოჩნდა და ურიკა ფანჯრის ქვეშ შეაყენა. ის თავის

თავს აღარ ჰგაფდა. ტრანსცემული აბლუტური პენით უბრწყინავდა. აღისფერი ყელსაბაში ნალისებური ბრჭყიალა ტრანსისაით შეხებია. ფესცამელი უპრიალებდა. გარუჯული ლოგები გაფრთხილებოდა, ხელები დაებანა. ფანჯარაში ცერავის მოჭრა თვლი და ლოდინი დაიწყო თავანუელმა — იფიქრებდით, შემებარი ძალი უცდის, როდის გადმოუგებენ ძეხლასო.

გამოჩნდა მადმუაზელი. უკან სიდონია მოპყვებოდა და მისი თმის ტყერი მოპყნდა. ჰონორიამ გამყიდველს შეხედა და ოდნავ გაუღიმა. მალე ღმილი შეაცვიფა — უკვე იცოდა, რომ სანადელი აისრულა და გამყიდველისადმი ინტერესი დაჰკარგოდა. ქალმა სიდონიას საუბარი გაუშა.

„მშვენიერი დღეა. რახანია, ასეთ კარგ გუნებაზე არ ცყოფილვარ, — ნარმოსთქვა ტკბილუელით მოვაქრემ ყასიდა, — ძველი მდისონი დავიკარე, ყვიროლი ხმა ჩამეხლჩა. როგორ ფიქრობთ, ინვიმებს ხვალ?“

მადმუაზელმა ფანჯრის რაფაზე შემოდებულ ბალიშს ფუფულა მკლავები დააფარდა და ნიკაში შემოაღო.

„გამყიდველო, ნუთუ არ გიყავარა?“ — შევითხა ნახად. ქურის მოვარდემი ნამოდგა და აგურის კედელს მიეყრდენო. იგი დღევად.

„ქალბატონო, განა ენა მომიტრიალებდა იმის სათქმელად, რომ ლამაზი არა ხართ? აი, ჩემი დანახოცა, რვაასი დოლარია. გამომართეთ და თქვენს ძალღს საყველო უყვიდეთ.“

მადმუაზელის კისკისმა ოთახში თახის ვერცხლის ზანხალაკად გაიწკრილა. სიცილმა ქურბანდი აფსო და ეზომიც შედინა. იქაურობისთვის ის ისეთვე უცხო ხილი იყო, როგორც მისი მუტი. მადმუაზელი ზიგომდა. ქალის კისკისის მისი კუდის, ერთგული სიდონიას დამირგუნველი კონტრალოც? ერთიოდა. ქალბატონისა და მოახლის გულიანმა სიცილმა, ჩანს, ქურის მოვარდემი რაღაცას მოახვედრა ბოლისდაბოლის — მან ნალისებურ გულსაბნებს ნეალება დაუწყა. როგორც იქნა, ლონემიხდილმა მადმუაზელმა თვითმწყაფოფი ლამაზი სახე ფანჯრისკენ მიატრიალა.

„გასინა აქედან.“ — გასაძახა გამყიდველს. — „შენს დანახვებ სიცილს ვერ ვიკავებ, სიდონია კი ამის გამო თმას მანინჯის.“

„წერილია მადმუაზელისთვის.“ — ოთახში შემოსული ფელისე ფანჯარას მოუხლოვდა.

„ეჰ, სამართალს ვერ ნახებ ქვეყანაზე.“ — ნაბურტყუნა ქურის მოვარდემი, ურიკის სახელების დასწავდა და გააკარა.

სამი იმარდევ არ გაველო, რომ მადმუაზელის ფანჯრინდა ზედვიდე ძლიერი ხმაური მოესმა. სწრაფადვე უკან გამოიქცა. მალე იტაცებ ხსეულის დაქემის ხმა და ფეხის ბაკუნიც გაიკონა.

„რა მობდა?“ — ამოსაძახა ქვემოდან.

ფანჯარაში სიდონიას პირქუში სახე გამოჩნდა.

„მადმუაზელს გული შეუნუნდა საშინელი ამბის გაგონებაზე, — უსაყვარელმა სატრომ მიატოვა, ხვალ ოკეანის გადაცურვას ამირებს. აღბათ გსმენიათ მუსიე აივენის შესახებ... ოჰ, ეს კაცები!“

ინკლისურიდან თარგმნა
 ბიკი ცერცვაძე



შენიშვნები:

1. შერისიძების ქალღმერთი ზერძნულ მთიოლოგიაში.
2. სილაპაზის და სიყვარულის ქალღმერთი რომაულ მთიოლოგიაში. ლეგენდის თანახმად დაიბადა ზღვის ქაფიდან.
3. ზერძნული მთიოლოგიის მიხედვით, კვიპროსის მეფის - პიგმალიონის შივრ სპილოს ქალისაგან გამოქანდაკებული უმევენერესი გოგონა, რომელიც მას შეუყვარდა. პიგმალიონის თხოვნით აფროდიტემ გადაცოცხლა გალათია და კვიპროსის მეფემ იგი ცოლად შეირთო. მათ შეეძინათ ქალიშვილი პათოსი.
4. ამერიკელი კომპოზიტორების პარი ულიამსის (1879-1922) და ეგბერტ ვან ელსტაინის (1878-1951) პოპულარული სატრფიალო სენტიმენტალური სიმღერა, მიძღვნილი დაკარგული სიყვარულისადმი. დაინერა 1905 წელს.
5. ნიუ-იორკის ფერისცვალების საებისკომპოსო ეკლესია

მდებარეობს აღმოსავლეთის 29-ე ქუჩაზე, მეხუთე ავენიუსა და მედისონ-ავენიუსზე შორის კუთხეში. მისი არაოფიციალური სახელწოდება წარმოსდგა 1870 წელს, როცა მუზეუმი ეკლესიის მღვდელმა უარი უთხრა ჯ. ჯეფერსონს მეგობრის, გარდაცვლილი მსახიობისთვის წესის აგებაზე და ურჩია მიემართა "კუთხის პატარა ეკლესიისთვის." მას შემდეგ განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს ქვეყნის თვარტალურ წრეებში. ეკლესიას ამშვენებს ორი ცნობილი ვიტრალი. ერთზე გამოსახულია ჯ. ჯეფერსონი, რომელიც წარმოთქვამს სიტყვებს: "ღმერთო, დალოცე კუთხის პატარა ეკლესია." ქალაქის სხვა ეკლესიებს უსწრებს ქორინებთა რიგებით.

6. ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ქალი, სახელგანთქმული სილაპაზით, სტილით, ხმით და შესრულების მანერით, მოღვაწეობდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.
7. ქალის ყველაზე დაბალი ხმა.

ახალი ნიშნები

ივანე ამირხანაშვილი

მეტალის პეპელა აბსტრაქციის ნამსხვრეპეპუი

არსებობს ასეთი ცნება – „საავტორო ენა“, რომელსაც კრიტიკოსები მაშინ ახსენებენ ხოლმე, როცა სურთ ხაზი გაუსვან ავტორის აზროვნებისა და სტილის თავისებურებას. შესაძლოა ამ ცნებაში არც განსაკუთრებული იყოს რაიმე და არც განსხვავებული, ყველა ნაწარმოების ენა საავტოროა, ავტორის ხელით იქმნება და ავტორისგანვე ეძლევა „მარკა“, მაგრამ მაინც არის მასში რაღაც მიზინვება უცნაურზე, სიღრმისეულზე, მეტაფორულზე.

ავტორის ენა და საავტორო ენა. პირველი, გრანდიოზული-სტილისტიკური პირობითობის გათვალისწინებით, სტატიკაა, მეოც – დინამიკა და, ვგონებ, სწორედ ეს არის ის, რაც ამ ცნებას ავანგარდისტულ ტონალობას ანიჭებს.

ყველა ავტორი იმისთვის წერს, რომ „თავისი ენა“ შექმნას. ის ისევე ბუნებრივია, როგორც ენა, რომ შეიძლება ამ მიზანს ყველაზე ვერ მიადნობს. თუცა მიზანიც ხომ პირობითი ცნებაა, არაფერ იცის, ვინ აღწევს მიზანს „აქ და ახლა“, ამას დრო არკვევს უჩვენოდ, ჩვენ შემდეგ.

მწერლობაში „ახალი“ და „მცდარი“ სინონიმებია. რასაც სიახლეს ვუწოდებთ, ის შეცდომაა, რომელიც ავტორმა შეგვერუღა და უშუალოდ, რათა თავი ახალ რეალობაში გამოეცადა. ახალ რეალობაში, უპირველეს ყოვლისა, მეტაფორა იგულისხმება. მეტაფორის ძირეული მნიშვნელობაა ხომ ამას მიგვაჩინებებს – გადაიტანა, გადასვლა, გენებათ, გადავალვა ერთი სინამდვილის მეორეზე, ხშირ შემთხვევაში რეალურისა – ირეალურზე, არსებულისა –



წარმოსახვითზე. საბოლოოდ, ვლევულობთ პარადოქსს, როგორც კონცეპტუალურ ერთეულს, რომელიც იმდენად იძლევა მხატვრულ ფექტს, რამდენადვე ესადაგება დროის ფსიქოლოგიურ ხატს.

მეტაფორიზაციის თანამედროვე მანერა პროტესტის სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ესეც დროის ნიშანია, მაღალი ნოტის გარეშე გრძობა ალარ გამოიხატება.

მეტაფორა არა მარტო ცვლის საგნის ხედვის რაკურსს, არამედ განაახლებს, ახლადან აღმოაჩენს, ახალ კულტურულ კოდს მიაჩიქებს მას. ავიღოთ „პეპელა“, სრულად ბანალური პოეტური საგანი და მისი ალტერნატივა – „მეტალის პეპელა“. გრანდიოზული სხვაობაა. უდიდესი მანძილი ცნებიდან ცნებამდე, ფიგურადან ფიგურამდე. ეს მანძილი კი ტოლია იმ ფექტისა, რასაც მეტაფორა ქმნის.

„მეტალის პეპელა“ დარეჯან სუმბაძის წიგნის სათაურია (ლექსები, „სიესტა“, 2007). ასე რომ, შემთხვევით არ დამიწყია საუბარი საავტორო ენასა და მეტაფორიზაციის თანამედროვე მანერაზე. ამ ნიშნით სათაური იწყებს საავტორო ენაზე მეტყველებას და ბოლომდე ასე გრძელდება როგორც აბსტრაქციების უწყვეტი გორღანდა, რომელშიც აქტიურად მიმდინარეობს შეუთავსებელ მოვლენათა ურთიერთშეთავსება და ცხოვრებისეული სინამდვილის თარგმნა აბსტრაქციის ენაზე.

კრებულს ოთხ ციკლად არის დაყოფილი, თუმცა, შეიძლება ითქვას, დაყოფა პირობითია, ვინაიდან მთელი



ნგინ ნარმოადგენს მონოლოგს, ოთხატვიან რეფლექსიან ერთი სუბიექტის მონანილოებით.

აქარაა, რომ ავტორის მიზანია შექმნას სიურრეალისტური ზეერელობა, რომელიც სხვა მხრიდან დავანახებს იმას, რასაც ვხედავთ.

აქვე საკითხავია, არის თუ არა ზერეალიზმი რეალობის პალეონაცია? უთუოდ არის. ყოველ შემთხვევაში, დარეჯან სუმბაძის ცდები ამას საესებით ადასტურებს. ლექსი, რომლის სათაურია „ნაწილი“. ეს არის ქვეცნობიერი მინიმება იმაზე, რომ რეალობის რღვევა მიხაგან „მე“-ში იწყება და იქვე ვრცელდება ალოგიზმისა და მისტიციზმის სახით:

ამ ლექსს ჩემი გაფანტული ნაწილი წერს,
სხვა ნაწილი როცა მშობრ ჩიტებს კვებავს
და ნაწილი ზრუნვად უდგას ანგვილი
თაროების, კარადების მყუდროებას.
ვიდ გაიგებ, ხელა მთავანი საით წავა,
სად გაჰყვება მოსყირნე ტბების ვედებს.
რა სანდოა კუდიანი ეს ნაწილი,
როცა ჩემგან უკითხავად გაიმედებს.

ცხადია, რომ ყოფით ლოგიკაში რალაც ინგრევა და თანაც საკმაოდ საფუძელიანად, მაგრამ რა ხდება ამ დროს ადამიანი? ადამიანი ინგრევა თუ მთელი რჩება? იტებზე ჯერ დაიწყო დიანგია და ეძმედვად დანგრეულმა ადამიანმა დაიწყო ლოგიკის ნგრევა? ეს ის კითხვებია, რომლებიც პასუხს არ ითხოვენ, რადგან პასუხი კითხვებშივე იგულისხმება.

დარეჯან სუმბაძეს ქვეცნობიერის სიღრმეებში მივყავართ, ალუზიებისა და პარადოქსების ენაზე გვესაუბრება და საესებით ვასაგებს ხდის იმ ფაქტს, რომ აქ ყველაფერი გასაგები არ იქნება, და, ვინ იცის, იქნებ ამიტომაც ჩნდება კითხვისმავარი განწყობილება, არ ვიცი, სად მივდივართ, სად არის ბოლო გაგრება, სად არის მიზანი...

ამვე დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, რჩება შთაბეჭდილება, რომ არაკონტროლირებადი ცნობიერება თვითკონტროლის რეჟიმს უბრუნდება.

მართალია, სიურრეალიზმი სხვა არაფერია, თუ არა რეალობის ლოგიკის ნგრევა, მაგრამ სიურრეალიზმი არ ნიშნავს ქაოსს, მასაც აქვს მიზანი, ინტენცია, ალოგიზმის განვითარების ბოლო ნერტილი.

მაგალითად, ავიღოთ „ყვავი“. ამ ლექსშიც რთული პოეტური სახეების მთელი კოლაჟია ნარმოდგენილი:

მყარია შენი ნაბიჯები. ოღონდ ირიბი
ეს შეღამება უკვე იყო. და ფრთხილად უქცევ
გვერდსა და ფინჯანს. ქალაქისფერ ჭაობს პირისპირ
შეპრჩი და ყავის ნალექებში თოვლიან ფრცოვებს
წელარ დაძებე! შეორდება ხილულ ნაწი -
დღეს უკვე მკვეთრი - შიშნარევი ხილვა ნისლიდან.

აქ, ამ ექვს სტრიქონში, უპოთეტებისა და, ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ სინამდვილეში რთული პოეტური ხატების ნეტა ქმნის ისეთ კომპოზიციას, რომელიც ყველა მხრიდან რაკეტოვანი, დავამაულებიან ბუნდოვანების ბურუსით. აშკარა ტროპული, გნებავთ, ლექსიკური გადატ-

ვითვა ანუ სიტყვები, მეტისმეტი სიჭარბის გამო, ხელს უშლიან ერთმანეთს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვები შლიან ერთმანეთის სემანტიკურ ველს.

იკეთება რამდენიმე ლექსიკური ნაზი: სიტყვა, როგორც სემანტიკური „ნედლეული“; სიტყვა, როგორც კონტაქტური მოვლენა; სიტყვა, როგორც ეპითეტი; სიტყვა, როგორც მეტაფორა; სიტყვა, როგორც სინტაქსური ერთეული. სიტყვათშეთანხმების ინტენსივობაში იკარგება ბევრი რამ, უპირველეს ყოვლისა, აზრი. სიტყვები ერთმანეთს ძარცვავენ, აცარიელებენ, შიგნავენ.

რა უნდა გაეკეთებინა დარეჯან სუმბაძეს იმისათვის, რომ ვერბალურ-ინტონაციური ქაოსიდან პოეტური ნეს-რივი მიეღო? კომპოზიციური მახვილი უნდა შემოქმანა, უფრო სწორად, კომპოზიციური ნერტილი უნდა დაესვა და მან ეს გააკეთა ბოლო ორი სტრიქონის მეშვეობით:

ჩვენ ვსვამდით ღამეს იმ ფონჯიდან, რომელიც ღამე
ინვა და ყავის ნალექებით გულს არ გვიჩნინდა.

დარეჯან სუმბაძის საავტორო ენა აბსტრაქციებისა და პალეონაციების მორფემებს იყენებს. ეს არის განცემებული აზროვნების მოცულობის საშუალება, რომელიც მუდამი თარგმანის რეჟიმში იმყოფება, რადგან ენიგმური მინაარსი აქვს, ცნობიერებაში შორდაპირ არ შემოიღოს, შეუნებელით ახსნა-განმარტებას, ამოსხნა-გამოცნობას მოითხოვს. ყველა სიტყვა კონტაქტური, ყველა აზრი - მრავალნიშვნელობიანი, ყველა ტრიპი - მრავალგანზომილებიანი. შესაძლოა ეს ენა შესწავლა-შეთვისებას უფრო საჭიროდებს, ვიდრე თარგმნას, მაგრამ მკითხველის აღქმის მექანიზმი ისეა მოწყობილი, ყველაფერს თავის გასაღებს უქებნის. შენ თუ არ თარგმნე, გონება მიანც თარგმნის ყველაფერს, რაც სათარგმნელად არ არის დაინიშნული.

ამ ენას სხვა საეციოვაც აქვს - აქ რაც არის პირობის, ამავედროულად არ არსებობს; რაც ითქმება, ამავედროულად არ ითქმება; რაც მტკიცდება, ამავედროულად არ მტკიცდება. სექტორიკოსებისა და იყოს, ყოველი არაა არის „დაიბ“ და ყოველი „დაიბ“ არის „არა“. ერთი სიტყვა, რელატივისტური ენაა და ამიტომაც - რთული და ძნელად გასაგები.

თუმცა რომელი ენა არ არის რთული. დარეჯან სუმბაძის პოეტური ენის სირთულის მიზეზი, ჩემი აზრით, ისიც არის, რომ იგი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. ენა ქებებს თავის ვედას, ადგილს, სივრცეს, ფორმას, შინაარსს.

ეს არის მცდელობა ტრადიციის ტვირთის მოცილებისა. დარეჯან სუმბაძე ცდილობს გავიდეს იმ სტრუქტურას, სადაც მისი პოეტური ნატურა იშვა. გასაღებს მცდელობა, როგორც ამბობს საკუთარ თავთან, გარანტის პირობით სულაც არ არის აღჭურვილი. დღეს ვერ გამჩნევენ, ხელ არ იცი, რა იქნება. იგი მარტოა ვედისა და თავის წინაშე, თუმცა ეს არ ამინებს, რადგან მისი მეტაბოლის პეპელა თავის საქმეს აკეთებს, შუშასავით მკვიფრ სამყაროს უწეროლეს აბსტრაქციებად ამსხვერვს და თითოეულ ნაშხვერვს მეტაფიზიკური პარამონიით ავსებს.



პერლოკ პოლმისის მკვლელობა

ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა, მერე პიესებსა და რომანებს მოჰკიდა ხელი, მსოფლიო მწერლობის გიგანტებს ეჯიბრებოდა და გულში სჯვანბნა კიდევ; მაგრამ ათასი რომანი თუ პიესა არ დაწერა, იმის მკითხველ სახელს ვერ მოიხვეჭდა, რაც ათივედ მოთხრობით მოიხვეჭა არა მარტო თავის ინგლისში, არამედ მიუღწეა მსოფლიოში, ყველა კონტინენტზე. ამ მოთხრობებს ნაღდი ოქროს ფასი ჰქონდათ, ვინაიდან განეკუთვნებოდნენ მკითხველსათვის უსაყვარლეს დეტექტიურ ჟანრს. მათი მთავარი გმირი კი მუდმივად გახლდათ ერთი და იგივე კაცი, რომლის საკუთარი სახელი იქცა საზოგადო სახელად და დახინავე ინგლისური ენის ლექსიკონებში.

ვის არ გაუგონია პერლოკ პოლმისი – მართლაც რომ ლეგენდად ქცეული დეტექტივი, რომელსაც, ამერიკულ კინორეჟისორის ორსონ უელსის სიტყვით, მართალია არასოდეს უტოცხლია ამტყუყნად, მაგრამ არც არასოდეს მოკვდება.

პერლოკ პოლმისის ძველები აღმართულია ედინბურგში, ლონდონში, მისკოვში, შვეიცარიაში, იაპონიაში. მისი სახე გზედებათ აურაცხელ ფილმებში, მოუტიკლებში, თეატრალურ დადგმებში და თქვენ წარმოიდგინეთ, ბალეტები კი. მისი აქრინიესებური პრიფილი აღბეჭდილია თეატრებზე, ჩაიდნებზე, საფოსტო მარტებზე, ხოლო ლონდონის მეტროში, სადგურ „ბეიკერ-სტრიტზე“ კედლებზე გამოსახულია სცენები პერლოკ პოლმისის ფათორა კიანი ცხოვრებიდან.

პირველი მოთხრობა პერლოკ პოლმსზე („ეტეიუდი მენამულ ტონებში“) კონან-დოილმა დაიწყო 1886 წლის 8 მარტს და დაასრულა აპრილის დამდეგს.

ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქმნიდა საყოველთაოდ პოპულარული გმირის სახეს.

ყოველთაოური ფურნალი „სტრენდი“, სადაც იმტვდებოდა კონან-დოილის „პოლმისა“, ყოველი ახალი უბუტაციის შედეგად ზრდიდა თავის ტრასელ და დასასრულ მიაღწია 100 ათას ვეზემპლარს.

მწერალი თავს აკლავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, სერიოზული რომანებისა და პიესების შეთხზვას, მაგრამ გაუგონარ სახელსა და უზარმაზარ პონორარებს იხვეჭდა დეტექტიური მოთხრობებით, რომელთაც საკმაოდ ავდებულად უყურებდა. როდესაც დებუტიდან რამდენიმე წლის შემდეგ საბოვრ დაენერა ნინასიტყვაობა ზემოსინეხული „ეტუდის“ მორიგე გამოცემისათვის, კონან-დოილმა ქედმილღურად განაცხადა: ავეჭვობ, რომ ისეთი პრიმიტიული ენბრი, როგორიცაა დეტექტივი, იმსახურებდეს ნინასიტყვაობის პატისს“.

პურს კი პერლოკ პოლმისი აჰმევედა. მაგრამ სახელმოხვეჭილმა პერსონაჟმა იმდენად მიაჯრა თავი აეტროს, რომ გაუწნდა აზრი, ჩემი გაჩენილი ხარ და ჩემი ხელითვე მოვსაპობო.

დედას გაუმხილა თავისი გულისნაღილი – პერლოკ პოლმისი უნდა მოკვლავო.

„ეს არა ქნა უფლება არა გაქვს“, კატეგორიულად განუცხადა დედამ, რომელიც პერლოკ პოლმისის თავიანთსმეველია რიცხვს მიეკუთვნებოდა.

დედის თხოვნამ გული მოუღობო მწერალს. გადადგო სასიკვდილო განაჩენის აღსრულება.

პერლოკ პოლმსზე წერა უკვე უჭირდა, რადგანაც ყოველ ახალ მოთხრობას იმდენივე ოფლის ღერა სჭირდებოდა, რამდენიც – ვრცელ რომანს.

და ამის საზღურად, ვთქვათ, ათასი „პერლოკსტიდან“ ათს თუ სმუნდა კონან-დოილის სახელი.

პოლმისის სახელის გაგონებაც აღარ მინდაო, ბუზუნებდა მწერალი. სანამ ის მომიღებს ბოლოს, მე უნდა მოვეულო ბოლოო.

მაგრამ ქინძისთავის ჩხვლეთი ან გრკიბო ზომ არ მოკლავდა ესოდენ ძლევამოსილ გმირს. საჭირო იყო გმირული სიკვდილო.

შვეიცარიაში ყოფნისას დაიგულა რეიხენბახის ჩანჭქერი. იქ უნდა დაესამარენო საბრალო მერლოკ პოლმისი – თავის საბანკო ანგარიშთან ერთად. ეს რთული მისია შეწერა პროფესორი მორიარტის, რომელსაც პოლმის უსრუდებდა „დანიამულმბრივი სამყაროს ნაპოლეონს“.

1893 წელს ფურნალ „სტრენდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა „პოლმისის უკანასკნელი საქმე“. საზოგადოების რეაქციად განაცვიფრა კონან-დოილი. იგი ათასმა მკითხველმა უნდა განაცხადა

და ფურნალის ხელმოწერაზე. მწერალი თავს იმართლებდა, პოლმისი რომ არ მოქვლავო, ის მოქვლავაო.

მკითხველია აღმუთება მწერალს იმიტომაც აღამუთება, რომ სწორედ იმხანად მოუკვდა მამა, უკვდებოდა ცული (გადარჩინა) და ადამიანები კი მრისხანე პროტესტს გამოთქვამდნენ მის მიერ გამოცხონილი პიროვნების საკვილის გამო. მისი მამის გარდაცვალება არც ერთ საბუთს არ აღუნიშნავს, ხოლო პოლმისის დღეუკნას მთელი მსოფლიოს გაბუთები პირველ გვერდს უთმობენ.

ვაშობდა ხანი და ინგლისური ლიტერატურის ყველაზე პოპულარული გმირი ეკვდრეთი აღდგა!

1901 წლის აგვისტოში ფურნალი „სტრენდი“ აქვეყნებს კონან-დოილის ახალთახალ მოთხრობას პერლოკ პოლმსზე („ბასკრეფილების ძალი“), ტრიაფი მისივე გაიზარდა 30 ათასი ვეზემპლართი.

როგორც გამოირკვა, რეიხენბახის უფსკრულის პირას პროფესორი მორიარტისთან შერკინებისას პერლოკ პოლმის მოუხვეჭებია იაპონური ჭიდაობის ილეთით თავი დავხსნა მეტოქის კლანჭებიდან, უფსკრულში გადაეგდო იგი და უგზოუკლავად გადაკარგულიყო, რათა მორიარტის დაემქმნათ შურისძიება ასევედნოდა.

კონან-დოილს კი ეგვრა, დაილუპაო. მკვდრეთი აღმდგარი პერლოკ პოლმისი დაუბრუნდა მკითხველთა მრავალბოლოის არმიას.



პერლოკ პოლმისის ძველი მაიონგეში (შვეიცარია)



გაოცებითა და მოწინააღმდეგეობით

ღმერთმა იხსნა სიკვდილისგან დავით აღმაშენებელი. დილაადრინა პერანგის ამარა იდგა თავისი კარვის კართან და აღუყვამორტყმული ციხიდან ისარული ისარი უსათუოდ გაუპოვდა მკერდს, შემთხვევით ხატა რომ არ დახვდნოდა ფარად. ისარი მოხვედრიდა თავიანთი ბრძოლის პატარა ოქროს ხატს, ყელზე რომ ეცოდა, და იქიდან ასხდებოდა.

ღმერთმა კიდევ ერთხელ გადაარჩინა საქართველო - ლეონისმშობლის ნილბუენდრი ქვეყანა.

გადაარჩინა არა მარტო აწმყო ქვეყნისა, არამედ მთელი მისი მომავალიც. გადაარჩინა ბავშვები, რომლებიც ჯერ არ დაბადებულყვნენ; გადაარჩინა სახლები, რომლებიც ჯერ არ აეშენებინათ; გადაარჩინა ლექსები, რომლებიც ჯერ არ დაეწერათ.

ჯერ კიდევ შუაგზამდეც არ იყო მისული თურქ-სელჩუკთა განადგენი საქართველოს მიწა-წყლიდან. ჯერ კიდევ არ მოუვლინ დიდგორის ომი, რომელიც ნერტლის დაუსევამს დამპყრობელთა მძლავრობას, ლაშის ნახევარი საუკუნეც რომ თრგუნავდა ქრისტიანულ ქვეყანას. ჯერ ისევ შამადაიანთა ხელთ რჩებოდა თბილისი, რომელიც მოუთმენლად ელოდა ოთხსაუკუნოვანი გასხვისების აღსასრულს.

შთაგარანგელიზის ხატს რომ არ ექნა დავით აღმაშენებლის სიკაცებზე, ვინ იცის, როგორ შეტრიალდებოდა ბედი ქართლისა. დამპყრობელთა დამარცხება, ალბათ, გადაიდებოდა გაურკვეველი ხნით და შინაური შტკრივც გაღალატებოდა, რათა ცოლავ არეულობისა და დაძაბუნების ბილიცებზე გადაეცდოდ ქვეყანა, წინსვლის შარავზე რომ იყო გახსული ახალგაზრდა მეფის ბრძოლისა და გარჯით.

ღმერთი ჰფარავდა დავით აღმაშენებელს, წინ მიუძღოდა ქუეშარტობისა და სიკეთის დასაძკვიდრებლად, სანთელს უწოდებდა კიბნელის დასახლებდა, უსწენდა მის ბილიცებს, ახარებდა მის გულს და მუდამ იცავდა მტრითაც. ვეფხვე.

სხვა ვინ უნდა შეეცვალებინა თუ არა იგი - მფევი, რომელიც დაუცვრომლად ახორციელებდა დამპყრობელთა მიერ ხალხის დებეჩაებულ-მერყვნილი სულის განწმენდასა და გამოკოცნლებას; ქვეყნის უბადლო მესაჭე, რომელსაც თავნებრად ემარჯვებოდა ხმალი და წიგნი.

ღმერთმა იხსნა სიკვდილისგან დავით აღმაშენებელი. ღმერთმა ერთი კაცი გადაარჩინა და მთელი ქვეყანაც, ვინა-

დაც ის ერთი კაცი განაგებდა ქართველი ხალხის ბედ-ილბას, ის ერთი კაცი, ვეფხაზე თავდადებული, გულდაუშვავი, ფიქრუწყებელი, მღვავ-მოუღლონი, მუსულმანური და სულტრამლი კაცი - ლეონის მიერ გამოჩრდილი და ლთიკურთხული მფევი.

როგორც აბტიკებებს, ისტორიელი კომპოზიტირება შობს დიდ მოღვაწებს, მაგრამ თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავდაჯ წარმართივე ისტორიას და, არცთუ იშვითად, გადაწყვეტ როლს ასრულებენ მოვლენათა მსვლელობაში, მათი ძალისხმევით წყდება ბედი ქვეყნისა.

მაღალი წნეობითა და გამჭირავი გონებით შემკულნი, უშიში ვითარცა უზორციონი, წუგეშსა გცემენ და თავიანთი სახილებით აზუტებენ დროებით ჩამოწლილ წყვედას. ისინი ანდერძივით უბარებენ შთამომავალთ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს. იცრება გრძობა და უწყვეტი ჯაჭვი, სიხვედრისი ანარქიული ერის სულიერი პორტრეტისა.

ილია ჭავჭავაძე სწორედ დავით აღმაშენებლის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნერალში აღნიშნავდა, რომ საუკეთესო და უდიდესი შვილები ერისა გამომავლები და განახორციელებენ მთელი ქვეყნის გულწინადებისა და სანუკვარ იდეალებს.

ისინი, ცხადია, მარტოოდენ თავისდაცემ შეგებებად როდენ უნდა რჩებოდნენ, არამედ - მისაბამ მაგალითად, რათა გამოადგინოლინ უფსკრული შირას მისული ქვეყანა, გონზე მოიყვანონ და მომავლის გზათა მიტება გაუადვილონ, შეტყრებულნი გააბნევიან და იმედი აღაღონ.

ეკთობისით ქართული ღირსიკი შედგენის (გალობანი სიწინაულისი), დავით აღმაშენებლის კალამი რომ ეკუთვნის და გასკვნის, რომ მხოლოდ დილსოლვანი ადამიანების ძალებით ასე წინამძღა დიდაცა თავიანთი ქუეშარტი თუ გახვადებული ცოფებებსა. აღინაც ვაუხვებენ მეფის გულწინად აღსარებას, მაგრამ კიდევ ათასი ჩადენილი ცოდვა რომ ჩამოეთვალა, ათას-ჯერც გადასწინდა ის დიდი მივლი და ერთი გამოთქმული ამაგი, რაც დავით აღმაშენებელს მოუძღვის საქართველოს წინაშე.

და კერძო უყრავთ ანა კალანდნებს, გაოცებენ და მონინებით რომ ეკითხება სახელეოვან წინაპრას: „თუ ცოფებელი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ქნან ცოფვილი - სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსისი მოვლენა?“ და პასუხად ეძის: „ეხრი ამადავით, გულზე დამადავით ფეხი ყოფილთა“.

ქრონიკა

12 სექტემბრის საგურამოში ილია ჭავჭავაძის ხსოვნის დედ აღინიშნა. ამ დღეს, 102 წლის წინათ დიდი ეპოპე დასრულდა და საზოგადოებრივი ცნობიერებაც ძალიან შეიწარმა, თუმც ამ მუნჯდრევის მაინცდამაინც სასიკეთო ფერისცვალება ამ მოჰყოლიდა.

საგურამოს წინნდა ილია მართლის ტაძარში დიდი წინაპრის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი აღასრულეს მამა ამბროსიმ და მამა ტარილმა.

წინამორბე, ილიას ობელისკითან ქადაგება წინამოთქვა მამა ტარილმა, სიტყვილი გამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახალ-მუხუშუმის დირექტორი ანდრო ბეღუაძე და ვვარლის მუხუშუმის დირექტორი თამარ ზურაბიშვილი.

აქვე დავეძინე, რომ ორივე მუხუშუმი - ევარელშიც და საგურამოშიც - თანამედროვე დასავლური დონის შესადგინოსა და განწარმოვლია კულტურის კერებდ.

საგურამოს მუხუშუმის ენობი შეკრებებში საზოგადოებამ პატივი მიაგო ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. მისი ღვაწლის რაობას

და მნიშვნელობაზე ისაუბრეს პროფესორებმა: ნოდარ ტაბიძემ, გურამ ყორანაშვილმა და გრიგორ ფარულავამ, ყურანასტმა თამარ ტყეშელაძემ; პოეტებმა - მანანა ჩიტიშვილმა, ვთერ თათარაძემ და თემურ ჩალაშაშვილმა - ნიკოლოზს ილია ჭავჭავაძისსაშენ მიძღვნილი ლექსები; მთარგმნელმა დავით რაზმაძემ საზოგადოებას გააცინო რუსული თარგმანი ილიას ლექსისა „ჩემი ლოცვა“.

თავწინააღმდეგეობა მუხუშუმის დირექტორი ანდრო ბეღუაძე.

დღემ საკუთად საინტერესოდ, შთაბეჭდვად ჩაიარა.

თუმცა სასურველი იყო საგურამოს გაცილებით მეტი სტუმარი სხევიდა და ეს არცთუ რიკითი მოვლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, კერძოდ, რაღაო და ტელეკომუნიკაციების შესაძლებლობებს გაეშუქებინათ. ამ შიკვ უსურედ მოსახსენიერებელია მათი კულტურულ-საგანმანათლებლო პოლიტიკა, რათა მკაფიოდ განჩინეოვდეს ქუეშარტი ღირებულებანი ეალ-ნოსტავან.

ეს, თუ არა თეიმურაზ დიახვიას, ჩვენს სახელოვან კრიტიკოსსა და ლიტერატურათმცოდნეს, უნდა დაეყენებინა საკითხი ოთარ ჩხეიძის შემოქმედების შემსწავლელი ცენტრის შექმნის შესახებ და სადა უნდა განხორციელებულიყო ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მეცნიერული კვლევა, თუ არა გორის უნივერსიტეტში, რომელსაც ასე მგონობიარედ ისტყენებს მწერალი თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „ჩემი სახანე“.

ბალიან გაგვახარა ელგუჯა თავებრიძის, ცნობილი კრიტიკოსისა და ბიოგრაფოსის, ამ შემოთავაზებამ, რომ სწორედ გორმა უზღელმძღვანელოს კვლევის ამ პროცესს, სხვადასხვა დარგის მეცნიერებს რომ გააერთიანებებს.

მე არ ვყოფილვარ მისი უახლესი სტუდენტი. არც იმ სტუდენტთა რიცხვს ვეკუთვნი, ხანდა ზმულობამოც კი საკუორივ რომ ახსოვთ საყვარელი ლექტორის დაბადების დღე – მედიკო გუდაბქსავით. ჩემდა სამწუნაროდ, არც მავლეთ გარდაფხაბქსავით ვესწრებოდი გამწარუნებულ ოთხშაბათობებს, „კვისარი“ (ასე შეარქვეს გორელმა სტუდენტებმა სიყვარულით ოთარ ჩხეიძეს) რომ მართავდა. არც მანანა ჩიბიშვილივით დაულტონია ჩემთვის პოეტური გზის დასაწყისი. მე ვიყავი ერთი რიგითი სტუდენტი ოთარ ჩხეიძისა, სტუდენტი, რომელსაც დროის განგებით უღიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრა – იყოს ქართული ლიტერატურის ლექტორი ოთარ ჩხეიძის საყვარელ უნივერსიტეტში და ყოველი ლექცია, ყოველი გადადგმული ნაბიჯი შეაფასოს მისი გადასახედოდაც – რას იტყოდა ბატონი ოთარ.

დღეს ოთარ ჩხეიძეზე, როგორც მწერალზე, ბევრი იწერება, როგორც პედაგოგზე, ახალგაზრდების საყვარელ პიროვნებასა და ორიენტორზე – შედარებით ცოტა. ოთარ ჩხეიძეს – პიროვნებასა და პედაგოგს – ისტყენენ ყოველ წ მისის მისი სხოვის ალანაშვიად გამართულ საღამოებზე, რომელიც გორში უკვე ტრადიციად იქცა. ამ ქალაქში, რომელსაც თავზე გორიეგარი დატყურებს და ყოველ გორელს ძვალსა და რბილში აქვს გამეფდარი წ მისის გორიეგრობის აღნიშვნა, თითქოს ბნელი უნდა ყოფილიყო ამ ტრადიციის დამკვიდრება, მაგრამ გაგაოცებთ ამ საღამოებზე ხალხის სიმრავლე. ეს მხოლოდ გორში. ბატონი ოთარის სტუდენტები კი მთელს საქართველოში არიან გაფანტულნი. სწორედ უპირველესად მათ უნდა შეაფასონ ეს ხარვეზი და გაისხონ საყვარელი პედაგოგი, თუნდაც ვერ იყოს ისეთი მატერულ-დოკუმენტური რანგის ნიგები, ზაურ ნაქაძემ რომ უძღვნა („შორია ოთარწმინდამდე, ოთარ“) და ჯემალ ინეიაც რომ მალე გამოსცემს („ოთარ ჩხეიძის აბრის“).

გორის უნივერსიტეტში მიმდინარეობს პროცესი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებს მეცნიერული შესწავლისა.


ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიანტი, პუმანიტარული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი თონა ქურთაული საბაკალავრო თემადა ამზადებს „ოთარ ჩხეიძის პოსტსაბქოურ რომანებს“.

სამაგისტრო პროგრამაში, რომელიც მიმდინარე წელს დაიწყება, გათვალისწინებულია კვლევა ოთარ ჩხეიძის ნოველების ნიგნისა – „ჩემი სოფლის ეტიუდები“ (წინო ძაბახიძე).

სადოქტორო პროგრამით „XX საუკუნის ქართული ლიტერატურა“ დოქტორანტიმა ანა იმნაძემ საკვლევადა აირჩია თემა – „პოთენიერებული მწერლობა – ოთარ ჩხეიძე, ზვიად გამსახურდია“.

სულ მალე, ომის შედეგად დანგრეულ პირველ კორპუსში, სადაც ახლა სარემონტო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, გაიხსნება ოთარ ჩხეიძის კაბინეტი, სადაც თავს მოიყრის ყველა სამუშაო პროცესი, მწერლის სახელის უკვდავსაყოფად რომ მიმდინარეობს.

მარინე გიგაშვილი





ნახევრული პორტრეტი

ავტორი ნიკოლოზი